გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 22 ივლისი, 2005 წელი.
№172 (5205)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## გიორგი ჭყონდიდელი – საქართველოს დიდი შვილი



### კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულითა და ხორცითა...

*2005 წლის 27 ივნისს საპატრიარქოში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. წმიდა სინოდმა განაჩინა: წმინდანთა დასში შეირაცხოს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი. მისი ხსენების დღედ დადგინდეს 12 სექტემბერი (ძვ. სტ.) – 25 სექტემბერი (ახ. სტ).*

იხ. მე-4 გვ.



## გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის?!

**ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს**



გვესმის, რომ სახელმწიფოს დღესაც ძალზე უჭირს, არის მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი, და მათ შორის, რაღაც უცნობი ძალაც, რომელიც აფერხებს მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებების შესრულებას, რითაც ხალხში ეჭვს ბადებს, მრავალათასიან დაზარალებულ კოოპერატორებს პრეზიდენტის, მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს.

გასული წლის სექტემბრიდან შესაბამისმა სამინისტროებმა, ფაქტობრივად, გააჩერეს კანონის მოქმედება, არ მიმდინარეობს არანაირი მშენებლობა, არ გაიცემა კომპენსაციები, ხოლო გაცემულის შესახებ ვრცელდება ხმები, თითქოს ეს პროცესი დარღვევებით მოხდა. არადა, ყველა ეტაპზე თითოეულ გაცემულ თეთრს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებდა.

იხ. მე-2 გვ.

## ყველას გასწვდება „სახელმწიფოს ქოლგა"?

**დახმარებების გაცემა დაიწყო, მაგრამ ვითარება კვლავ მძიმეა**



ახლა ბავშვსაც რომ ჰკითხო, ისიც კი გეტყვის, ჩვენი უბედურების მიზეზი ჩვენივე დაუდევრობააო. რედაქციაში შემოსული წერილების ავტორები ადასტურებენ, რომ მასობრივი ნგრევა განაპირობა ტყეების უთავბოლო გაჩეხვამ, დამცავ ნაგებობათა რეაბილიტაციის უგულებელყოფამ.

იხ. მე-3 გვ.



## ჩვენ ვცდილობთ...

**შევინარჩუნოთ ტრადიციულად მაღალი კულტურა**

როცა ამერიკაში, იტალიაში, ავსტრიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში გახიზნულ შემოქმედთათვის მათი მოღვაწეობის შესაფერი პირობები შეიქმნება საქართველოში, დარწმუნებული ვარ, უმეტესობა დაბრუნდება სამშობლოში. როგორც, მაგალითად, ისეთი შეუდარებელი ტალანტის მქონე რეჟისორი როგორიც თემურ ჩხეიძე გახლავთ... მაგრამ, ჯერ ამის საშუალება არ არის, რადგან ჩვენ ქართულ არმიას ვაშენებთ, კორუფციას უიმედოდ ვებრძვით, სასამართლო რეფორმებს უიმედოდ ვახორციელებთ, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას ისე ვაპირებთ, ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დაყენება არ გვიცდია.





იხ. მე-3 გვ.

## ვოვა არუთინიანი დანაშაულს აღიარებს

შს სამინისტრომ გაავრცელა ვიდეოკადრები, სადაც 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი ვოვა არუთინიანი დანაშაულს აღიარებს.

კადრზე ნაჩვენებია დაჭრილი ვოვა არუთინიანი, რომელიც ადასტურებს, რომ მან აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მისამართით ნამდვილად ისროლა ხელყუმბარა. ამასთანავე, იგი პრეზიდენტ ბუშს უცენზური სიტყვებით მოიხსენიებს.

იხ. მე-2 გვ.

## ჩილი ტერორიზმი ააშკარავებს

რაც ახლა მსოფლიოში ტერაქტები ხდება, რაც ახლა ამ ტერაქტებით სისხლი იღვრება და ხალხი იღუპება, შეიძლება კაცი ჭკუაზე შეირყეს.

იხ. მე-2 გვ.



## 10 მაისს ნასროლი ხელყუმბარა 20 ივლისს აფეთქდა

– ჯილდოდ დაწესებული 150 ათასი ლარი რამდენიმე ადამიანზე გადანაწილდება

### ◉ პანორამა

## ახალი აფეთქებები ლონდონში

**როგორც ლონდონის პოლიციის უფროსი კომისარი იენ ბლერი აცხადებს, ბრიტანეთის დედაქალაქში მოხდა ოთხი აფეთქება.**

იენ ბლერმა თქვა, რომ ბომბები უფრო მცირე ზომის იყო 7 ივლისს მოთარეშეთა მიერ აფეთქებულ ბომბებთან შედარებით. ამჯერად, დაჭრილთა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს შემთხვევა მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც ძალზე სერიოზული, დასძინა მან.

ლონდონის დროით, დაახლოებით 15 საათსა და 15 წუთისთვის უაიტჰოლზე, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის მახლობლად დააკავეს მამაკაცი. მისი დაპატიმრების მიზეზების შესახებ არაფერს იტყობინებიან.

მანამდე კი, გავრცელდა ინფორმაცია პატარ-პატარა აფეთქებების შესახებ, როგორც ჩანს, ეს ბომბები კი არა, დეტონატორები იყო, რის გამოც, მგზავრები სასწრაფოდ გამოიყვანეს ლონდონის ცენტრში მდებარე მეტროს სამი სადგურიდან.

როცა მგზავრებმა იგრძნეს კვამლის სუნი, დაიწყო პანიკა და ადამიანები მიაწყდნენ უორენ-სტრიტის სადგურის გასასვლელს, თქვა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

მოძრაობა მეტროპოლიტენის ჩრდილოეთ შტოზე მთლიანად შეჩერებულია, მატარებლები არ მოძრაობენ ასევე ვიქტორიის და ჰამერსმიტ-სიტის ხაზებზე.

სადგურების მახლობლად მდებარე ერთ-ერთ საავადმყოფოში გამოაცხადეს საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა.



### ◉ კონფლიქტის ზონა

## მანდატი გააგრძელა

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის მანდატი კიდევ ექვსი თვით გაგრძელდება. ამ ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი გამოვიდა.**

„გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში, კერძოდ, კონფლიქტის ზონაში დესტაბილიზაციის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს," – აცხადებს კოფი ანანი. იგი, ასევე, მოუწოდებს დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერებს, რომ გალის რაიონში გაეროს სამოქალაქო პოლიციის მისიის წარმომადგენლები განათავსონ.

„მათ ხელი უნდა შეუწყონ გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნასა და ადგილობრივ მოსახლეობას მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლის უფლება უნდა მისცენ," – აცხადებს გენერალური მდივანი.

### ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ვლადიმერ არუთინიანი მზად არის კიდევ ერთი ტერაქტი მოაწყოს პრეზიდენტების წინააღმდეგ

**ვლადიმერ არუთინიანმა აღიარა, რომ სცადა თავდასხმის განხორციელება ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს პრეზიდენტებზე. ეს ჟურნალისტებს აცნობა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა. როგორც მან თქვა, არუთინიანმა მის მკურნალ ექიმებს უთხრა, რომ „მზად არის კიდევ ერთხელ განახორციელოს ტერორისტული აქტი პრეზიდენტების წინააღმდეგ". გიორგობიანის თქმით, „ამ დროს იგი შეიძლება აფექტის მდგომარეობაში იყო".**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები უკვე იმყოფებოდნენ თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იქ ისინი შეხვდნენ ეჭვმიტანილს, რომელიც წინა დღით დაჭრეს დაკავების დროს.

არუთინიანის მდგომარეობას ექიმები ამჟამად აფასებენ, როგორც საშუალო სირთულისას. იგი დაჭრილია სამი ტყვიით, თუმცა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. არუთინიანს მალე გადაიყვანენ ციხის საავადმყოფოში.

**„ენ-ტე-ვე", „სეგოდნია", 21 ივლისი.**

### ◉ ინფორმაცია

## შერბილებული პირობების დროს კმაყოფილი იყვნენ?..

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება საქართველოს მთავრობას რეგიონისთვის ეკონომიკური ბლოკადის პირობების გამკაცრებაში ადანაშაულებს.

თვითაღიარებული რესპუბლიკის სამიგრაციო სამმართველოს უფროსის სოსლან ტაგიევის განცხადებით, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ მასთან საუბრისას ფაქტიურად აღიარა, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც, ქართველ მძღოლებს რუსეთში მოსახვედრად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გამოყენება ეკრძალებათ.

მისივე მტკიცებით, საქართველოს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები ავტომანქანების მძღოლებს ხელწერილებს ადებინებენ, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა მათ მხოლოდ ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით შეუძლიათ.

აღნიშნულ გარემოებას სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სამიგრაციო სამმართველოს უფროსი სოსლან ტაგიევი საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის გამკაცრებად აფასებს.

## აშშ-ს საელჩო მიესალმება

თავისუფლების მოედანზე აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლისას ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ არუთინიანის დაკავებასთან დაკავშირებით გუშინ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში სპეციალური განცხადება გაავრცელა.

აშშ-ს საელჩო მიესალმება ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ფაქტს და აცხადებს, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან თანამშრომლობით, გულმოდგინე გამოძიებითა და საქმისადმი თავდადების წყალობით შეძლო ეჭვმიტანილის დაკავება".

„აშშ-ის მთავრობა აფასებს საქართველოს შსს-ს მიერ გაწეულ მძიმე შრომას, ისევე როგორც ქართველ სამართალდამცველთა სიმამაცესა და თავდადებას. ინფორმაციის გაზიარების, მოკავშირეობისა და გამოცდილების ხარისხი წარმოადგენს სამართალდამცავი უწყებების საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითს. სამართალდამცავთა ამ გამარჯვებას სამწუხაროდ თან ახლავს მეტად სევდიანი გარემოება. ეჭვმიტანილის დაკავების პროცესში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს მამაცი ოფიცერი ზურაბ ქვლივიძე. ჩვენ პატივს მივაგებთ მის ხსოვნასა და თავგანწირვას და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახსა და მეგობრებს", – აღნიშნულია განცხადებაში.

## „ჩვენ არ ვმონაწილეობდით ოპერაციაში"

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელმა ტომ მაზურმა 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლისას ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის დაკავებასთან დაკავშირებით „CNN"-ს კომენტარი მისცა.

როგორც მაზურმა „CNN"-თან ინტერვიუში განაცხადა, „ჩვენ არ ვმონაწილეობდით ოპერაციაში, მაგრამ ჩვენ თვალს ვადევნებთ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ქართული გამოძიება".

## არუთინიანს რუსეთის არმიასთან კავშირი არ ჰქონია

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდლობა კატეგორიულად უარყოფს ვლადიმერ არუთინიანთან რაიმე სახის კავშირს.

ცნობები, თითქოს, არუთინიანს რუსეთის არმიასთან ჰქონდა კავშირი, სიმართლეს არ შეესაბამება, – აცხადებენ ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბში.

10 მაისს, თბილისში თავისუფლების მოედანზე აშშ-ს და საქართველოს პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლისას ხელყუმბარის აფეთქების მცდელობაში ეჭვმიტანილი არუთინიანი ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინწინ დააკავეს.

ჩხრეკის დროს, გამოძიებამ მდებარე არუთინიანის ბინაში სამართალდამცველებმა ასაფეთქებელი ნივთიერებები და სხვა სახიფათო ნივთები აღმოაჩინეს, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების აღმოჩენით.

ინტერპრესნიუსი

◎ მიმართვა

# გვპირდებიან, მაგრამ... არ გვპირდებიან?!

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიძელს

**ბატონებო!**

**თითქმის ორი ათეული წელიწადია, საბინაო-კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრები ამაოდ ველოდებით ბინებს, რომლებსაც ჩვენი დანაზოგით ვიშენებდით. ჩვენში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა, ყოფილი მთავრობის უნიათობამ განაპირობეს კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში წარმოქმნილი დავალიანებები. მოგვიანებით სახელმწიფომ სცნო ჩვენი კანონიერი უფლებები, შიდა სახელმწიფო ვალად აღიარა და მიიღო კანონი, რომლის მიხედვით 2006 წლის 1 იანვრამდე უნდა დავეკმაყოფილებინეთ კომპენსაციებით, ან აგებული ბინებით.**

სამწუხაროდ, სახელმწიფომ ეს დანაპირები ვერ შეასრულა – 1999 წლიდან მხოლოდ 500 ოჯახია დაკმაყოფილებული, არადა, დაზარალებულია რვა ათასი ოჯახი. მათ შორის არის კოოპერატივი „ჟურნალისტი-276“, რომელიც 1967 წლიდან „შენდება“ (ქიული შარტავას ქუჩა № 31/33) და მალე 40 წლისთავს „იზეიმებს“. იგი, ალბათ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს „გინესის რეკორდების“ წიგნში. პრაქტიკულად აღარ არიან ცოცხლები პირველი და უმეტესი მეორე რიგის მეპაიეები, მათი შვილებისა და შვილიშვილებისთვის მტკივნეულად გაუგებარია, თუ როგორ ვერ აიშენეს საკუთარი სახსრებით ცნობილმა ჟურნალისტებმა (მათ შორის ცამეტმა საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა) ერთი კოოპერატიული სახლი.

**ბატონო პრეზიდენტო!** კოოპერატივის წევრებს იმედის ნაპერწკალი ჯერ კიდევ თქვენი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისას გაგვიჩნდა. გვჯეროდა, რომ თქვენი, ახალი ტიპის, დემოკრატიულად მოაზროვნე პოლიტიკოსის სახით გამოჩნდებოდა რეალური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, ღრმად გააზროს იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებსაც ამაო მოლოდინით შემოელიათ წლებიც, თანხებიც, რწმენაც...

და არც შევცდით. სწორედ თქვენი მხარდაჭერით მივაღწიეთ, რომ წინა ხელისუფლებას გადაედგა ნაბიჯი დაზარალებული ადამიანების სასარგებლოდ.

გვესმის, რომ სახელმწიფოს დღესაც ძალზე უჭირს, არის მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი, და მათ შორის, რაღაც უცნობი ძალაც, რომელიც აფერხებს მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებების შესრულებას, რითაც ხალხში ეჭვს ბადებს, მრავალათასიან დაზარალებულ კოოპერატორებს პრეზიდენტის, მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს.

გასული წლის სექტემბრიდან შესაბამისმა სამინისტროებმა, ფაქტობრივად, გააჩერეს კანონის მოქმედება, არ მიმდინარეობს არანაირი მშენებლობა, არ გაიცემა კომპენსაციები, ხოლო გაცემულის შესახებ ვრცელდება ხმები,



თითქოს ეს პროცესი დარღვევებით მოხდა. არადა, ყველა ეტაპზე თითოეულ გაცემულ თეთრს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებდა.

**ბატონო პრეზიდენტო!** ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ თქვენი პირადი ჩარევით გახდება შესაძლებელი ჩვენი პრობლემის გადაჭრა – ამისთვის საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ მე-9 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, რათა საბოლოოდ შესრულდეს ჩვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, ქ. თბილისში მაინც აშენდეს დაწყებული და დამთავრებას დაქვემდებარებული სახლები, რომლებიც, სხვა თუ არაფერი, ამახინჯებენ ჩვენს დედაქალაქს.

ღრმად გვჯერა, რომ სოციალურ პროგრამებზე ორიენტირებული საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, მთავრობას დაავალებს კოოპერატიული ბინათმშენებლობის გაგრძელებას და საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1879 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე იქნა მიღებული. ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს მხარს უჭერენ საპარლამენტო კომიტეტები და საპარლამენტო უმრავლესობა.

**ბატონო პრეზიდენტო!** ჩვენ გვერდით გედექით „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, დღესაც იმედით შემოგყურებთ და უმორჩილესად გთხოვთ, მთელი სიღრმე-სიგანით ჩასწვდეთ უსახლკარო, უსახსრო, იმედგაცრუებულ და მოტყუებულ ადამიანთა ბედ-იღბალს.

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

გვესმის რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გაწევთ და რაოდენ დიდია ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა უკიდურესი გაჭირვების ზღვრამდე მიიყვანა. იმ პოზიტიურ ცვლილებათა ფონზე, რომლებიც დღეს თვალნათლივ შეიმჩნევა ჩვენს ქვეყანაში, უდიდესი როლი გენიჭებათ ჩვენი პრობლემის გადაჭრაში. საწყენია, რომ თქვენი ფინანსთა მინისტრობის დროს კოოპერატორთა არაკორექტულმა გამოსვლებმა გაგაღიზიანათ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, გაგვიგებთ – წინა მთავრობამ იმდენჯერ გაგვიცრუა იმედები, იმდენჯერ მოგვატყუა, რომ უკიდურეს ზღვრამდე მიგვიყვანა. დღეს, როდესაც სულ სხვა ხელისუფლება გვყავს (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რწმენა ასეთია), ვფიქრობთ, აღარ დაგვჭირდება აქციების მოწყობა, ყინვასა და პაპანაქებაში ქუჩაში დგომა...

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!** მოგმართავთ როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ, პრინციპულ ლიდერს, იმედს ვიტოვებთ, რომ გულში არ ჩაიდებთ გატანჯული, ამაო ლოდინით დაღლილი ადამიანების მიერ უნებლიედ მიყენებულ წყენას, გთხოვთ, წარმოიდგინოთ იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებმაც ყველაფერი მოიკლეს, სახელმწიფოს გვერდში დაუდგნენ – თვით ითავეს თავიანთი ბინების აგება, მრავალმა ძველი ბინები, მანქანები, ქონება გაყიდა და ისე შეიტანა საპაიო თანხა.

უმორჩილესად გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1879 დადგენილებას. გარწმუნებთ, რომ თქვენი ეს ნაბიჯი საწინდარი იქნება თქვენი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის იმიჯის უფრო გაბრწყინებისა, რადგან სწორედ თქვენი ხელმძღვანელობით განმტკიცებული ბიუჯეტი გახდება წლების მანძილზე მტკივნეული სოციალური პრობლემის გადაჭრის საფუძველი.

**იმედით და პატივისცემით,**

**რვა ათასი დაზარალებული კოოპერატორის სახელით საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობა.**

◎ ეკლესია

# ქრისტიანული სიყვარულისა და თანხმობის გზით...

## საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს ერთობლივი განცხადება

**შეხვედრა გაიმართა რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის მდივნის, ქალბატონ ლელა ჯეჯელავას ხელშეწყობით**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო გამოვთქვამთ შეშფოთებას და გულისტკივილს ბოლო დღეებში ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამის მიზეზი გახდა სოფლის მოსახლეობის არასწორი ინფორმირება, რასაც მოჰყვა ქართველი სასულიერო პირების, მონაზვნებისა და სტუდენტების მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა.

საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს მეთაური გულწრფელად წუხს და ბოდიშს იხდის დაზარალებულთა წინაშე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ადგილობრივი სომეხი ეროვნების მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ცდილობდა სტუდენტებისა და მონაზვნების დაცვას თავდასხმებისაგან, რის გამოც თვითონაც დაშავდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო კატეგორიულად ვგმობთ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას და ვაცხადებთ, რომ წინ აღვუდგებით კონფლიქტის პროვოცირებას, რაც დიდი ზიანის მომტანია ორივე მხარისთვის და ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალების ინტერესებში შედის.

ჩვენს ეკლესიებს შორის არსებული საუკუნოვანი ძმური ურთიერთობა გვაძლევს რწმენას იმისა, რომ ყველა საკითხი დიალოგის, ქრისტიანული სიყვარულისა და თანხმობის გზით გადაიჭრება. ამიტომაც, მოვუწოდებთ მოსახლეობას, არ გახდნენ გაუგებრობის მსხვერპლნი, გამოიჩინონ სიმშვიდე და კეთილგონიერება.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა ხელი შევუწყოთ სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით საგარეო განყოფილების თავმჯდომარე ეპისკოპოსი
**გერასიმე (შარაშენიძე)**

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სახელით საქართველოში სომხეთის ეკლესიის ეპარქიის მეთაური ეპისკოპოსი
**ვაზგენ მირზახანიანი**

20 ივლისი, 2005 წელი.

◎ თაკარა მზის ქვეშ

# რად მიდის წერილები ნაგვის ურნაში?

**ნებისმიერ ქვეყანაში გამჭვირვალე და ლოიალური სახელმწიფო სისტემის არსებობა დამოკიდებულია სასამართლო ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფაზე. მაგრამ დღეს საქართველოში არც ინფორმაციის გამჭვირვალობა არსებობს და არც ღირსეული სასამართლო უწყება.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის აპრილამდე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვამ უჩვენა, რომ სასამართლოში ინფორმაციის თავისუფლება შეზღუდულია. კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება სასამართლოს მხრიდან საპროცესო ვადების დარღვევა და გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა. ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ სასამართლო, ჯერჯერობით, ვერ ახდენს კანონმდებლობის ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებებს სწორად გამოიყენონ იგი. იმის შესწავლა თუ რა მდგომარეობაა ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით ვარდების რევოლუციის შემდეგ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წამოწყებული კამპანიის – „საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ“ – ერთ-ერთი ნაწილია.

საქართველოს კონსტიტუციით ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს და გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ საჯარო ინფორმაციას. ასოციაციის მონიტორინგის მიზანი იყო გაერკვიათ თუ რამდენად არის დაცული თითოეული ადამიანის ეს უფლება. ახალგაზრდა იურისტები თამამად აცხადებენ, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა საგანგაშოა.



ასოციაციაში დაუშვებლად მიაჩნიათ იმ ყუთების არსებობა, სადაც მოქალაქემ ინფორმაციის მიღების თაობაზე განცხადება უნდა ჩააგდოს. მათი თქმით, ეს განცხადებები შემდეგ ნაგვის ურნაში ხვდება.

საჯარო დაწესებულებები ინფორმაციას ქვეყნის უმაღლეს პირს და პარლამენტსაც უმალავენ, ხშირად ცრუ ინფორმაციას აწვდიან. კანონი ავალდებულებს ყველა საჯარო დაწესებულებას, რომ ყოველი წლის 10 დეკემბერს პრეზიდენტს და პარლამენტს წარუდგინონ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ უწყებაში არსებული მდგომარეობა. ასოციაციამ მონიტორინგის შემდეგ დაადგინა, რომ თუ წინა ხელისუფლების დროს, 2001 წელს, ანგარიშების რაოდენობრივი მაჩვენებელი 116 საჯარო დაწესებულებამ წარადგინა, რევოლუციის შემდეგ წარმოდგენილია 106 ანგარიში. მათი შინაარსი, ასოციაციის წარმომადგენლობის თქმით, ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. პრეზიდენტსა და პარლამენტს ატყუებენ, – თითქოს პროცესები გამჭვირვალედ მიმდინარეობს. ამასთან, ციფრებს თუ გადავხედავთ, საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს 20 ანგარიში, პრეზიდენტს კი 106. ეს მაშინ, როცა ვალდებულება ორივეს წინაშე არის თანაბარი.

ქალბატონ თინა ხიდაშელის თქმით, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის მათ არავინ დასჯის და საზოგადოების მოთხოვნებს იგნორირებას ამიტომ უკეთებენ, მთავარია დაისაჯონ და თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ის ჩინოვნიკები, ვისი ბრძანებითაც ეს ყუთები დაიკიდა და ვისი ბრძანებითაც წერილები ნაგავში ხვდება, რომ სხვამ იგივე აღარ გაიმეოროს.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ინფორმაცია

## გამგებლებს მეტის გაკეთება აღარ შეეძლოთ

**ლენტეხისა და ონის რაიონების გამგებლებმა – გოგი ონიანმა და ვასილ მეტრეველმა თანამდებობები პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს.**

**როგორც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ოთარ სირაძე აცხადებს, გამგებლებმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც დარწმუნდნენ, რომ მათ რაიონებისთვის მეტის გაკეთება აღარ შეეძლოთ.**

**„ონიანმაც და მეტრეველმაც თავად გადაწყვიტეს თანამდებობების დატოვება. ამ თანამდებობაზე დაინიშნება ის ხალხი, რომლებიც უფრო აქტიურად გააგრძელებენ ლენტეხში და ონში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესს. პირველ რიგში, გადასაწყვეტია გარე განათებისა და ფასადების შეღებვის პრობლემა“, – განაცხადა ოთარ სირაძემ.**

**ჯერჯერობით ლენტეხისა და ონის რაიონების გამგებლების მოვალეობას ონიანისა და მეტრეველის პირველი მოადგილეები ასრულებენ.**

## ხალხს აღარავინ გააწამებს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმირების ფარგლებში ამ სისტემაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე მოწყობილი კონკურსის შედეგად, საქართველოს მასშტაბით, შერჩეულია 400-მდე კანდიდატი. 2005 წლის 4 ივნისიდან ტაბახმელაში მათთვის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ტრენინგი მიმდინარეობდა. სწავლებაში მონაწილეთა ერთ-ერთი ბოლო ჯგუფის წევრებს გუშინ სერტიფიკატები გადასცეს.**

**იუსტიციის მინისტრის მოადგილის კონსტანტინე ვარძელაშვილის განცხადებით, ასეთი ტრენინგი საქართველოში პირველად გაიმართა და სწავლების პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. ტრენინგები მიზნად ისახავს სამოქალაქო სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მისი თქმით, „სამოქალაქო რეესტრის სამსახურები მოქალაქეებზე არის ორიენტირებული, რეფორმის შედეგად მისი მუშაობა სანიმუშო გახდა“.**

**სამოქალაქო რეესტრის სისტემის თანამშრომელთა ტრენინგები ხორციელდება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა, და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.**

## იუსტიციის სამინისტრო უნივერსიტეტში შედის...

**იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა დავით ეგიაშვილმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ დღეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

**მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტთა პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის სტაჟირების გავლასა და შესაძლო დასაქმებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სისტემაში.**

**სააგენტო ვალდებულებას იღებს, მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მიავლინოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სტაჟირებისათვის წარადგენს იურიდიული, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის სტუდენტებს.**

## ეკონომიკაში საქმე კარგად გვქონია

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქართული ეკონომიკის განვითარებას წარმატებულად მიიჩნევს.**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილის ტაკატოში კატოს აზრით, 2005 წლის ბოლომდე მაკროეკონომიკური სტაბილურობის განსამტკიცებლად, საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამის მთავარი ამოცანა ერთციფრიანი ინფლაციის დონის შენარჩუნება იქნება. გარდა ამისა, მისივე თქმით, მთავრობამ უნდა გააგრძელოს რეფორმები ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად და შეამციროს სიღარიბის დონე.**

**“დაგეგმილია ანტიკორუფციული სტრატეგიის ინსტიტუციონალიზაცია და შემდგომი გაძლიერება. მომავალში, მნიშვნელოვანი კაპიტალური შემოდინებების გამო გაიზრდება სამთავრობო ხარჯების მოცულობა, ამიტომ, აუცილებელი იქნება ფისკალური და მონეტარული სტრუქტურების კოორდინაცია. საქართველოს მთავრობა აპირებს, ინფლაციის დაბალი დონის უზრუნველსაყოფად ხარჯვითი პოლიტიკის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება გამოიჩინოს. თუ ინფლაციური ზეწოლა გაძლიერდა, საქართველოს ეროვნული ბანკი დაწესებული ლიმიტების ფარგლებს ზევით მონეტარული პოლიტიკის გასამკაცრებლად მზად უნდა იყოს“, - განაცხადა ტაკატოში კატომ ფონდის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ კომენტარი

# „არ გამოვრიცხავ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მონაწილეობას“

## ამბობს პარლამენტარი ლევან ბეჟაშვილი

**10 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართულებით ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს.**

– კონკრეტული შეფასებებისგან თავს შევიკავებდი, – თქვა მან, – რადგან ჯერ კიდევ განსახორციელებელია მრავალი საგამოძიებო მოქმედება: ბრალის წარდგენის გარდა, მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს, გამყარდეს და ა. შ. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ მოკლე დროში საგამოძიებო ორგანოებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, კონკრეტული ეჭვმიტანილის სახელი და გვარი დაადგინეს და მისი დაკავება მოახერხეს, უნდა შეფასდეს, როგორც წარმატებული საქმიანობა და მას მივესალმები.

თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი საქმეა გასაკეთებელი, მტკიცებულებების შეგროვებისა და გამყარების თვალსაზრისით, ამასთან, მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები დასაზუსტებელი და დასაკონკრეტებელია. ისე, ეს იყო წარმატებული ოპერაცია.



**– ამერიკული სპეცსამსახურების განცხადებით, ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ოპერაციაში...**

– შეიძლება სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებს აძლევდნენ და მათთან ინფორმაციის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები გაცვლის თვალსაზრისით მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს ოპერაცია, ძირითადად, ჩვენი სამართალდამცავების აქტივში უნდა ჩაიწეროს. საინტერესოა, ინდივიდუალურად მოქმედებდა თუ სხვებთან შეთანხმებული იყო. არ გამოვრიცხავ სხვისი სპეცსამსახურების მონაწილეობას ამ პროცესში. თუმცა, ამას გამოძიება დაადგენს.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული გამოძიება მხოლოდ ახლა დაიწყება.

**– დანამდვილებით გგონიათ, რომ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ?**

– არ გამოვრიცხავ, რომ ისინი პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. თუმცა არც იმის ილუზია მაქვს, რომ ჩვენ კონკრეტულ მტკიცებულებებს აღმოვაჩენთ. წესისამებრ, ასეთი ოპერაციები შენიღბულად და პროფესიულ დონეზე ეწყობა. მაგრამ ის, რომ ჩვენმა სამართალდამცველებმა კონკრეტული პიროვნების დაკავება და გამოვლენა შეძლეს, უკვე მეტყველებს გამოძიების წარმართვაზე სწორი მიმართულებით, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტები აწარმოებენ.

**– ხელყუმბარა, საბედნიეროდ, არ აფეთქდა. ეტყობა, ოპერაცია არცთუ პროფესიულ დონეზე დაიგეგმა...**

– ნებისმიერ ოპერაციაში შემთხვევითობის ფაქტორი ყოველთვის ფიგურირებს. ეს სწორედ ასეთი ბედნიერი შემთხვევაა. ზოგადად, ქვეყნის რეპუტაცია, პრესტიჟი გადარჩა. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ეჭვმიტანილი

# ვოვა არუთინიანი დანაშაულს აღიარებს

**(პირველი გვერდიდან)**

გუშინწინ სპეცოპერაციის დროს დაჭრილი არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინწინდელ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გუშინ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ დაწესებულ ჯილდოს - 150 ათას ლარს გადაანაწილებს რამდენიმე ადამიანზე.

მისი თქმით, 10 დღის განმავლობაში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც თითოეული მოწმის როლს დაადგენს და ამის მიხედვით გადაანაწილებს თანხას.

მერაბიშვილმა საზოგადოებას და პრესას გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რათა დადგინდეს ეჭვმიტანილის ყველა კონტაქტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს შს სამინისტრო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან გამოხმაურებას ღებულობს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

მისი თქმით, იგეგმება საუბარი ფედერალური გამოძიების ბიუროსთან, დიპლომატებთან. საქართველოს შს მინისტრმა ამერიკელ კოლეგებს კოორდინირებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ეჭვმიტანილის ჩვენება არ ჩაითვლება მტკიცებულებად, თუ იგი არ დაადასტურა პროცესის მონაწილემ სასამართლო პროცესზე.

* * *

საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილის ვოვა არუთინიანის დაკავების დროს დაღუპულ სამართალდამცველს გმირი უწოდა.

მისი განცხადებით, 37 წლის ზურაბ ქვლივიძე წლების განმავლობაში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო.

ქვლივიძეს ჰყავს მეუღლე და შვიდი თვის ვაჟიშვილი.

10 მაისს თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის ასაყვანად გუშინწინ, საღამოს, ვაშლიჯვარში სპეცოპერაცია ჩატარდა. ეჭვმიტანილმა სამართალდამცველების მისამართით ცეცხლი გახსნა და ყუმბარა ისროლა, რომლის დროსაც თავადაც დაიჭრა. ორმხრივი სროლისას დაიღუპა შს სამინისტროს კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ოპერაცია

# ვიდრე ტერორიზმი აგვაცრემლებს

**(პირველი გვერდიდან)**

მე არ ვგულისხმობ მარტოოდენ ცხელ წერტილებს – ვთქვათ, ერაყს, ავღანეთს, ისრაელს; ამ უაზრო შურისძიებამ ბოლო ხანს შიშის ზარი დასცა აშშ-ს, ესპანეთს, რუსეთს, ინგლისს და მოადგა საქართველოს. წარმოიდგინეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, უპირველესად კი, ჩვენი ხალხის საცოდაობა, თუ 10 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარა აფეთქდებოდა და აშშ-ს და საქართველოს პრეზიდენტების, აგრეთვე იქ შეკრებილი მიტინგის მონაწილეების სიცოცხლეს სიკვდილი დაემუქრებოდა...

რომელი ქვეყნის პრეზიდენტილა გვესტუმრებოდა? რომელი ბიზნესმენი ჩამოვიდოდა და აქ ფულს დააბანდებდა? ვინ იცის, სად შეჩერდებოდა უკვე დაწყებული პროექტები, დაგეგმილი გრანტები, დახმარებები, სპონსორული თუ საქველმოქმედო თანხები. ერთი სიტყვით, მეტნაკლებად, ჩვენი თამამი წინსვლაც შეწყდებოდა და ჩვენი იმიჯიც გვარიანად შეილახებოდა. ბედად, ღმერთმა გადმოგვხედა, გადაგვარჩინა, ეს კი არადა, ის ხელყუმბარა აუფეთქებელი გვაპოვნინა და აჰა, 20 ივლისს მისი „გადამგდები“ ხელში ცოცხლად ჩავაგდებინა. თუმცა, უსისხლოდ მაინც ვერ გადავრჩით. ორმხრივ სროლაში დაიღუპა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი ზურაბ ქვლივიძე, რომელსაც ვლადიმერ არუთინიანმა ავტომატის ჯერი მიუშვა.

ზოგი იძახის, – რა ამბავია ამ პოლიციას და პროკურატურას სახელმწიფომ ამხელა ხელფასები რომ დაუნიშნაო. აი, ბატონო რატომ დაუნიშნა, – 24 საათის განმავლობაში ტყვიას უცდის, სიკვდილს ელოდება... ან რა ხელფასი თუ ფული ჩვენა გვაქვს გამმაგებულ ტერორისტებთან თუ ჩვეულებრივ კრიმინალებთან საბრძოლველად? ერთხელ, როცა ედუარდ შევარდნაძის თავს დაესხნენ და ჩვენ წინასწარ ვერაფერი გავიგეთ, დაზვერვის მაშინდელ შეფს ავთანდილ იოსელიანს ვკითხე, – რა ხდება, ნაადრევად ინფორმაციას ვერ მოვიპოვებთ? იცით, რა მიპასუხა? – ამერიკაში პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ასეთი თავდასხმის წინასწარი ინფორმაციის მოპოვებაზე ერთი მილიონი დოლარი იხარჯებაო. თავი დავანებოთ შევარდნაძის დროს. ახლა, 10 მაისის შემდეგ, როცა ფოტოკომპლექტი შევადგინეთ, დამნაშავის საპოვნელად ჯილდოდ 150.000 ლარი დავაწესეთ. არა გვაქვს მეტის ონსილა და...





ასეა თუ ისე, ცოტა ამერიკელების წახმარებით, ბევრი ჩვენი მონდომებით, ვლადიმერ არუთინიანი შეპყრობილია. წყნარი, უპრეტენზიო ბიჭიო, ფული უჭირდაო, მე-6 სართულზეც კი ფეხით ადიოდაო, მეზობლებს იშვიათად ელაპარაკებოდაო. და ამ დროს... სახლში მთელი არსენალი: – ასაფეთქებელი მასალები, ღამის მოწყობილობები, სამხედრო ფორმები, ჭოგრიტი, აირწინაღი, ფაშისტური სიმბოლიკა, რუკა... რისთვის უნდოდა? უკვე ფაქტია, – არ მალავს, რომ ამერიკის პრეზიდენტების აფეთქება სურდა, აღიარებს, რომ ხელყუმბარა მან ისროლა.. იმუქრება და ილანძღება კიდეც, – თუ შესაძლებლობა მომეცემა, ამას ხელმეორედაც გავაკეთებო...

ტელევიზიით გვაჩვენეს ვლადიმერ არუთინიანის დედა, რომელიც ცხარედ ტიროდა, დაჭრილი შვილის ნახვას მოითხოვდა. მაპატიოს, ყველამ, მაგრამ ასეთი ცრემლებით ვერც ზურაბ ქვლივიძე გაცოცხლდება და ვერც პატარა საქართველო აშენდება. მოდით, წინასწარ გამოვიბათ ასი თვალიც და ასი ყურიც, რათა ტერორისტები არ მოგვიმრავლდეს, თორემ...

გუშინ ლონდონში კიდევ ოთხი აფეთქების ხმა გაისმა!

**ბადრი იაშვილი**

◎ გულის გუხარი

# ჩვენ ვცდილობთ...

## შევინარჩუნოთ ტრადიციულად მაღალი კულტურა

[illegible] ბითი ახალგაზრდობის სიმპოზიუმები ტარდებოდა. ეს, შეკრებები ისეთი აზრიანი, სავსე იყო, რომ შთაბეჭდილება მთელი წელი მიყვებოდა საქართველოს ახალგაზრდობას. ანკი რა გასაკვირია: იმ სიმპოზიუმებზე ოთარ თაქთაქიშვილი, გოგი ანდრონიკაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, მედეა კახიძე ჩამოდიოდნენ. ერთხელაც, დიდი ჯორჯ ბალანჩინის დიდი ძმა, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე გვესტუმრა. შუადღის შესვენებაზე, შეკრების მონაწილენი „სპუტნიკის“ ეზოში ციგებით სრიალებდნენ. ბატონი ანდრიამ ცალკე ციგაზე კი არა, დიდ ექვსკაციან ციგაზე მოისურვა [illegible] დახუნძლული ციგა ამოტრიალდა, ყველა მას დაესია, ხომ არ დაშავდითო.

ბატონი ანდრია ბავშვივით ხითხითებდა: ესე იგი, ჯერ არ დავბერებულვარ, კიდევ უნდა ჩამოვსრიალდეო. მე ყვირილი ავტეხე, სოსელია, ჩქარა, კამერა-მეთქი და გადავიღეთ კიდეც. კინოფირს და ვიდეომასალას, კარგა ხანს ვინახავდით, ახლა, მართალი გითხრათ, აღარ ვიცით, ტელევიზიის არქივში რა დატოვა ზა-





ზა შენგელიამ. მთავარი გაოცება კი წინ გველოდა. საღამოს, კლუბში რომ შევიკრიბეთ, ბატონ ანდრიას ყველასთვის საინტერესო კითხვა დავუსვით: ბატონი ჯორჯი როგორ ბრძანდება-თქო. იმას რა უჭირს, ქმნის და ცოცხლობს, ბედნიერია როგორც ადამიანი და ბედნიერია, როგორც შემოქმედიო. ისე კი, ათი წლის წინათ, როცა ჯორჯი საქართველოში იყო ჩამოსული, — თქვა და დარბაზი მოათვალიერა, მერე გადაწყვიტა, რომ ჩვენ თაობას ეს უნდა სცოდნოდა და ომახიანად გააგრძელა, — პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თხოვეს სტუმრობა. მე ეს არ მომეწონა და თან გავყევი. მივედით, რამდენიმე კაცი უჯდა მაგიდას. დავსხედით თუ არა, ძალიან მონდომებულად დაიწყეს: — თქვენ, დიდი ქართველი, რატომ უნდა ცხოვრობდეთ ამერიკაში, დაბრუნდით, ყველა პირობას შეგიქმნით, რომ მშვიდად იცხოვროთ და იმუშაოთ...

ჯორჯი ღიმილიანი სახით უსმენდა მათ და ვიფიქრე, ეს გულუბრყვილო კაცი არ შეაცდინონ-მეთქი. შესაძლოა, ამ ადამიანების კეთილ სურვილებში ეჭვი არ უნდა შემეტანა, მაგრამ მოვლენებს სხვები მართავდნენ და ამიტომ, ადგილიდან წამოვხტი:

— ჯორჯ, არ შეცდე, არაფერი, რაც აქ ითქვა, არ შესრულდება. არ დათანხმდე, ჯორჯ...

სკანდალი მოვაწყვე, რაც, არც ადრე, არც შემდეგ არ გამიკეთებია, მაგრამ ფაქტია, ჯორჯ[illegible]რჩინე.

ჯორჯ ბალანჩინმა იმის გამო დატოვა საბჭოთა კავშირი, რომ თავისუფალი აზროვნების და თვითგამოხატვის საშუალება არ ჰქონდა. მას არენა სჭირდებოდა თავისი ტალანტის გამოსავლენად, რის შესაძლებლობას მას, როგორც ქართველს, არ მისცემდნენ.

ირმა ნიორაძე იმის გამო წავიდა ემიგრაციაში, რომ აქ მუშაობის და ცეკვის მინიმალური საშუალებაც კი არ იყო, ფიზიკური თვითგადარჩენის პრობლემაც არ იყო გამორიცხული როგორც მისი, ისე ოჯახის წევრებისათვის.

დღესაც მიმდინარეობს „ზეწოლა“ ქართულ კულტურაზე და ქართულ ტრადიციებზე, რაც შემოქმედ ხალხში განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს.

როცა ამერიკაში, იტალიაში, ავსტრიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში გახიზნულ შემოქმედთათვის მათი მოღვაწეობის შესაფერი პირობები შეიქმნება საქართველოში, დარწმუნებული ვარ, უმეტესობა დაბრუნდება სამშობლოში. როგორც, მაგალითად, ისეთი შეუდარებელი ტალანტის მქონე რეჟისორი, როგორიც თემურ ჩხეიძე გახლავთ... მაგრამ, ჯერ ამის საშუალება არ არის, რადგან ჩვენ ქართულ არმიას ვაშენებთ, კორუფციას უიმედოდ ვებრძვით, სასამართლო რეფორმებს უიმედოდ ვახორციელებთ, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას ისე ვაპირებთ, ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დაყენება არ გვიცდია.

კულტურა, ტრადიციები მერე, მერეო, გვეუბნებიან... თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ აწმყო წარსულზეა დაყრდნობილი და მომავალში იყურება. და რომ, ტრადიცია ის უწყვეტი ჯაჭვია, რომელსაც ყოველდღე სჭირდება ზრუნვა და განმტკიცება. მწერალმა დავით ტურაშვილმა ესპანეთში დამკვიდრებული „დონკიხოტის“ საჯარო კითხვის მაგალითზე შემოგვთავაზა „ვეფხისტყაოსნის“ დღის შემოღება. ის წელს უფრო მასშტაბურად ჩატარდა, ვიდრე შარშან და იმედი გაგვიჩნდა, რომ ის გაამრავლებს რუსთაველის გენიალური პოემის მკითხველთა და მცოდნეთა რიცხვს. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება რაინდული სული, ქალური კდემა და სულიერი სიძლიერე, რომ ჩვენს შერყეულ ზნეობას ვუშველოთ.

როგორ მოვახერხოთ, როგორ შევძლოთ ეს? ტელევიზიის წყალობით, მასმედიის მეშვეობით, მაგრამ არა მთავრობის მიერ მართვადი „რუსთავი-2“-ის ინფორმაციული ტელევიზიით, ან გაზეთ „24 საათით“, რომელიც ანალიტიკური ხასიათის სტატიებს აღარ ბეჭდავს, რადგან ისიც მართვადია. აღნიშნულ რედაქციებში მეტად ნიჭიერი ხალხი მუშაობს, ისე, როგორც მასმედიის სხვა ორგანოებში, ოღონდ მიეცით მათ თავისუფლება. დარწმუნებული ვარ, ხანძრებზე, საფინანსო პოლიციის სპეცჯგუფების შეურაცხმყოფელ ოპერაციებსა და, უფრო შეურაცხმყოფელ, ოჯახის მარჩენალი ქალების დაწიოკების რეპორტაჟებზე უკეთ, ისინი ხალხის დასაქმებაზე, მიწის გლეხებისთვის დარიგებაზე, სოფლის და ქალაქის აღმავლობაზე ილაპარაკებენ. გვეყო ნგრევა, ძალადობა, ძარცვა, შური, დასმენა, წართმევა, არსებობის უფლების მოსპობა ადამიანებისთვის, სხვა ათასი „ქართლის ჭირი“ — ეს უკვე იყო!

ჩვენ არ გვჭირდება გაყიდული, გაძარცული, გაპარტახებული და პროფესიონალებშემოძარცული ტელევიზია, რომელიც „ჭიაბერაშვილის გემოვნებით“ გადაღებეს და შორტებიანი გოგო-ბიჭებით აავსეს, მათ ალბათ, ძალიან უყვართ გრიალი და „ბუჩქებში გადაძრომა“... ბევრ მათგანს, თუ დიქციის, მანერების და გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებთ, სადაც ინტელექტი უნდა ჩანდეს, ვერაფერ ამას ვერ შეამჩნევთ. ვერც პროგრამებზე ვიტყვით რამე სასიკეთოს. რომელი წარდგენილი პროექტებით შეირჩა ახალი შტატი და აიწყო პროგრამები, თუ ეკრანზე ინფორმაციის, სერიალების, საარქივო მასალების ან ადრე გადაღებული სატელევიზიო ფილმების გარდა არაფერი ჩანს? არ გეგონოთ, ეს მხოლოდ ჩემი აზრი და დამოკიდებულება იყოს, ეს ათასობით ადამიანის აზრია, რომელთაც დემოკრატიულად და ღიად გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფო (მაშინ ერთადერთ) ტელევიზიაზე.

„წვიმის ბიჭებო“, გამოდით, იმღერეთ, ლექსები წაიკითხეთ, სიტყვა თქვით ნამდვილ ტელევიზიაზე. ჩვენ „საზოგადოებრივი ტელევიზია“ გვჭირდება საზოგადოებისთვის, მისი პრობლემების გადაჭრის, მისი ჰარმონიული განვითარების, კულტურის აღმავლობისთვის. „სექსი დიდ ქალაქში“ ჩვენ კულტურას ვერ აამაღლებს, სხვათა შორის, ვერც სექსს გვასწავლის. სექსი და კორუფცია, ისეთი ცნებებია, რომელთაც მოქმედება სჭირდება და არა ლაპარაკი...

ეჰ, პროპაგანდისტივით ავლაპარაკდი, სჯობს, ამერიკულ ტელევიზიაზე გიამბოთ.

მართალი გითხრათ, ჩვენი დღევანდელი ტელევიზიები და ამერიკული არხები ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს: ინფორმაცია, „სი-ენ-ენ“-ით დაწყებული და „პრაიმ ტაიმით“ დამთავრებული, იმათთვისაა, ვისაც ფული აქვს, რომ „სპეცარხებს“ უყურონ. ვისაც არა აქვს შეძლება, ის ადგილობრივ მაუწყებლობას ჯერდება. სერიალები, „თოკ-შოუ“-ები, ფილმები ულიმღამო და ერთგვაროვანია — ძალადობაზე, დეტექტივზე, „სუპერმენობაზე“ ან სექსზე დამყარებული. თუ მსოფლიო ლიტერატურა 33 ფაბულაზეა ძირითადად დაყრდნობილი, ამერიკულ, „თანამედროვე“ კინოტელე-ხელოვნებას 3 ფაბულა ჰყოფნის.

რასაც მე ახლა გიყვებით, საშუალო ფენაზე, ან პენსიონერ საზოგადოებაზეა გათვლილი, რომელმაც მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად იშრომა, რომ სიბერეში თავზე ჭერი ჰქონოდა. მას პენსია და იმდენი დანაზოგი აქვს, რომ რამდენიც უნდა იმდენი „კოკა-კოლა“, ან „ბუდვაიზერი“ დალიოს. ყველაზე კარგად საბავშვო პროგრამების საქმე უნდა იყოს, ამერიკელმა რეჟისორებმა და მხატვარ-დიზაინერებმა კარგად იციან, სად და როგორ იშოვონ ფული. ეს არის, — ჩემი პატარა შვილიშვილი „ტელეიპუცებივით“ ლაპარაკობს, ხოლო უფროსს დევების ნაცვლად, დინოზავრები ესიზმრება, ჭკუას ვიღაც „სპონჯ-პოუსგან“ სწავლობს და ოცნებობს, რომ როცა გაიზრდება, „პაუ-პაუ-გელსავით“ მაგარი იყოს, ისეთი ღონიერი და სასტიკი, რომ ყველა ცუდი „მონსტრი“ მოკლას...

ვერაფრით მოვახერხე, მის დროის დეფიციტში შევაღწიო, რომ „ვეფხის და მოყმის ლექსი“ წავუკითხო, მერე კი ავუხსნა, რას ნიშნავს სიტყვები: „იქნება ვეფხის დედაი, ჩემზე მწარედა სტირისა“. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ამერიკის ელიტაზე, შემოქმედ ხალხზე, ან მილიონერთა საზოგადოებაზე, თუნდაც, ექიმების ან ადვოკატების კასტაზე, რომლებიც მაღალანაზღაურებადნი არიან და ისე ცხოვრობენ, როგორც გაუხარდებათ, ისეთ არხებს უყურებენ, როგორი გემოვნებაც აქვთ, ან როგორი მიდრეკილებებიც...

ამერიკელები საერთოდ სხვა მენტალიტეტის ხალხია... მე, მასაზე ვლაპარაკობ, იმ ხალხზე, რომელთა კოდირებულ პროგრამებსაც ჩვენ ვუყურებთ, და რომელთა სისტემაზე აღზრდას, ან გარდაქმნას ჩვენ გვპირებენ. მათ, ნაკლებად აინტერესებთ ტელევიზია, ან არ სცალიათ ტელევიზიისთვის. მათი საყვარელი საქმე, თუ როგორც ეძახიან „ჰობი“, არის გასეირნება, სპორტი, სირბილი დილით — გასაკაჟებლად, ცურვა საღამოს ბოდი-ბილდინგის მიზნით, შოპინგი, უიკენდის ბანაკები და ყველაზე დიდი ჰობი — ფულის დაგროვება...

ამიტომ ისინი ეკონომიურად ცხოვრობენ, ბევრს მუშაობენ, ადრე იძინებენ და დიდად არ დაგიდევენ, ტელევიზორში რა ახალ ინფორმაციას გადასცემენ ხანძრების ან მკვლელობების შესახებ. მათთვის მთავარია მორალი. ყველაზე ამაღელვებელი მათი ფსიქოლოგიისთვის, ამ ბოლო 15 წლის მანძილზე, იყო ინფორმაცია ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონის სექსუალური გატაცების შესახებ, და სიმართლის უღიარებლობა ბოლო მომენტამდე...

ყველაზე საშინელი, დამთრგუნავი ფაქტი ამერიკის ისტორიაში 11 სექტემბრის ტერაქტია, რომელმაც „დაუცველობის“ სინდრომი წარმოშვა. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ „დაუცველობის“ სინდრომი ჩვენ 15 წელი მაინც იქნება, გვაწუხებს (თუ უფრო შორს არ წავედით), დღესაც, თავისუფალ და ახლა უკვე დემოკრატიულ საქართველოში. ჩვენ კულტურის და ტრადიციების ხალხი ვართ, რომელთაც „მშივრებსაც“ კი გვაწყნარებს მისი სახელოვანი ისტორიის გახსენება. ჩვენ ამირანის შთამომავლები ვართ, ამიტომ არ გვიყვარს თავსმოხვეული, უსიტყვო მორჩილება.

„წვიმის ბიჭებო“, (არ გეგონოთ მათში მხოლოდ ზაალ კორინთელს ან ნიაზ დიასამიძეს ვგულისხმობდე) თქვით თქვენი სიტყვა, თქვით, რომ თანამდებობაზე მოფიქრალი კაცი არ გჭირდებათ „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ თავმჯდომარედ, თქვით, რომ პატრიოტი კაცი გინდათ, რომელიც საღად აფასებს დღევანდელ რეალობას და მომავალშიც იყურება.

„წვიმის ბიჭებო“, კობა დავითაშვილო, დავით ბერძენიშვილო, ზვიად ძიძიგურო, თინათინ ხიდაშელო, გიორგი თარგამაძე, ირაკლი იმნაიშვილო, ინგა გრიგოლია, ქეთი დოლიძე, გია ბუღაძე, დავით კიკალიშვილო, დავით გამყრელიძე და თქვენც — დავით გოგიჩაიშვილო და ნიკა ქავთარაძე, თუ მხოლოდ „თეთრ პიარს“ არ ემსახურებით, თქვით, რომ „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ ხელმძღვანელი კულტურული კაცი უნდა იყოს, განათლებული და ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილების მქონე. დაჯილდოებული უნდა იყოს ორგანიზატორობის და წარმოსახვის უნარით, ფანტაზიის და იუმორის გრძნობით. ამასთან, შეუპოვრობითაც გამოირჩეოდეს.

პირადად მე ასეთ კაცად გია ჭანტურიას ვცნობ. ხომ გახსოვთ, ის „დარდუბალას“ შემქმნელია.

**ჯანეტა ქორიძე**

◎ ინფორმაცია

### ფინანსთა სამინისტრო ფულს არიგებს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გუშინწინ 33 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა, აქედან 22,55 მილიონი ლარი სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მიიღო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, გადარიცხული თანხიდან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი 972.6 ათას ლარს პროგრამული ხარჯების დასაფინანსებლად, ხოლო 21 577 600 ლარს პენსიონერთა ივლისის თვის პენსიების გასაცემად დახარჯავს.**

**ამასთან, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერებისათვის 5 392 900 ლარი გამოყო, საბიუჯეტო ორგანიზაციებში მივლინებების, სხვა საქონლის და მომსახურების, აგრეთვე კაპიტალური ხარჯებისათვის 1 953 400 ლარი გაიცა.**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად 9.1 ათასი ლარი მიიღო, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი 4.5 ათასი ლარი.**

**სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისთვის ბიუჯეტიდან 2 837 700 ლარი გაიცა.**

### გარემოვაჭრეები იძულებით დაშალეს

**გუშინ, დაახლოებით 100-მდე გარემოვაჭრე ქუთაისის მერიის შენობასთან მიიჭრა და მინები დაამსხვრია.**

**გუშინ დილიდან ქუთაისში რუსთაველის გამზირი 300-მდე ადამიანმა გადაკეტა. აქციის მონაწილეები ის გარემოვაჭრეები არიან, რომლებიც ადგილობრივმა მთავრობამ სხვადასხვა ტერიტორიიდან ერთი თვის წინათ იძულებით გაიყვანა. სანაცვლოდ, ხელისუფლებას გარემოვაჭრეებისთვის ახალი ადგილი უნდა მოეძებნა, თუმცა დანაპირები ჯერჯერობით არ შეასრულა.**



**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქუთაისის ვიცემერმა ბესო ბრეგაძემ განუცხადა, ნაწილი მოვაჭრეების დაკმაყოფილებულია, ხოლო დანარჩენს უახლოეს ხანში გამოუყოფენ სავაჭრო ადგილებს.**

**გარემოვაჭრეები გზის გახსნას არ აპირებდნენ, თუმცა სამართალდამცველებმა ისინი იძულებით დაშალეს. სწორედ დაშლის შემდეგ, აქციის მონაწილეები მერიის შენობასთან მიიჭრნენ და ფანჯრების მინები დაამსხვრიეს.**

### ჭუბურხინჯის შეხვედრაზე

**ჭუბურხინჯში ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა დასრულდა. გუშინ მხარეებმა კონფლიქტის ზონაში გასული კვირის განმავლობაში შექმნილი სიტუაცია განიხილეს. აღინიშნა, რომ გასული კვირა სტაბილური იყო და არ მოხდა არანაირი დარღვევები. ქართულმა მხარემ დააყენა გალის რაიონში, ბოლო ორი კვირის განმავლობაში რამდენიმე გატაცების საკითხი და რუსეთის სამშვიდობო ძალებს მოსთხოვა, უფრო ქმედითი ღონისძიებები გაატარონ ქართველი და აფხაზი ერთობლივი კრიმინალური ჯგუფების თარეშის აღსაკვეთად, რაზეც რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან დაეხმარონ როგორც ქართველ, ასევე აფხაზ სამართალდამცველებს ერთობლივი ოპერაციების ჩატარებაში. მათი თქმით, არ მიიღებენ მონაწილეობას იარაღით ოპერაციებში, თუმცა დაეხმარებიან მხარეებს ეჭვმიტანილების დაკავებაში.**

### ნარკოტიკების მომხმარებლები არ გამოვლინდნენ

**საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი თანამშრომლები არ გამოვლინდნენ.**

**ერთი კვირის წინათ ჩატარებული შემოწმების შედეგები გუშინ გახდა ცნობილი.**

**ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ნიკა გეგუჩაძის განცხადებით, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერიოდულად, ნარკოლოგიური ტესტების ჩაბარება საჭირო პროცედურა გახდება.**

ინტერპრესნიუსი

### ანტიადამიანური, ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება

**ლეიბორისტული პარტია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეიტანს. როგორც პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ისინი ელექტროენერგიის კოლექტიური მრიცხველების შემოღებას ასაჩივრებენ.**

**„2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში დაიწყება კოლექტიური მრიცხველების დამონტაჟება და გაუქმდება ინდივიდუალური მრიცხველები. ეს კი ნიშნავს იმას, რომ უკვე გაურკვეველი იქნება, თუ რომელმა ოჯახმა რამდენი ელექტროენერგია დახარჯა — ზოგს, შეიძლება, სახლი ელექტრომოწყობილობებით ჰქონდეს სავსე, ზოგს კი ერთი ნათურის მეტი არაფერი ენთოს. ეს არის ანტიადამიანური, ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელიც არღვევს, როგორც მომხმარებლის, ისე ზოგადად ადამიანთა უფლებებს. გამომდინარე აქედან, ჩვენ სარჩელი შეგვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოში და დარწმუნებულები ვართ გავიმარჯვებთ“, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა**

**საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს ლეიბორისტული პარტიის წევრი, პარლამენტარი თემურ დოლიშვილი შეიტანს.**

მედიანიუსი

◎ სტიქია

# ყველას გასწვდება „სახელმწიფოს ქოლგა“?

## დახმარებების გაცემა დაიწყო, მაგრამ ვითარება კვლავ მძიმეა

**მივეჩვიეთ: მალე ვივიწყებთ იმას, რაც გუშინ იყო. დასკვნებიც, სამწუხაროდ, შესაბამისია. ასე რომ არა, გვეხსომებოდა, თუნდაც, ოთხმოციანი წლების სტიქიური მოვლენები, რომლებმაც აუწონელი ზარალი მიაყენა საქართველოს მთასა და ბარს. არც მომდევნო წლებში ვიყავით განებივრებული — იმავე მიზეზით დავკარგეთ ასეულობით ჰექტარი სავარგული, გზები, ხიდ-ბოგირები, საცხოვრებელი სახლები. რაც დრო გადის, შედეგები მით უფრო სავალალოა, ვინაიდან აღმკვეთი ღონისძიებები თითქმის აღარ ხორციელდება. სწორედ ამან შვა სახელმწიფო მოხელეთა შორის მოარული აზრი „მთელ საქართველოს ქოლგას ვერ გადააფარებ“. ახლა ბავშვსაც რომ ჰკითხო, ისიც კი გეტყვის, რომ ჩვენი უბედურების დიდი ნაწილი ჩვენივე დაუდევრობის მიზეზია. რედაქციაში შემოსული წერილების ავტორები ადასტურებენ, რომ მასობრივი ნგრევა განაპირობა ტყეების უთავბოლო გაჩეხვამ, დამცავ ნაგებობათა რეაბილიტაციის უგულებელყოფამ.**

**არ ვიცი, როდემდე გვეხსომება ამ გაზაფხულის ავზნიანობა, როგორი სიზუსტით აღვნუსხავთ დანაკარგებს. ერთი რამ უდავოა: რომ გამონახულიყო სახსრები ინფრასტრუქტურების მოსაწესრიგებლად და სტიქიურად საშიშ რეგიონებში წინასწარი სამუშაოების შესასრულებლად, ამდენი ხარჯის გაწევა აღარ მოგვიხდებოდა, არც მოსახლეობა აღმოჩნდებოდა ასეთ მძიმე მდგომარეობაში.**

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲔᲑᲛᲐ, ზვავებმა და მეწყერებმა დიდი ზიანი მიაყენა ონისა და ლენტეხის რაიონებსაც. ამ დღეებში ორივე რაიონში იმყოფებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე **ლელა მეტრეველი**. რომ იტყვიან, ჩვენ „ცხელ კვალზე“ შევხვდით, რათა ერთად გაგვერკვია, როგორ სრულდება მთავრობის განკარგულებები სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის შესახებ. როგორც ქალბატონმა ლელამ ბრძანა, შედეგები გაცილებით მძიმეა, ვიდრე მოელოდა. ლენტეხში მთლიანად დაინგრა ან საცხოვრებლად უვარგისი გახდა 101 სახლი, ონში — 48.

— ამა წლის 2 ივნისს მთავრობამ გამოსცა 216-ე განკარგულება და ჩვენს სამინისტროს უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისთვის დახმარების სახით 5 ათასი ლარის გაცემა დაავალა.

**— ვინ ადგენს დაზარალებულთა სიებს?**

— რაიონული გამგეობები მხარის რწმუნებულთან შეთანხმებით. გამოკვეთილია დაზარალებულთა შემდეგი კატეგორიები: სახლი და ეზო წალებულია მთლიანად; სახლი არ დანგრეულა, მაგრამ მდინარის კალაპოტი მისულია ნაგებობის კედლამდე; სახლი დგას, მაგრამ მთლიანად ან ნაწილობრივ წაღებულია ეზო და დამხმარე სათავსოები; სახლი და ეზო ადგილზეა, მაგრამ წაღებულია გზა და 1-2 მეტრია დარჩენილი მდინარის ახალ კალაპოტამდე. ამის გარდა, ლენტეხის რაიონში არის კიდევ ორი კატეგორია: ოჯახები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სვანეთში და სხვა რაიონებში არასოდეს წასულან, ოჯახები, რომლებიც 1987 და შემდგომ წლებში სხვა რაიონებში ჩასახლებას ექვემდებარებოდნენ.

**— და არსად წასულან?**

— დიახ. არ წასულან, ვინაიდან სახლი ან არ აუშენეს, ან არ დაუმთავრეს, გადავიდნენ ახალ დასახლებაში, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ საკუთარი სურვილით უკან დაბრუნდნენ და კომლად აღდგნენ. არის შემთხვევები, როცა ძველ სახლში ოჯახის ნაწილი დარჩა, ნაწილი კი დაბრუნდა და კომლად აღდგა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი ოჯახი გამრავლდა. ზოგიერთი ოჯახი თავის დროზე გასასახლებელთა სიებში არ შეუყვანიათ, ძველ საცხოვრებელ ადგილზე დარჩა და წლეულს განმეორებით დაზარალდა. არიან ისეთებიც, ვინც საკუთარი სახსრებით ააგო ახალი საცხოვრებელი სახლი და ახლა დაზარალდა.

**— თქვენი თვალით რაც ნახეთ, იმაზე რას გვეტყვით?**

— ლენტეხის რაიონში უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელი ფანაგა. სოფლის მისასვლელთან წყალმა წაიღო ხიდი, რომელიც მხოლოდ 8 ივლისს აღდგა. თვით სოფელში ოთხი ეზოს გასწვრივ წაღებულია გზა და სხვა სოფლებში მიმოსვლა შეწყვეტილია. მოსახლეობას ეზოების გავლით ზურგით გადააქვს საჭირო ტვირთი. ცხენისწყალი პირდაპირ ეზოებთან მიედინება. რამდენიმე სახლის პირველი სართული ქვა-ღორღით არის სავსე. დანგრევით მხოლოდ ერთი სახლია დანგრეული, მაგრამ გეოლოგიური დასკვნის მიხედვით ფანაგა მთლიანად გადასახლებას ექვემდებარება. ანალოგიური მდგომარეობაა წანაშსა და ფაყშიც.

**— თქვენ ზემოთ კატეგორიები ახსენეთ. ეს, ალბათ, პირობითი შეფასებაა, მაგრამ რაიონებში სწორად თუ გაშიფრეს?**

— სამწუხაროდ, ლენტეხშიც და ონშიც სხვადასხვაგვარად გაიგეს ტერმინი „უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა“. ონის რაიონში არც ერთ დატბორილი სახლის მეპატრონეზე დახმარება არ გაუციათ. დახმარება არ მიუღია ექვსი შვილის მამას ტარიელ მეტრეველს, რომლის სახლის კიბე რიონშია, ნაგებობები — ნაპირზე... ლენტეხის რაიონში კომპენსაციები გაცემულია იმ დაზარალებულ ოჯახებზეც, რომელთა სახლები წყალდიდობისას არ დანგრეულა, ამიტომ პრეტენზიები სხვა ოჯახებსაც გაუჩნდა. ასეთი ოჯახები ორივე რაიონში გაცილებით მეტია, ვიდრე მთავრობის განკარგულებაშია მითითებული. გარდა ამისა, ონის რაიონში დახმარება არ გაცემულა ისეთ დაზარალებულ ოჯახებზეც, რომლებიც იქ მუდმივად არ ცხოვრობენ, რომელთა სახლი არ დანგრეულა, მაგრამ დიდი მატერიალური ზარალი ნახეს. აქვე დავძენ, რომ ონის რაიონში იგეგმება 1991 წელს მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება. მათ შორის არის ოჯახები, რომლებიც ვაგონებში ან ფიცრულ ნაგებობებში ცხოვრობენ. არის შემთხვევები, როცა დაზარალებული ცხოვრობს ონის რაიონში, რეგისტრირებული კი სხვაგან არის. დაზარალებულთა ნაწილი, რომელიც ახლა ვაგონებში ან ფიცრულ ნაგებობებშია შეხიზნული, უკეთეს მდგომარეობაშია, ვინაიდან სახელმწიფომ 1991-92 წლებში სამშენებლო მასალებით მოამარაგა. აღსანიშნავია, რომ 1991 წელს სახელმწიფომ ზოგიერთი გაყოფილი ოჯახისთვის ერთი დანგრეული სახლის სანაცვლოდ ორი ან მეტი სახლის მშენებლობა წამოიწყო, მაგრამ ვეღარ დაამთავრა... ახლა მათი უმეტესი ნაწილი თითქმის განადგურებულია.



**— თქვენ, ცხადია, მოსახლეობასაც შეხვდებოდით.**

— შევხვდი და გავარკვიე მათი განწყობილებაც. ისინი მთის დაცლის კატეგორიული წინააღმდეგი არიან და მოითხოვენ, რომ დახმარების დიფერენციაცია მოხდეს ზარალის გათვალისწინებით; სადაც შესაძლებელია, დაუბრკოლებლად გაიცეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები; გაიცეს გრძელვადიანი სესხები, რათა უსაფრთხო ადგილზე საცხოვრებლის აშენება შეძლონ. ლენტეხის რაიონში მოსახლეობის ნაწილი მოითხოვს სახლების შესყიდვას მთელი სოფლისთვის ერთ ადგილზე.

**— ადგილობრივი ხელისუფლების აზრი როგორია?**

— ისიც საჭიროდ მიიჩნევს დაზარალებულთა კატეგორიების გამოკვეთას და დახმარების დიფერენცირებას. არის ასეთი აზრიც: ფულადი დახმარება მოსახლეობამ შეიძლება სხვა მიზნით გამოიყენოს, ან საერთოდ მიატოვოს რაიონი. ასეთ შემთხვევაში ისევ დარჩება ვაგონები და ფიცრულები, სტიქიასაშიში დასახლებები. ონში შესაძლებლად მიაჩნიათ დანგრეული კომუნალური ბინების სანაცვლოდ (ასეთი ოჯახი 40-მდეა), ბინების ისევ კორპუსებში შესყიდვა, რაც გაცილებით იაფი დაჯდება და ბევრი ოჯახიც დაკმაყოფილდება.

მიმაჩნია, რომ დაპირისპირებათა თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას უფრო გასაგებად უნდა განემარტოს, ვინ და რა კატეგორიის დაზარალებული მიიღებს დახმარებას, ამ პროგრამის განხორციელება შემდგომშიც გაგრძელდება თუ არა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორივე რაიონში არის ბევრი ხანდაზმული, შრომისუნარიანთა დიდი ნაწილი კი საარსებო წყაროს მოსაძიებლად უცხოეთშია წასული...

**დიახ, სურათი არც ისე ოპტიმისტურია. ისედაც მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე რაიონებში სტიქიამ ახალი თავსატეხი დააგროვა. მიგრაციის პროცესი რომ არ გაძლიერდეს, ლელა მეტრეველს მიაჩნია, რომ განსახლების პრობლემები დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით უნდა გადაიჭრას. ეს რამდენიმე უწყების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. მათ საქმიანობას კოორდინაცია, ალბათ, საგანგებო სახელმწიფო კომისიამ უნდა გაუწიოს.**

**ელგუჯა ლებანიძე**







ასე გამოიყურება სტიქიით დაზარალებული [illegible] ლენტეხისა და ონის რაიონებში.
კობა მერკვილაძის ფოტო.

# გიორგი ჭყონდიდელი – საქართველოს დიდი შვილი

## ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი დამსახურებისთვის...

***წლეულს, 31 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალური ეკლესიის წმინდა სინოდმა საქართველოს ფაზისის აკადემიიდან მიიღეს წერილი, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:***

„ჩვენი ერისა და ქვეყნის დღევანდელობამდე მოტანილი სიცოცხლე ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა და თანამედროვეთა „უქარქაშო ხმლის“ დამსახურებაა. ერი, რომელიც პატივს არ მიაგებს ღირსეულთ, კვდება. ჩვენ კი, უფლის მადლითა და წყალობით, მომავალშიც გადავრჩებით, რადგან მუდამ პატივს მივაგებდით და დღესაც ვაფასებთ ღირსეულსა და ღირებულს...

ფაზისის (კოლხეთის) საერო აკადემია (რომელიც ცნობილი პოლიტიკური კატაკლიზმების გამო არ ფუნქციონირებდა და თქვენი ლოცვა-კურთხევით 1996 წლის 24 ნოემბერს განაახლა მუშაობა) შუამდგომლობს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წინაშე: 1. ფოთისა და ხობის ეპარქიას (რომლის ფუნქციონირება თქვენი ლოცვა-კურთხევით 1995 წელს აღდგა) დაუბრუნდეს III-X საუკუნეების ისტორიული სახელწოდება და ფოთისა და ხობის ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნებით იწოდებოდეს ფაზისის ეპარქიად; 2. განიხილოს საკითხი გამოჩენილი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწის, სააჯო (სასამართლო) კრების თავმჯდომარისა და ქვეყნის პირველი ვაზირის, უფლისწულის აღმზრდელისა და მწიგნობართუხუცესის, მეფე მესიის, დიდი დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის ისტორიული საეკლესიო კრების მიერ გატარებული სახელმწიფო და საეკლესიო რეფორმების თანაავტორის, სულმნათი გიორგი ჭყონდიდელის ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი დამსახურებისთვის წმინდანად კანონიზირების შესახებ; 3) ფოთის სასულიერო გიმნაზიას, რომელიც იფუნქციონირებს ფაზისის ეპარქიაში, მიენიჭოს ცოტნე აღმსარებლის (დადიანის) სახელი.

დასმული საკითხების განხილვისთვის, ისტორიული წყაროებისა და საფუძვლის სახით გაახლებთ ცნობილი მეცნიერების, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების მიერ ამ თემებზე გამოკვლეულ მასალებს.

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ფაზისის საერო აკადემიის მუშაობისადმი გამოჩენილი გულისხმიერი ყურადღებისა და დღემდე გაწეული მხარდაჭერისთვის.

თქვენი ლოცვა-კურთხევით ღმერთმა დალოცოს, გაამთლიანოს და ააღორძინოს სრულიად საქართველო.

**ცოტნე მირცხულავა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი; როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა და ფაზისის საერო აკადემიების აკადემიკოსი; ანდრია აფაქიძე – საქართველოს მეცნიერებათა და ფაზისის საერო აკადემიების აკადემიკოსი; ნოდარ ჭითანავა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის თანაპრეზიდენტი, თეიმურაზ მიბჩუანი – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო აკადემიისა და საზოგადოება „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი; გია ელიავა – ფაზისის საერო აკადემიის წევრი, მარტვილის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი; ლიანა წურწუმია – ფაზისის საერო აკადემიის სწავლული მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

## წმიდანთა დასში შეირაცხა

2005 წლის 27 ივნისს საპატრიარქოში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. სხდომა გახსნა და მას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიტყვით მიმართა მღვდელმთავრებს და განსახილველად შესთავაზა რამდენიმე საკითხი, მათ შორის: წმინდანთა კანონიზება.

წმიდა სინოდმა განაჩინა: *წმინდანთა დასში შეირაცხოს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი.*

მისი ხსენების დღედ დადგინდეს 12 სექტემბერი (ძვ. სტ.) – 25 სექტემბერი (ახ. სტ).

**საქართველოს ისტორიაში გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს გამორჩეული ადგილი უკავია. ძნელია ვისაუბროთ დავით IV აღმაშენებლის ეპოქაზე, ამ დროს განხორციელებულ სახელმწიფოებრივ რეფორმებზე, საქართველოს გაერთიანებაზე, რომ გიორგი ჭყონდიდელის ღვაწლი სათანადოდ არ აღინიშნოს.**

## კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულითა და ხორცითა...

იმ მწირი ცნობების კვალობაზეც კი, რაც გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შესახებაა ჩვენს წერილობით წყაროებში, იგი საკმაოდ მასშტაბურ, პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოჩინდება. როგორც დავით აღმაშენებლის მემატიანე, ისე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების "ძეგლისწერის" ავტორი ისეთი სითბოთი და სიყვარულით იხსენიებენ გიორგი ჭყონდიდელს, ამ რამდენიმე მინიშნებითაც კი აშკარაა, რა როლს ასრულებდა იგი XI-XII საუკუნეების მიჯნის საქართველოში.

ავტორი მატიანისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ გვამცნობს, რომ გიორგი იყო „თანა-აღზრდილი (პატრონთა), აღმზრდელი პატრონისა და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა“. ეს სიტყვები ნათლად მიუთითებენ, რომ გიორგი და დავითი ერთი თაობისანი უნდა ყოფილიყვნენ. იქნებ ამიტომაც მემატიანე მას მეფესთან „თანა-აღზრდილს“ უწოდებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე გიორგისა და დავითს უანგარო სიყვარული და ერთგულება ჰქონდათ ერთურთისა. ასეთი ურთიერთობა ერთ და ორ წელში არ ყალიბდება. ამას დრო სჭირდება და იქნებ ამიტომაც აღნიშნავს მემატიანე, გარდა „თანა-აღზრდილისა“, გიორგი იყო დავითის „თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა“.

წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ გიორგი ჭყონდიდელი დავით IV-ის ყველა ღონისძიების მონაწილე და ერთ-ერთი წარმმართველია. ამიტომ მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს: გიორგი ჭყონდიდელი დავითის „ყოველთა გზათა და საქმეთა და ღვაწლთა“ მოზიარე იყოო.

დავით აღმაშენებელი პრინციპული, ენერგიული, შეუპოვარი პოლიტიკოსი გახლდათ. მხოლოდ ასეთ ადამიანს თუ შეეძლო მტერთაგან აოხრებული, გაჩანაგებული ქვეყანა აზიაში ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოდ ექცია. დავითის გვერდით მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელიც ენერგიული და მიზანმიმართული პიროვნება ჩანს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, გიორგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი“. აქ ყურადღებას მემატიანის ერთ მნიშვნელოვან მინიშნებას მივაქცევთ. იგი გიორგის „ფრთხილს“ უწოდებს. როგორც ჩანს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი საკმაოდ ზომიერი პოლიტიკოსი ყოფილა, რომლისათვის უცხო იყო სიფიცხე, სიჩქარე. ეს დეტალი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიშნით ავსებს გიორგის პოლიტიკურ პორტრეტს.

გიორგი პირველად რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ იხსენიება. მართალია, ამ დოკუმენტის ბოლოში დართულ საერო თუ სასულიერო პირთა ჩამონათვალში გიორგი ბერი მხოლოდ მეშვიდედ მოიხსენიება, მაგრამ ამ ორ წინადადებაშიც კარგად ჩანს მისი გამორჩეული ღვაწლი. „ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თვალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა მრავალმცა არიან წელნი“, – აღნიშნულია „ძეგლისწერაში“. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება უდიდესი მოვლენა იყო ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. XI ს-ის II ნახევარში საქართველოში შექმნილმა მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია საქართველოს დედა ეკლესიას. მემატიანის თქმით, „წმიდანი ეკლესიანი სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა“ ბუდედ ქცეულიყო. საეკლესიო თანამდებობები „უღირსთა და უწესოთა... დაეპყრნეს“. საჭირო იყო დიდი გარდაქმნების მოხდენა ეკლესიაში და ეს ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან მეფე და მისი ერთგული თანამებრძოლები უღირს საეკლესიო პირთაგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. მაგრამ მეფის გვერდით იდგა სასულიერო პირთა მთელი დასი, გიორგის მეთაურობით, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მომავალზე ფიქრობდა. მათ ეკლესიის საფუძვლიანი გარდაქმნა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება გადაწყვიტეს. ამ საქმეში მეფის გვერდით უპირატესად გიორგის ვხედავთ. შემთხვევითი არ უნდა იყოს თანამედროვეთაგან გიორგის „თვალად... კრებისად“ მოხსენიება. ეს გვაფიქრებინებს, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე გატარებული რეფორმების ერთ-ერთი მოთავე სწორედ გიორგი შეიძლება ყოფილიყო.

აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი რეფორმები ყველა სფეროს შეეხო – სამხედროს, საეკლესიოს, ადმინისტრაციულს, კულტურულს... თითქმის ყველა ამ საქმეში გიორგი, როგორც ითქვა, მეფის გვერდითაა. 1104 წელს ე. ი. რუის-ურბნისის კრების დროს, გიორგი მხოლოდ მწიგნობართუხუცესია. 1110 წელს კი მემატიანე მას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პატივით იხსენიებს. ამ ორი ფაქტის შეპირისპირების საფუძველზე ფიქრობენ ისტორიკოსები, რომ დავითს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტი 1103-1110 წლებში უნდა დაეწესებინა. მაგრამ უფრო დამაჯერებლად ჩანს, რ. მეტრეველის ვარაუდი, რომ ეს თანამდებობა 1104-1105 წლებში დაწესდა.

დავით აღმაშენებელმა მაღალი საეკლესიო და საერო თანამდებობები გააერთიანა. ამ დროს ჭყონდიდელი, ანუ ჭყონდიდის (დღევანდელი მარტვილის რაიონი) ეპისკოპოსი უკვე გავლენიანი საეკლესიო იერარქია. თავის მხრივ სამეფო კარზე დიდი გავლენა ჰქონდა მეფის პირადი კანცელარიის ანუ სამდივნოს ხელმძღვანელს მწიგნობართუხუცესსაც. ამ ორი სახელის (თანამდებობის) გაერთიანებით გაჩნდა ე.წ. პირველი კანცლერის თანამდებობა. ეს გახლდათ პირველი ვაზირი, რომელიც დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. XIV ს-ის ძეგლში „ხელმწიფოს კარის გარიგებაში“ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „მამა არს მეფისა“. ეს თვალნათლივ მიუთითებს სამეფო კარზე ამ ინსტიტუტის განუზომელ ფუნქციაზე. ახალი თანამდებობის პირველი მფლობელი დავითის უერთგულესი თანამებრძოლი გიორგი ბერი გახლდა. ალბათ, გიორგის გამორჩეულმა პიროვნულმა თვისებებმა მისცა ბიძგი საქართველოს მეფეს, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. შემდგომში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დავით აღმაშენებელი არჩევანში ნამდვილად არ შემცდარა.



გიორგი გეგეჭკორის ფერწერა

გიორგი ჭყონდიდელი სასულიერო პირი იყო, მაგრამ აქტიურად ერეოდა ქვეყნის სამხედრო საქმიანობაში. სწორედ მასზე შეიძლება ითქვას, რომ ლოცვითა და ხმლით ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას და გაძლიერებას. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი უმნიშვნელოვანესი ციხეების აღება, როგორიც იყო სამშვილდე და რუსთავი.

ლეონტი მროველის მიხედვით, სამშვილდის ციხე ქართლოსს აუშენებია. ფარნავაზის დროს იგი საერისთავოს ცენტრი ხდება. არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, თბილისის საამიროს შემადგენლობაში შევიდა. X ს-ის ბოლოდან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქია. XI ს-ის 60-იან წლებში სამშვილდეს დროებით ბაგრატ IV დაეპატრონა, მაგრამ თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი შემოსევების დროს საქართველოს სამეფო კარმა ვერ მოახერხა სამშვილდის შენარჩუნება. ამ ციხე-ქალაქს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასზე გადიოდა ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი. გარდა ამისა, სამშვილდე საკმაოდ ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო და აუღებელ ციხეთა რიცხვს ეკუთვნოდა. იგი მდებარეობდა მდინარეების ჭივჭავისა და ხრამის (ქცია) შესართავთან არსებულ სოლისებრ კონცხზე. ორი მხრიდან დაცული იყო საკმაო ღრმა ხრამით. შიგ შესვლა მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა და ეს მხარეც მასიური კედლით იყო შემოზღუდული.

სამშვილდის ასეთი სტრატეგიული მდებარეობის გამო, მისი აღების ოპერაცია სამეფო კარმა საგანგებოდ დაგეგმა. კარგა ხანს ეს გეგმა საიდუმლოდ ინახებოდა. მისთვის გიორგი ჭყონდიდელს უნდა ეხელმძღვანელა. გეგმის მიხედვით დავით აღმაშენებელი აფხაზეთში გადავიდა, რათა მტრის ყურადღება მოედუნებინა. ამასობაში გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თაოსნობით ფარულად შეიკრიბნენ თევდორე კლდეკარის გამგებელი, აბულეთ და იოვანე ორბელები და სამშვილდე გარემოიცვეს. ქალაქში მყოფი მოკავშირეების მეშვეობით ქართველებმა მალე მოახერხეს ამ აუღებელი ციხესიმაგრის დაკავება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხატოვნად აღნიშნავს, რომ ქართველებმა „მოიპარეს სამშვილდე“. თურქ-სელჩუკთათვის ისე შემაძრწუნებელი იყო სამშვილდის დაკარგვა, მათ ქვემო ქართლის არა ერთი ციხე მიატოვეს. „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე მეოტ იქმნნეს, ხოლო ჩვენ თანა მოითვალნეს იგინი“. ეს ამბავი 1110 წელს მოხდა.

ხუთი წლის შემდეგ გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავის ციხეც შემოუმტკიცა დედა სამშობლოს. ქალაქი რუსთავი ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. თბილისიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ მიმავალი ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო გზა სწორედ რუსთავზე გადიოდა. ამასთანავე, რუსთავის ციხე თბილისის აღმოსავლეთი კარიბჭე იყო. სამეფო კარმა შესანიშნავად იცოდა რუსთავის მნიშვნელობა და ამიტომაც, თბილისის აღებამდე, დავითი ამ ქალაქის შემომტკიცებას შეეცადა. მეფემ ეს სამხედრო ოპერაციაც თავის ერთგულ თანამებრძოლს გიორგი ჭყონდიდელს მიანდო. ამჯერადაც, ქართველებმა სამხედრო ხრიკს მიმართეს. დავითი მუხრანში იმყოფებოდა, საბრძოლო მოქმედებებიდან მოშორებით, საფიქრელია, მტრის ყურადღების მოსადუნებლად. ქართველებმა ადვილად დაიკავეს რუსთავის ციხე და კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა აგემეს მომთაბარე თურქ-სელჩუკებს.

ამ ორი სტრატეგიული ციხე-ქალაქის ხელში ჩაგდებით საქართველოს სამეფო კარმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პროცესების ერთ-ერთი მონაწილე და მეთაური გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია.

მსოფლიო ისტორიაში ბევრი არ არის იმის მაგალითი, რომ მეფე და მისი პირველი ვეზირი ასე ენდობოდნენ და თავიანთი საქმიანობით ასე ავსებდნენ ერთმანეთს. საქართველოს ისტორიამ იცის, რომ ქართველი პოლიტიკოსები ხშირად ინტრიგებს უფრო დიდ დროს ახარჯავდნენ, ვიდრე აღმშენებლობას. სხვაგვარად იყო დავით აღმაშენებლის ეპოქაში. მას გვერდით ერთგულთა მთელი დასი ჰყავდა, რომლებიც მეფეს პოლიტიკურად კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ, მასთან ერთად ზრუნავდნენ ქვეყნის აღმშენებლობაზე. ამ წარმატებებში უპირველესად გიორგი ჭყონდიდელს მიუძღვის დიდი წვლილი.

გიორგი აქტიურადაა ჩაბმული ყივჩაღთა ჩამოსახლების საქმეშიც. იგი დავითთან ერთად მიემგზავრება ოსეთში ადგილობრივ მეფეებთან მოსალაპარაკებლად, რათა მათ ყივჩაღებისთვის საქართველოში გადმოსასვლელად გზა მიეცათ. სამწუხაროდ, გიორგისთვის ეს მოგზაურობა უკანასკნელი აღმოჩნდა, ოსეთში ყოფნისას იგი უეცრად გარდაიცვალა.

საქართველომ ერთგული მოღვაწე დაკარგა, მაგრამ ყველაზე მეტი დანაკლისი მაინც დავით აღმაშენებელმა განიცადა. გვერდით აღარ ჰყავდა თანამებრძოლი და უდიდესი დასაყრდენი. ამიტომაც ყველაზე მეტად სწორედ მან იგლოვა და ორმოცამდე შავი არ გაუხდია, მთელს სამეფოშიც გლოვა გამოაცხადა.

გიორგი მწინობართუხუცეს-ჭყონდიდელი დიდი პატივით წამოასვენეს და გელათის მონასტერში დაკრძალეს.

აი, ეს კაცი შერაცხა საქართველოს წმინდა სინოდმა წმინდანად.

**როინ მეტრეველი,**
**ჯაბა სამუშია,**
**ზაზა აბაშიძე.**

## კერა, სადაც მოღვაწეობდა დიდი მასწავლებელი და იწრთო დიდი მოსწავლე

**სახელგანთქმულ საეკლესიო-საგანმანათლებლო კერებს შორის ბრწყინავდა ჭყონდიდი, თავისი დიდებული მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის შესანიშნავი ტაძრით (VII საუკუნის დასაწყისი). ეს კერა დაფუძნებული იყო „ჭყონდიდის“ („დიდი მუხის“) უძველესი წარმართული სალოცავის საფუძველზე.**

თუ საეკლესიო ტრადიციასა და გადმოცემებს ვერწმუნებით, საქართველოში ქრისტიანობის პირველი გამავრცელებელ-მოქადაგე მოციქული ანდრია პირველწოდებული მოვიდა ჭყონდიდს, იქადაგა ქრისტეს მოძღვრება, არწმუნა ხალხი კერპის მიმართ რწმენის სიცრუეში, თვითვე შემოკრა ცული წმინდანად მიჩნეულ ხეს და მოჭრა იგი. ასე ეზიარა ძველი წარმართული სარწმუნოების გამორჩეული კერა ახალ რწმენას.

მარტვილის უძველესი ეკლესია ჯვრის ტიპის მაღალმხატვრული ნაგებობაა. როგორც აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა უჩვენა, მარტვილის ეკლესია აგებულია მცხეთის ჯვრის მაგალითითა და გამოცდილებით, მაგრამ მარტვილელი ოსტატი მაინც თემის შემდგომ განვითარებას და თავისუფალ ინტერპრეტაციას გვაძლევს.

მარტვილ-ჭყონდიდის ისტორიაში შემდგომი ეტაპი X საუკუნიდან დგება. ამ დროისათვის (VIII საუკუნის ბოლოდან) დასავლეთ საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკლესიურად განთავისუფლდა ბიზანტიის ბატონობა-მეურვეობისაგან. აფხაზთა ერისთავებმა გააერთიანეს აფხაზთა საერისთავო და ეგრისი, შექმნეს ე. წ. აფხაზთა სამეფო, რომელიც სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა მსგავსად იმთავითვე აქტიურად ჩაება საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში. იმ ზოგადქართული პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც აფხაზთა მეფეები ატარებდნენ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიას. მათ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა დასავლურ-ქართულ ეკლესიაში ბიზანტიის გავლენის აღმოფხვრა და მცხეთის საეკლესიო ტახტისადმი მისი დაქვემდებარება, დამკვიდრება ახალი საეპისკოპოსოებისა, რომლებშიც იმთავითვე ქართული სული ტრიალებდა.

ერთ-ერთ ასეთ ახალ საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა მარტვილიც.

იმ დროისთვის მარტვილის VII საუკუნის საყდარი, როგორც ჩანს, ჟამთა სიავისაგან დანგრეული იყო



და აფხაზეთი მეფე გიორგი II-მ (923-958) „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლეთა წმინდათა მარტვილსათა“. ასე დაფუძნდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, რომლის მნიშვნელობა და როლი თანდათან და სწრაფად იზრდებოდა, ისე რომ, XI საუკუნეში ჭყონდიდელი უკვე მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა.

ჭყონდიდის მონასტერი იმთავითვე მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. X საუკუნეში, გიორგი II-ის დროს აქ მოქმედებდა ჰიმნოგრაფიული სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ ოიანე მინჩხი და სტეფანე სანანოის ძე.

აი, სწორედ ასეთ დაწინაურებულ საეკლესიო კერასთან იყო დაკავშირებული დავით აღმაშენებლის დიდი თანამოღვაწე გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნის 70-იან წლებში ბერად შედგა ჭყონდიდის, ანუ მარტვილის მონასტერში.

ეს გიორგი მონაზონი, როგორც თავდაპირველად იწოდებოდა, მარტო შემდგომი ხანის თანამოღვაწე კი არ იყო დიდი მეფისა, არამედ მისი აღმზრდელი და ამ გზის გამკვალავი ტახტზე ასვლის შემდეგ პირველ წლებში. ამრიგად, დავითის ჩამოყალიბებას, როგორც დიდი პიროვნების, უგანათლებულესი ადამიანის, გამჭრიახი და ფხიზელი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრისა, უმნიშვნელოვანეს წილად უნდა ვუმადლოდეთ სწორედ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გიორგი ჭყონდიდელი შესაძლოა დავითის ნათესავიც ყოფილიყო (თ. ჟორდანია), მაგრამ ეს მოსაზრება ვერ დასტურდება (ნ. ბერძენიშვილი). ზუსტად არ ვიცით მისი გვარტომობაც. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი (პროფ. შ. ბადრიძე და სხვანი) ვარაუდობს, გიორგი შეიძლება ლაზი, ანუ მეგრელი ყოფილიყო. მაგრამ ეს როდია მთავარი. ამჟამად ყველა მონაცემი თითქოს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ დავითის „სიყრმითგანთა მსახურება“, მისი აღზრდა უნდა განეხორციელებინა სწორედ დასავლეთ საქართველოს იმდროინდელ წამყვან საეკლესიო საგანმანათლებლო კერაში მოღვაწე პიროვნებას. აღმოსავლეთი და სამხრეთ დასავლეთი საქართველო დავითის ბავშვობაში თურქ-სელჩუკთა ხელთ იყო, მოოხრებულ-დანგრეული და იავარქმნილი. საქართველოს მეფის რეზიდენციას ქუთაის-გეგუთი წარმოადგენდა და, ბუნებრივია, იქ მახლობლობაში, უპირველეს ყოვლისა, დიდებულ ჭყონდიდში მოიძიეს უფლისწულის აღმზრდელი, ხოლო მარტვილის მონასტერში დაყუდებული გიორგი ბერი, უფრო სავარაუდოა, ადგილობრივი მკვიდრი ყოფილიყო.

გიორგი ჭყონდიდელს უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის სახელები და ღვაწლი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს მადლიერი ერის ხსოვნაში. ხალხი პატივს მიაგებს მათ და მოწიწებით ეპყრობა იმ კერასაც, სადაც მოღვაწეობდა მასწავლებელი და იწრთო დიდი მოსწავლე.

**გივი ელიავა,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## გიორგი ჭყონდიდელს

**ო, უხუცესო ბრძენო ქართველო**
**და უწმინდესო სულით და ხორცით,**
**შევცქერებ ახლა შენს ხურათს**
**კრძალვით**
**და ვიხსენიებ შენს სახელს ლოცვით.**

**გიგონებთ შენ და ქრისტეს**
**ჯვრით ხელში**
**თავისუფლების მივდივართ გზისკენ,**
**შენც, ალბათ, ცათა სასუფეველში**
**საქართველოსთვის ლოცულობ ისევ.**

**ფაუსტ ნადარაია.**
**გაზეთ „მარტვილის“ რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.**

## უანგარო მამულიშვილობის მაგალითი

**უამრავი რელიკვია ინახება ჩვენს ოჯახში, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელისადმი და საერთოდ, ჭყონდიდელობისადმი მიძღვნილ მარტვილის ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო სესიის მასალებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სულკურთხეული დედაჩემი, როცა მამულიშვილობის უანგარო მაგალითს მოგვიყვანდა, უპირველესად გიორგი ჭყონდიდელზე გვესაუბრებოდა, ხოლო შემდგომ ცოტნე დადიანის კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო გმირობაზე გვიყვებოდა.**

**ყოველ ეპოქაში, თავისი დროის შესაფერის ადამიანებს უგებენ ძეგლს.**

**ბედნიერი ვარ, რომ მოვიდა დრო გიორგი ჭყონდიდელის საკადრისი ძეგლის აგებისა.**

**ზაზა გოროზია,**
**სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული.**

## ღვაწლით გაბრწყინებული ქართველი სანთელი

**თუ არა დღეს, მაშინ როდის უნდა ითქვას ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომ ჩვენი სამშობლოს მატიანე – „ქართლის ცხოვრება“, ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიის მეორე ტომია, რამეთუ მისი პირველი ტომი – „კოლხეთის ცხოვრება“ – დღემდე შესწავლილისა და საკვლევ-შესასწავლის ბაზაზე შესაქმნელია.** ქუჯის, აიეტის, გუბაზის, ფარტაზის, ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის და სხვა ღირსეულ კოლხთა, გმირ წინაპართა მადლიერი ცოტნეიდელთა შთამომავლობა გულწრფელი სიყვარულითა და დამსახურებული სიამაყით საქვეყნოდ აცხადებს, რომ კოლხეთი ერთიანი საქართველოს ძლიერებაა, სამეგრელო მისი ხერხემალია... ასე იყო, ასე არის და, ღვთის წყალობით ასე იქნება მომავალშიც. ვმადლობთ უფალს ამ წყალობისთვის, ღვთით კურთხეულია ფარი და მახვილი ერთიანი, განუყოფელი და ძლიერი დედა საქართველოისი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დღეს დიდ სიხარულს განვიცდით იმ ფაქტის გამო, რომ 900 წლის შემდეგ საქართველოს წმინდანთა დასში შეირაცხა დიდი ქართველი გიორგი ჭყონდიდელი.

ჭყონდიდელ-აღმაშენებლის ერთობის გარეშე ვერ შედგებოდა დიდი საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

დიდება სულმნათი გიორგი ჭყონდიდელის უკვდავ ღვაწლსა და სულს.

**ნუგზარ ნადარაია,**
**ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.**

# მკითხველი მომავალში მხოლოდ ჭეშმარიტ ლიტერატურას ეყოლება

ესაუბრება თეონა დოლენჯაშვილი



***დაიბადა 1972 წელს. 1995 წელს დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქტელერადიოკომპანიასა და პერიოდულ პრესაში. 2003 წლიდან აქვეყნებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მიღებული აქვს გაზეთ „პარნასის“ ჟილდო 2004 წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის.. მისი მოთხრობები შესულია კრებულებში 2004 წლის „15 საუკეთესო მოთხრობა“ და „ქალის სახე მე-19-20 საუკუნეების მწერლობაში“, პროექტმა „ფიდაიმ“ გაიმარჯვა ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული „იანვრის მდინარე“.***

1. რას ფიქრობთ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● ჩვენს დროში მწერალმა მოიპოვა სიტყვის და აზროვნების თავისუფლება. სიტყვა უფრო თავისუფალი გახდა და მწერალი პირდაპირ ამბობს სათქმელს. ამის გარდა, იგრძნობა სტილისტური თავისუფლებაც, ახალი ფორმების, თვითგამოხატვის ახალი გზების ძიება. ქართული ლიტერატურა თანდათან უახლოვდება დასავლურს, მაგრამ ამავე დროს ენის, ტრადიციების პატივისცემა, საკუთარ ფესვებთან, წარსულთან კავშირი არ უნდა დაიკარგოს და ეს, უპირველესად, ახალი თაობის მწერლებს უნდა ახსოვდეთ. ისე კი, 21-ე საუკუნის ლიტერატურულ ტენდენციებზე საუბარი ალბათ ცოტა ნაადრევია. ამ შემთხვევაში ვასილ კანდინსკის სიტყვები მახსენდება: „რაც უფრო საშინელი ხდება სამყარო, მით უფრო არარეალისტური ხდება ხელოვნება, მაშინ, როდესაც ბედნიერი სამყარო რეალისტურ ხელოვნებას წარმოშობსო“. ასე რომ, არავინ იცის, დრო რას გვიმზადებს.

● რამდენად გამართლებულია ვერ გეტყვით, თუმცა დარწმუნებული ვარ, ამას ვერ ავცდებით. წიგნის, ლიტერატურის კომერციალიზაცია გამალებული ტემპებით მიმდინარეობს და თანამედროვე მსოფლიოში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. მწერალი ერთგვარი „ბრენდი“, „სამარკო ნიშანი“ ხდება და ასეთი ავტორების წიგნები მილიარდობით ტირაჟით იყიდება, მაშინ, როდესაც დიდი მწერლები ჩრდილში არიან მოქცეულნი. თუმცა, მიმაჩნია, რომ მკითხველი ახლაც და მომავალშიც ჭეშმარიტ ლიტერატურას ეყოლება, წიგნს, რომელიც აზროვნების სიღრმით გვაოცებს და ემოციურ და ესთეტიკურ შოკს ახდენს მკითხველზე.

● კარგი მკითხველის დეფიციტი. სერბი მწერალი მილორად პავიჩი ამბობს, მსოფლიოში გაცილებით მეტი ნიჭიერი მკითხველია, ვიდრე ნიჭიერი მწერალიო. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ არის. ტელეეკრანთან საათობით მიმჯდარ ადამიანებს მხატვრული ტექსტის წაკითხვა და მისი სრულყოფილი აღქმა უჭირთ. ამით გამოწვეული სიცარიელე და პრიმიტივიზმიც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა.

● ტრადიციულმა, კლასიკურმა მწერლობამ, უპირველესად, ლიტერატურა შემაყვარა. ლიტერატურის სიყვარული კი ვფიქრობ ყოველივე კარგის საწყისია. ასეთ ადამიანს უკვე ბევრი რამ შეუძლია, ძლიერია და ღმერთთანაც უფრო ახლოსაა. აქედან ჩანს გზა. სიცოცხლე ხომ სიტყვიდან, ამბიდან, ლიტერატურიდან იწყება. საყვარელი წიგნი ბევრი მაქვს, მაგრამ სამაგიდო წიგნი ბიბლიაა, რადგან მასში ყოველთვის ვპოულობ პასუხს საჭირო კითხვაზე.

● ლიტერატურული ლანდშაფტი, ესთეტიკური სივრცე იცვლება და იცვლება ენისადმი დამოკიდებულებაც. ბოლო დროს განსაკუთრებით „მოდურია“ ეპატაჟური, კვაზინატურალისტური მეტყველება, იგრძნობა სლენგის სიუხვე და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, ძიება და ექსპერიმენტები ცუდი არ არის, მაგრამ ენისადმი უფრო ფაქიზი დამოკიდებულება არ გვაწყენდა.

● ახლახან გამოვიდა მოთხრობების კრებული „იანვრის მდინარე“. ამჟამად მუშაობას ისევ მცირე პროზაში განვაგრძობ. სქელტანიანი ნაწარმოების შექმნაზეც ვფიქრობ. ვნახოთ, რა გამოვა.

**ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა.**

თეონა დოლენჯაშვილი

# ლიანა, ვერა, ნორიკო

ლიანა ბაღში იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა, რომ ეს არის ყველაზე საუკეთესო ბაღი შემოდგომისას. აქ ყველაფერი ისე შეგუებულია კვდომასთან, სიცოცხლის წარმავალობასთან. და ეს ფოთლებიც ხეებზე და ეს ლოკოკინებიც წყალში ისევე გარინდულან როგორც თავად ლიანა ცარიელ, ლურჯად შეღებილ ძელსკამზე.

ლიანა ყოველ დილით მოდიოდა აქ. ჯერ ბაცი ჩაით, ჭვავის პურითა და ზედ გადასმული ლეღვის ჯემით ისაუზმებდა, მერე მასსავით ძველმოდურსა და ჩუქურთმებიან კაკლის ხის ბუფეტს საგულდაგულოდ გააპრიალებდა და კარებს გამოიხურავდა. ზემო სართულზე მეზობელი ქალი კონსერვატორიის აბიტურიენტებს ამეცადინებდა. ლიანა ფორტეპიანოს კლავიშებზე გაუთავებელ მონოტონურ კაკუნს ვერ იტანდა. ნერვები შიგ ამ მუსიკის ხმაურში მეხლართებაო, იტყოდა და გაცლას ამჯობინებდა.

ბაღი უტყვად, მოთმინებით ელოდა. კარგი ისიც იყო, რომ აქაურობას მისი შეჭალარავებული მეგობრებიც ეწვეოდნენ: ვერა-თავისი არასტაბილური წნევითა და ნორიკო-დიდი ხნის წინათ დაღუპულ მეორე ნახევარზე, იორამზე დაღლილი დარდით.

ისხდნენ. წყნარად. ნორიკო ჭრელ ხელთათმანებს უქსოვდა დიდ ქალაქში გადაბარგებულ შვილიშვილებს. ჩაშაქრული, დაჩამიჩებული შემოდგომა იდგა. ვერანდებზე ბეგონიები ყვაოდნენ. ბალახებში ხოჭოები ბზუოდნენ. ოქროსფრად ჩასქელებულ ჰაერს თბილი ნიავი არხევდა. მშვიდი, უცვლელი ერთფეროვნებისთვის განწირული ყოველდღიურობაც ისევე მდორედ მიედინებოდა, როგორც წყლის მბზინვარე ჭავლი ბაღის ძველ, ქამისფერ შადრევანში.



სექტემბრის თერთმეტჯერ მოწყენილი მეთერთმეტე ოთხშაბათიც გათენდა. ლიანა ოდნავ შეყვითლებული ხეების ჩრდილში იჯდა, ვერა რომ შეჩვეული ნაბიჯით მოუყვებოდა ბაღისკიდეს. მაღალი, სანდომიანი ვერა. კეფაზე ლამაზად დაწყობილი ვერცხლისფერი თმით, მხრებზე მოხვეული ლურჯად დაჩითული შალით. სახეს ჯერ კიდევ უნათებდა გარდასული სილამაზის სხივი. ამ შემოდგომასავით იყო და ლიანას კიდევ ერთხელ გაუკვირდა, რატომ დარჩა ასეთი მშვენიერი ქალი მარტო. ვერა ამაზე არასოდეს საუბრობდა, მაგრამ ლიანა ხვდებოდა, მიზეზი უთუოდ სიყვარული იქნებოდა, სიყვარულის გულისშემძვრელი ისტორია, მარილიან წვიმასავით რომ გადაუვლის ხოლმე ამგვარ პატარა, დაბურულ ბაღებში გარჩენილ ქალაქებს.

ისხდნენ. მყუდროდ. ფეხებთან მოფრთხიალე ნაცრისფერ მტრედებს აპურებდა. შორიახლოს პატარა და ძალიან სერიოზული ბავშვები სილაში იჩიჩქნებოდნენ. მერე მოიღრუბლა და ჰაერი ჩამუქდა. — სადილობის დროც მოსულა — თქვა ლიანამ და წამოდგა. — ნორიკო კი არ მოვიდა — დაამატა ვერამ. მერე ერთად გაუყვნენ ვიწრო ბილიკს. ბაღის გაყოლებაზე ჩარიგებულ სასურსათო მაღაზიებში კარტოფილი და კომბოსტოს შეხუჭუჭებული თავები შეიძინეს და სახლებს დაუბრუნდნენ.

ნორიკო კი არ მოვიდა. რადგან დღე მისთვის ყოვლად უჩვეულოდ, შეიძლება ითქვას სასწაულებრივად დაიწყო. ასე იყო: ახლადგაღვიძებულმა სარკიან კარადაში, იქ, სადაც იორამის წერილებსა და მძივებად ასხმულ სიზმრებს ინახავდა, თაფლისფერი, ფუმფულა ციყვი აღმოაჩინა. ციყვი გახუნებულ კონვერტებსა და ხელნაწერებს შორის იჯდა. მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა. თითქოს იორამის წერილებს კითხულობსო, ისე. ნორიკო ჯერ ციყვის არსებობამ, მერე მისმა სილამაზემ გააოგნა და ბოლოს მიხვდა! ეს პატარა ცმაცუნა არსება სიმარტოვის საწინააღმდეგოდ გაჩნდა მის ვრცელ, მაგრამ ავეჯით ჩახერგილსა და დაჩრჩილულ ბინაში.

და ნორიკოც ამოქმედდა. უკვე შემჭკნარი ფეხები ფლოსტებში წაყო, ფლანელის უფორმო სადამურზე კაბა გადაიცვა და ახლომდებარე სუპერმარკეტში მსხვილი, გაპრიალებული თხილით სავსე პარკები შეიძინა.

ციყვი მთელი დილა ამ თხილს ამტვრევდა და აკნატუნებდა. ნორიკო კი მისაღებ ოთახში მისთვის რბილ, კომფორტულ ფუღუროს ამზადებდა. ხავსიც კი ამოიტანა ეზოს დაჩრდილული მხრიდან. მაგრამ საბოლოოდ ციყვმა მაინც სარკიან კარადაში ცხოვრება ამჯობინა - ძველი წერილების მტვერსა და ნორიკოს დაბლანდულ სიზმართა შორის.

და მხოლოდ მეოთხე დღეს, ნორიკო რომ ბაღში აღარ გამოჩნდა, სახლში შეშფოთებული მეგობრები ეწვივნენ. ნორიკოს ის-ის იყო ციყვი ებანავებინა და თბილ, კუბოკრულ პლედში გამოხვეული კალთაში ეჯდა. თან ჭრელ, ხალისიანად ჭრელ ხელთათმანებს უქსოვდა დიდ ქალაქში გადასახლებულ შვილიშვილებს. ლიანა და ვერა გაოცებულები უცქერდნენ. სიტყვაც ვერ დაძრეს. მხოლოდ გვიან საღამოს საკუთარ საწოლებში ჩათბუნულებმა, რადიომიმღებებს რომ ჩაუწიეს, მთელი სიმწვავით შეიგრძნეს რა საქმიანი და რა ბედნიერია მათი მეგობარი.

ნამდვილად ამ შემთხვევის ბრალი იყო ჭარმაგი და სერიოზული ვერა რომ აცუნდრუკდა და მეორე დილით ბაღში გასეირნებისთვის გამზადებული სადარბაზოსთან შეყოვნდა. სადარბაზოში მისი ასაკის ქალები იდგნენ და საფოსტო ყუთებში სარეკლამო ბუკლეტებს ყრიდნენ. ქალები პენსიონერთა დაცვის ლიგას წარმოადგენდნენ. ვერას ჯერ პოლიტიკურად გაპიარებული ბუკლეტი მიაჩეჩეს, მერე საუბარი გაუბეს. ერთიანად გააბრუეს და გათიშეს. უთხრეს, რომ საპენსიო ასაკს მიღწეული ქალი ყველაზე გონიერი და ბრძენი არსებაა და სახელმწიფოს მართვა ყველაზე უკეთ მას ხელეწიფება. რამდენიმე მაგალითიც მოუყვანეს, რომელთაგანაც ვერას მხოლოდ ინგლისის დედოფალი ელისაბედი დაამახსოვრდა.

მოკლედ, ჩააბეს და ბუკლეტებით დახუნძლული და ახალი პოლიტიკური მოძღვრებით თავგამოტენილი ვერა სახლში აბრუნდა, ხოლო იმ საღამოდან სისხლსავსე ცხოვრება დაიწყო კარდაკარ დადიოდა და ოდნავ სიბერეშეპარულ თუ მთლად დაჩაჩანაკებულ ელექტორატთან აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდა. ვერამ დიდ პოლიტიკაში შეაბიჯა. ვიღას ახსოვდა წნევა და ადელფანის ტაბლეტები. მზით გამთბარ სკამზე ახლა მხოლოდ ლიანა-ლა იჯდა. მოწყენილი, თვალებმოჭუტული.. დილაობით ისევ ბაც ჩაის სვამდა. ტელევიზიით ვერა გამოდიოდა. პენსიონერთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვაზე საუბრობდა. ნორიკო ციყვზე ზრუნავდა-ვიტამინებით გამდიდრებული საკვები აღმოეჩინა ცხოველებზე სპეციალიზირებულ მაღაზიაში. ზემო სართულზე ფორტეპიანოზე აკაკუნებდნენ-სონეტებს, გამებს, მენუეტებს..



ლიანა ხუთი დღე მიყოლებით უსმენდა. უკაკუნებდნენ. უსმენდა. . . მეექვსე დღეს კაკუნს რომ მორჩნენ, სარკეში ჩაიხედა. წვრილ, ახლომხედველ თვალებზე ვერცხლის ძეწკვზე გამობმული სათვალე მოირგო და მეზობელ ქალთან ავიდა.

ქალი მასზე ცოტა ახალგაზრდა იყო, მაგრამ კარგად მოვლილი. დაქნილფრჩხილებიანი თითებით სანოტე რვეულს ფურცლავდა. როიალზე სილის საათი იდო და ვარდისფრად აყვავებული აზალიებით სავსე ქოთანი. მეტი არაფერი დაუნახავს. ძალიან ღელავდა.

— ჩემი თხოვნა უჩვეულოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ... — აქ წაბორძიკდა. მერე გადაწყვიტა პირდაპირ ეთქვა: მუსიკაში უნდა მომამზადოთ, კონსერვატორიისთვის.



მეზობელი ქალი ზუსტად ისე უცქერდა, ის და ვერა რომ უცქერდნენ ციყვჩახუტებულ ნორიკოს. მაგრამ ლიანა მტკიცე იყო და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული. მოსამზადებელი ეტაპი სწრაფად დაძლია, ნოტებიც მალე აითვისა. სოლფეჯიოს ჩაკირკიტებდა, ვერა რომ ესტუმრა. ვერას მახვილმა თვალმა უმალვე შეამჩნია, რომ ლიანას სანაქებო კაკლის ხის ბუფეტი ძველებურად აღარ ბზინავდა, სამაგიეროდ, ლიანა ჩანდა რაღაც ატაცებული. რომელიღაც მელოდიას ღიღინებდა, თან მარჯვენა ხელით ჰაერში წარმოსახვით სამკუთხედებს ხაზავდა, მუსიკის ტაქტს აყოლებდა. აი, ასე: ლა, ლაა, ლა.. ლა, ლა, ლაა..

— ჩვიდმეტში დიდ ფორუმს ვმართავთ. აი, მოსაწვევი... ვერას დაღლისგან ბზარშეპარული ხმა ჰქონდა, მაგრამ თვალები უელავდა.

— არ შემიძლია. ვერ მოვალ. ოცში პირველი საჩვენებელი კონცერტი მაქვს. შოპენს ვასრულებ.

ვერა ჩამოჯდა. მოსაწვევი ბარათი თითებიდან უხერხულად გამოჩროდა.

— იქნებ რამე უფრო.. ჩვენი ასაკისთვის შესაფერისი შეგერჩია. მაგალითად, ბახი. — ესღა უთხრა. . .

პირველად ისევ ნორიკოსთან დაიწყო. და იმით, რომ ოქტომბრის ერთ წვიმიან დილას გაღვიძებულმა ნორიკომ ციყვი სარკიან კარადაში ვეღარ იპოვა. თხილის ნაჭუჭებით ავსებული ბინა რომ გადააქოთა, მერე იფიქრა, იქნებ ჩემი კუდფუმფულა აივნიდან ეზოს ნაძვებზე გადაძვრაო. ციყვი ვერც ეზოში იპოვეს და ვერც ნაძვებითა და ფიჭვებით განთქმულ ბაღში. ნორიკო იჯდა და პატარა ჭიქაში კარდიამინის წვეთებს ითვლიდა. ლიანა და ვერა ამშვიდებდნენ, გამოჩნდებაო. აღარ გამოჩნდა.. კარადაში გაცრეცილ ფოლიანტებთან მოგონებების ცურცლი დატოვა, ბინაში სანახევროდ დახრული ავეჯი. ნორიკო გიჟივით იყო. მის მეგობრებს კი ციყვისთვის აღარ ეცალათ. ვერა ფორუმისთვის ემზადებოდა, ლიანა კონცერტისთვის იკერავდა ქაბოიან კაბას.

ის დღე იყო. თექვსმეტი ოქტომბერი. ვერამ ერთ-ერთი ამომრჩევლის კარებზე რომ დააკაკუნა. კარი წამოზრდილმა ბიჭმა გაუღო და ბებიდას დაუძახა. ოთახებში ბავშვები დარბოდნენ და მომცრო ტანის, შავკაბიანი ქალი ვერას საკუთარი სამყოფელისკენ წარუძღვა. ჩვეულებრივი ოთახი იყო. ღია სარკმლიდან დამწვარი ფოთლების კვამლი შემოდიოდა. მაგიდაზე გამხმარი წითელი ვარდები ეწყო და ორად გახლეჩილი ბროწეული გაბნეულიყო. კედელზე ბარომეტრი და მამაკაცის გადიდებული ფოტო ეკიდა.

ვერამ ფორუმის მოსაწვევი მაგიდაზე დადო, საუბარი დაიწყო და შეჩერდა. რაღაც უშლიდა.. მასპინძელს გახედა. ქალი ყურადღებით უსმენდა. ისხდნენ, მაგრამ მაინც ქვემოდან ამოცქეროდა. შავ, შინნაქსოვ კაბაში იდაყვები გამოჩროდა. ბეღურას წააგავდა. არა, ის არა.. ვიღაც სხვა უშლიდა. ზემოთ აიხედა და მიხვდა. ფოტო. ძალიან ნაცნობი სახე იყო. ერთობ ნაცნობი, ძვირფასი და..



— ჩემი მეუღლეა, — ვერას მზერას თვალი გააყოლა ქალმა, — ნიკო.. ნიკოლოზი. შარშან მიიცვალა საწყალი, — პატარა, დაგრეხილი თითით შეუმჩნეველი ცრემლი მოიმშრალა.

ვერაც გამშრალიყო. მაგიდაზე ბროწეული ღუოდა. ფოტოდან ნიკა იცქირებოდა. მისი ნიკა. უკვე დაბერებული, უკვე მიწადქცეული, უკვე არარსებული, მაგრამ მაინც ერთადერთი, დაუვიწყარი და შეშლილი სიყვარული. და რამდენი სიცოცხლე უნდა გასულიყო, რომ ის მაინცდამაინც ახლა, მაინცდამაინც ამ ბინაში, ამ მოცუცქნული, სევდიანი ბეღურას კრეამინირებული ფოთლების კვამლით გაბურულ ოთახში ეპოვა.

და ისევ დაინგრა. რატომ? რისთვის? იგრძნო, როგორ აიწია ზედა და ქვედა სისტოლურმა წნევამ ერთდროულად, როგორ გაორდა ნივთები ოთახში და როგორ ძალუმად აძგერდა ვერას უსიყვარულობითა და სიყვარულით გადაღლილი გული.

ძალიან საცოდავი იყო. და იმ მასზე უფრო საცოდავმა ქალმა რა იცოდა. სასწრაფო დახმარების ნომერს კრეფდა პატარა, მარილებისგან დაგრეხილი თითებით.

სასწრაფო დახმარების მანქანა სწრაფად მოწუილდა. წნევის დამწევი და დამამშვიდებელი ნემსები დაარჭეს. კედლიდან ნიკოლოზი იყურებოდა. კიდევ ერთხელ უცქერდა მასზე უგონოდ შეყვარებულს, მის გამო დამცირებულსა და მისსავე საწოლზე გაშოტილს...

კონსერვატორიის თეთრ, განსაკუთრებული ქღერადობით აღჭურვილ დარბაზში კი ლიანა უკრავდა. ჰაერში შოპენის ძალიან ლირიული, ჰაეროვანი და პოეტური ბგერები ირხეოდნენ. ლიანას ცისფერი კაბა ეცვა, მისივე ხელით რუდუნებით მოქარგული პერელეიკით. სკამზე ფრთხილად, ბებრულად ჩამომჯდარიყო. დაკვრისას ხელი უკანკალებდა. იგრძნობოდა, რომ მასაც უყვარდა. მაგრამ ტექნიკა არ უვარგოდა. როგორც ეს მკაცრი სახის პროფესორმა გადაუჩურჩულა ცნობილ, სათვალებიან მუსიკათმცოდნეს.

მუსიკათმცოდნეს ეღიმებოდა. ენამწარე იყო, მაგრამ თავის სტატიებში დამწყები და ასაკით მასზე უფროსი ქალების დაცინვა არ ჩვეოდა. თან რაღაცნაირად გულისშემძვრელი სურათი იყო. უკვე გარდასული ქალი ოცნებაში ახალგაზრდობას რომ უბრუნდება, ისეთი. და მუსიკათმცოდნე ძალიან აღელდა. იცოდა, მიმავალი რომ იყო, მაგრამ ეს ახლა განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნო და შეშინდა.

ლიანა კი უკრავდა. ახლომხედველი თვალები დაეხუჭა. უკვე იცოდა, გამსვლელ ქულებს არ დაუწერდნენ, მაგრამ ისეთი ბედნიერი იყო, როგორც შორეულ ბავშვობაში, მზეში ჩაძირულ მდელოზე პეპლებს რომ დასდევდა და სახლიდან კიდევ დედა ეძახდა: ლიანა! მოოდი, სადილობის დროაო.

მოკლედ, ჩაიჭრა.

და შემოდგომაც ილეოდა. ნოემბერში რამდენიმე თბილი დღე გამოერია და სამივენი ძველებურად ბაღში ჩამოსხდნენ.

ისხდნენ. მღელვარედ.

— ციყვი ნამდვილად სიზმარი იყო, — თქვა ნორიკომ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, — ჩემი ერთ-ერთი სიზმართაგანი... იმ კარადაში არ ვიპოვე?

ლიანა ნოტებს ხედავდა. იმქვეყნიური მუსიკაც ესმოდა.

— ჩვენ უკან ვეღარასოდეს დავბრუნდებით, — ჩაილაპარაკა ვერამ. გაიღიმა. მხარზე ლურჯად დაჩითული შალი ჩამოუცურდა, — ეს ყველაფერი უკვე იყო და იმიტომ.

— და იქნებ არც იყო, — ბევრი ვერაფერი გაიხსენა ნორიკომ.

— იქნება ნორა, აი, ნახავ. იქ იქნება, დალარული, ყავისფრად დატალული ხელი მოუთათუნა მეგობარს ლიანამ. თვალებში ჩამავალი მზის ბრჭყვილა ბურთები უთამაშებდა.

◉ ჩვენებური

# ეთერ ლამორისი: ფასი იმასა აქვს, როცა გზას მარტო იკაფავ

საკმაო ხანია, რაც ცნობილი ქართველი მომღერალი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ეთერ ლამორისი (ჭყონია) მადრიდში ცხოვრობს. მისი მომხიბლავი ხმა მსოფლიოს წამყვან საოპერო თუ საკონცერტო რეპერტუარს ამშვენებს. სამწუხაროდ, ქართველი მსმენელი მის ხილვას მონატრებულია, ხუთი წელია, რაც იგი თბილისში არ ჩამოსულა, ამიტომ ბუნებრივია ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი მის მიმართ. მართალია, უცხოეთში ქალბატონ ეთერის წარმატებული კარიერის შესახებ არაერთხელ გვსმენია, მაგრამ მოგეხსენებათ, „გაგონილს თვალით ნანახი სჯობია“. ზაფხულის ამ ცხელ დღეებში, როცა საკონცერტო და თეატრალური სეზონი თითქმის დასრულდა, ეთერ ლამორისი რამდენიმე დღით თბილისს ეწვია ახლობლებისა და მეგობრების მოსანახულებლად. ძნელად მოსახელთებელი მომღერალი სიამოვნებით დაგვთანხმდა საუბარზე:

**— რა იყო თქვენი ამდენი ხნის ჩამოუსვლელობის მიზეზი?**

— ბოლო კონცერტი ამ ხუთი წლის წინათ გავმართე თბილისში. იმდროინდელი ყოფის ფონზე ძალიან სავალალო მოემჩვენა ორკესტრის მუსიკოსთა მდგომარეობა, — მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების მოუგვარებლობამ დამთრგუნა. შემდეგ პაატა ბურჭულაძემ მომიწვია საიუბილეო კონცერტში მონაწილეობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი ჩამოსვლა, რადგან კონტრაქტის დარღვევა ვერ შევძელი. საერთოდ, მტკივნეულად განვიცდი კონტრაქტის ჩაშლას, რასაც ან დიდი სკანდალი მოჰყვება ხოლმე, ან დიდი ჯარიმა, მოგვიანებით კვლავ მომიწვიეს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე და მაშინაც ვერ ჩამოვედი. რომის დიდ თეატრში დირიჟორმა ნელო სანტიმ რეპეტიციებიდან არ გამათავისუფლა, თანაც შეუძლოდ ვიყავი. ამ ექსტრემალური სიტუაციის გამო ძალიან ვინერვიულე და ცხადია, გულიც დამწყდა. ხშირად ჩამოსვლა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ თურმე ჩემმა კონკურენტებმა მითქმა-მოთქმაც დაიწყეს, რაც არარეალურია.

**— გასაგებია; თანაც პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენში ძირეული ცვლილებები მოხდა. როგორ მოჩანს დასავლეთ ევროპიდან საქართველოს პოლიტიკური რუკა?**

— საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ჩვენი ოჯახი პირდაპირ ეთერში უყურებდა. ყველანი განცდებში ვიყავით, თან დაბნეულებიც, თუმცა ყველაფერი ოპტიმისტურად აღვიქვით. პირადად მე, ქვეყნის ბედი უფრო მადარდებს ხოლმე, ვიდრე კონკრეტულად საოპერო ხელოვნებისადმი დამოკიდებულება. რაც არ უნდა თანხები გამოიყოს, თუ საერთო მდგომარეობა ჩავარდნილია, ხელოვნება წინ ვეღარ წავა. მე მგონია, ახლა ყველაზე მტკივნეული დროა, ანუ გარდამავალი ხანა. სახელმწიფო ევროპული დონის სტანდარტებზე გადადის, ბევრი დაზარალდება და გაუჭირდება კიდეც. დიდი პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ასე მგონია, რომ საჭირო პროცესია.

**— გვიამბეთ, როგორი შემოქმედებითი განრიგით გიწევთ ცხოვრება?**

— მადრიდში კი ვცხოვრობთ ყველანი — მე, ჩემი მეუღლე, ქალიშვილი, დედმამა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მათთან ყოფნა ძალიან მენატრება. ინტენსიური კონტრაქტების გამო თვეობით არა ვარ ოჯახში. ბოლო წლებში ვცდილობ ისეთ განრიგს მივაღწიო, რომ წელიწადში ორ-სამ საოპერო სპექტაკლში დავკავდე, დანარჩენი დრო კი საკონცერტო ცხოვრებას დავუთმო. ამით დრო ძალიან დამეზოგება. გარდა იმისა, რომ დირიჟორებთან თანამშრომლობა მიზიდავს, მომწონს, როცა საკუთარ თავთან მარტო ვრჩები უგრიმოდ, უკოსტიუმოდ და საშუალება მეძლევა, სრულად გამოვავლინო ჩემი ხმის პალიტრა. საოპერო დადგმაში ყველას უნდა გაუწიო ანგარიში, რეჟისორსაც, გუნდსაც, სოლისტებსაც. ბევრი ჭირვეულობს, ყველას უნდა შეეგუო, ჩარჩოებში ჯდები და იმის იქით გასაქანი აღარა გაქვს. საოპერო ხელოვნებამ ჩამყლაპა, მინდა, მას მეტი დრო დავტყუო, ამიტომ უპირატესობას საკონცერტო ცხოვრებას ვანიჭებ.

**— თვალი გადავავლოთ თქვენს შემოქმედებით წარსულს...**

— კლასიკურ რეპერტუარში კოლორატურული სოპრანოსათვის თუ რამ დაწერილა, თითქმის ყველა საოპერო პარტია ავამღერე. ახლა სპინტო სოპრანოს პარტიებისკენ უფრო ვიხრები, რაც დრამატულად უფრო საინტერესოა, მაგალითად, მიმის, ნედას პარტიები „ბოჰემადან“ და „ჯამბაზებიდან“. კოლორატურული სოპრანო მაღალ ტექნიკაზეა გათვლილი და სულიერად ნაკლებ მამდიდრებს. ვფიქრობ, უნარი მეტის საშუალებას მაძლევს, რადგან ტემბრალურად დრომ ჩემს ხმას განსხვავებული ელფერი შესძინა. საამისოდ ობერტონებიც ხელს მიწყობს.

**— ბევრ ქვეყანაში ახლა მიმართავენ კლასიკური რეპერტუარის ავანგარდულ დადგმებს, რომლებიც ხშირად კურიოზულიც არის, თუ გიწევთ ამგვარ სპექტაკლებში მონაწილეობა?**



— გათანამედროვებული დადგმებს ხშირად მწირი ბიუჯეტის გამოც მიმართავენ. კლასიკურ დადგმებს დიდი ესთეტიკური სილამაზე, მდიდრული კოსტიუმები და დეკორაციები სჭირდება. რეჟისორები ხშირად პოპულარობის მოხვეჭის გამო აბსურდამდეც კი მიდიან ასეთი ახლებური დადგმების გამო. ისინი მოსალოდნელ სკანდალებსაც არ უფრთხიან, პირიქით, ხელსაც აძლევთ. ერთერთმა აღიარებულმა გერმანელმა რეჟისორმა კრისტოფ ლოუმ „ლუჩია დე ლამერმურში“ ლუჩიას პარტიაზე მიმიწვია შვეიცარიაში. მოქმედება მიმდინარეობს XX საუკუნის პიცერიაში, თანაც, მაფიოზურ გარემოში. მაშინ ვიფიქრე, ხომ შეიძლება იგივე ამბავი XX საუკუნეშიც მომხდარიყო და დავთანხმდი. ლოუსთან მუშაობისას მძაფრი პრობლემა არ შემქნია, რადგან იგივე ძალიან არ „მაწუხებდა“. იგი გრძნობს, თუ შინაგანად რას ეწინააღმდეგები და ამას გიხსნის, ხალხი ხომ არ იცვლება, რეჟისორსაც სურს, რომ ეს დამოკიდებულება აჩვენოს. ამას წინათ ავსტრიაში კურიოზებით სავსე „აიდა“ ვიხილე, ასეთ დადგმაში პირადად მე არასოდეს ვიმღერებ.

**— მსოფლიო ასპარეზზე წარმატებული კარიერისთვის ხმის და ნიჭის გარდა რა არის საჭირო?**

— ნურავის ჰგონია, მარტოოდენ კარგი, ძლიერი ხმით ჩავა უცხოეთში და უმალ პოპულარული გახდება. ეს ძალზე ძნელია. ნიჭთან ერთად პიროვნული სიძლიერე, ხიბლი აუცილებელია. თუმცა ესეცაა, თუ მაყურებლის ყურადღება სულ შენ მიიტაცე, მაშინ პარტნიორებსაც და რეჟისორსაც კი პრობლემებს უქმნი, საერთო ფონიდან ამოვარდნილივით ხარ, შურიც ღვივდება. თეატრის ხელმძღვანელობას ურჩევნია ყველაფერი „დაყარცხნილი“ იყოს. ხშირად კარგი შესრულებაც კი პრობლემას გიქმნის. ზოგჯერ სიტუაცია უნდა შეისწავლო და ისე მოიქცე. ადრე ეს არ ვიცოდი და ბევრი რამ გამიფუჭდა ამის გამო. დიდი ბრძოლაა საჭირო, პოლიტიკაზე ნაკლებადმეთქი ვერ გეტყვით. საერთოდ, შოუბიზნესში დაოხახებული ქალის მორგება ძნელია. ცხოვრება — ცხოვრებაა, ხელოვნება — ხელოვნებაა, საბოლოოდ მაინც ის რჩება, რაც ჩანაწერებსაც სტოვებ ვიდეო თუ კომპაქტ-დისკების სახით, რაც გააკეთე თეატრში. მადლობა ღმერთს, ჩანაწერები ბევრი მაქვს. დრომ მასწავლა მოთმინება...

**— ბედმა დიდი პიროვნებების თანადგომა და პარტნიორობა არ დაგაკლოთ, მაგალითად, ძეფირელის, დომინგოს, პავაროტის, მირელა ფრენის, კურტ მაზურის, ხოსე კურას, ლუის ლიმას, რობერტო ალანიას, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...**

— ასეთი პიროვნებების მხარში დგომა და რეკომენდაციები ძალიან დამეხმარა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინცდამაინც სასურველიც არ ყოფილა, რადგან თვლიან, რომ მის კლანში ხარ და მისი მტრები შენი მტრებიც ხდებიან. ფასი იმასა აქვს, მარტომ გაიკაფო გზა და ზედმეტად არ იყო ვინმეზე „ჩამოკიდებული“.

**— რომელ ქვეყანაში განიჭებთ ყველაზე დიდ სიამოვნებას სიმღერა?**

— იტალიაში! ეს ვოკალურად ძლიერი ტრადიციების მქონე ქვეყანაა და მსმენელიც მომთხოვნია. თუმცა ზოგჯერ აჭარბებენ კიდეც, ასე ჰგონიათ, მათ გარდა სხვას არავის ესმის ბელკანტო. ისე კი, ევროპაში საერთო დონე სავალალოა, სულ პოპმუსიკას უწევენ რეკლამას და არა კლასიკურს. ძალიან მინდა საქართველოში დაბრუნება. შინაგანად ამისთვის მზად ვარ. იქნებ ეს მალე მოხდეს. მინდა კანონი აქაც კანონობდეს, გზებს რომ აწესრიგებენ ეს მიხარია, ვიცი, ყველაფერი ერთად როდი გაკეთდება.

**— მაინც როდის გიხილავთ თბილისში უკვე შემოქმედებითი მისიით?**

— ძალიან მალე, ოქტომბერში ჩემს დასთან ნატოსთან ერთად გავმართავ კონცერტს. ნატო ავსტრიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ჩვენ დუეტებსაც შევასრულებთ ვახტანგ კახიძის ორკესტრთან. ეს ჩემი იდეა გახლავთ. ვერ გეტყვით, რომ ჩემ დას ხშირად ვხვდები-მეთქი, მაგრამ როცა ვხვდებით სცენაზე ხიბვ ყოველთვის ქართულ სიმღერებს ვასრულებთ, მაგალითად „თბილისოს“ და დუეტს კინოფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი“. თბილისში ჩამოსვლამდე სიცილიაში მიწევს გამოსვლა, მერე კი ცნობილ დირიჟორთან კურტ მაზურთან ერთად დიდი საკონცერტო ტურნე მელის საფრანგეთის ქალაქებში...

**— მაშ, მომავალ შეხვედრამდე თბილისში...**

**ესაუბრა
რუსუდან მუხიგულაშვილი**

◉ ბრიფინგი

# თვითონ გამომცდელებმაც ჩააბარეს გამოცდები

**ერთიანი ეროვნული გამოცდები ორგანიზებულად ჩატარდა. საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, — მისაღებმა გამოცდებმა „უშპარგალკებოდ“ და კორუფციული გარიგებების გარეშე რომ ჩაიარა. საბოლოო დასკვნის გაკეთება, მაინც ტესტირების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ იქნება — როგორც წესი, პრეტენზიები ამ დროს მძაფრდება ხოლმე. ჯერჯერობით საზოგადოებაში მითქმამოთქმა არ ყოფილა რაიმე სერიოზულ დარღვევებზე, გარდა იმისა, რომ ზოგიერთ საგამოცდო ცენტრში ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება დროებით შეწყდა. ასე რომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და აბიტურიენტებმა პირველი ეროვნული გამოცდები უინციდენტოდ დაძლიეს.**

ყველაზე მეტი აბიტურიენტი აგრარულ უნივერსიტეტში განთავსებულმა საგამოცდო ცენტრმა მიიღო. მიმდებარე ტერიტორია აბიტურიენტთა გულშემატკივრებით იყო სავსე. ღელავდა ყველა... საგამოცდო ცენტრში კი სიმყუდროვე სუფევდა. აბიტურიენტები მშვიდად ეჭიდებოდნენ ტესტებს მათემატიკაში.

ბრიფინგზე კი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველ საღამოს გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ატარებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების ცენტრის ხელმძღვანელმა **მაია მიმინოშვილმა** განაცხადა: „გამოცდები რომ მშვიდად და ობიექტურად მიმდინარეობდა, ამაში დამკვირვებლებიც დარწმუნდნენ და მშობლებიც. „შპარგალკების“ შემოტანისა და გადაწერის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მეთვალყურეებისა და აბიტურიენტების ყველა მოქმედებას ვიდეოთვალი აკონტროლებდა. ყველაფერმა კარგად რომ ჩაიარა, ამის საფუძველი თავად აბიტურიენტის მომზადების დონემ მოგვცა.

გამოცდების ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ 30 დამკვირვებელი 14-ვე საგამოცდო ცენტრში სესიებს ესწრებოდა, ისინი თვალყურს ადევნებდნენ აბიტურიენტების მუშაობის პროცესს, ასევე აკვირდებოდნენ გარე სიტუაციასაც.

ცნობილია ისიც, რომ დამკვირვებლებმა 973 აბიტურიენტი, 740 მშობელი და გამოცდის 340 ადმინისტრატორი გამოჰკითხეს. მათი აზრით, 14-ვე ცენტრში მონიტორინგმა ცხადყო ორგანიზებულობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, ასე რომ, დარღვევას ადგილი არ ჰქონია. გამოკითხვის მიხედვით ახალი საგამოცდო სისტემისადმი აბიტურიენტთა, მშობელთა და გამოცდის ადმინისტრატორთა 90 პროცენტი თვლის, რომ ამ სახით ჩატარებული გამოცდები აბიტურიენტთა შერჩევის გაცილებით უკეთესი ფორმაა, ვიდრე ის, რაც დღემდე არსებობდა. გამოცდების ახალი სისტემა მისაღებ გამოცდებში ზღუდავს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას.

**მარკ მალენი, გამოცდების ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:** — მომავალში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს საუნივერსიტეტო განათლების რეფორმაზე, რათა ამ გამოცდებზე გამარჯვებულმა, მონდომებულმა სტუდენტებმა ის სათანადო განათლება მიიღონ, რაც დაიმსახურეს. პროცესი, რომელიც ახლა საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარეობს, მაგალითი უნდა გახდეს სახელმწიფოში მიმდინარე სხვა რეფორმებისთვის, ეს კი ცხადყო აბიტურიენტების, მათ მშობლების, და გამოცდების ორგანიზატორებისგან მიღებულმა დადებითმა პასუხებმა.

**ალგირდას ზაბულიონისი, ტექნოლოგიურ საკითხებში მსოფლიო ბანკის ექსპერტი:** — ერთიანი ეროვნული სისტემა ისეა მოფიქრებული, რომ მის პროგრამაში „შეძრომას“ (სისტემა ინტერნეტში არ არის ჩართული) ვერავინ მოახერხებს. ეს გამოცდები ტექნოლოგიურად უახლესი სისტემაა და „21-ე საუკუნის“ გამოცდაცაა, რომელიც ობიექტურობას, პროფესიონალიზმს, კეთილგანწყობას და სისწრაფეს ეფუძნება. ამ მეთოდით ნაშრომები ანონიმურად სწორდება. ერთსაც დავამატებ: სისტემატურად ვეცნობი ქართულ პრესას, რომელშიც გამოცდების მიმდინარეობას კარგად შუქდებოდა.

მსოფლიო ბანკის კონსულტანტ-ექსპერტმა სტივენ ბაკერმა, საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ვიცე პრეზიდენტმა ჯინ მარი დუვალმა და უკრაინელმა ექსპერტმა ტიმოფეი ალნიკამ, აგრეთვე, ერთხმად აღნიშნეს გამოცდების ჩატარების მშვიდი გარემო, ის, რომ აბიტურიენტებს გამოცდების არ ეშინოდათ.

სასიხარულოა, რომ საქართველოში პირველმა ეროვნულმა გამოცდებმა დაუძაბავად ჩაიარა.

**ნათელა ფაილოძე**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 172. პარასკევი, 22 ივლისი, 2005 წელი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დააკავეს ეჭვმიტანილი

**საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლებმა თბილისის მახლობლად დააკავეს ადამიანი, რომელიც ეჭვმიტანილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე ჯორჯ ბუშზე თავდასხმაში, იტყობინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 10 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე ბუშის გამოსვლის დროს ტრიბუნიდან 30 მეტრ მანძილზე იპოვეს ხელყუმბარა. იგი საბრძოლო ხელყუმბარა იყო, განაცხადეს გამოძიების ფედერალურ ბიუროში, და თავისუფლად შეიძლებოდა აფეთქებულიყო. როგორც ახლა გაირკვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეჭვი აქვს, რომ ამ აქციაში მონაწილეობდა თბილისის გარეუბნის მცხოვრები ვლადიმერ არუთინიანი. დაკავების დროს იგი დაჭრეს, არუთინიანმა მიმალვა სცადა, თუმცა დააკავეს, თქვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. როგორც იტყობინებიან, 27 წლის არუთინიანი იმ ადგილზე უკვე 20 წელზე მეტია ცხოვრობს.**

ეჭვმიტანილის დაკავების ოპერაცია დაიწყო 20 ივლისს, საღამოს და შემდეგ იგი სროლაში გადაიზარდა. სროლის დროს დაიღუპა ერთი კაცი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის განყოფილების უფროსი. არუთინიანის ბინის გაჩხრეკის დროს იპოვეს დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი. როგორც ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, ამ ადამიანის დაკავება შესაძლებელი გახდა ამერიკის სპეცსამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად.

ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ ვინ იყო ვლადიმერ არუთინიანის სამიზნე თავისუფლების მოედანზე: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გარდა იმ დროს სცენაზე იმყოფებოდა მრავალი ქართველი პოლიტიკოსი. სცენა, რომელზეც ბუში წარსდგა 120-ათასიანი აუდიტორიის წინაშე, დაცული იყო დიდი ტყვიაგაუმტარი ეკრანით. ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებმაც რამდენიმე კვირა იმუშავეს თბილისში ვიზიტის მომზადებისთვის, იქვე იდგნენ. მოედნის ირგვლივ მდებარე სახლების სახურავებზე განალაგეს სნაიპერები. ინფორმაცია ამ შემთხვევის შესახებ ვაშინგტონმა გამოაქვეყნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშმა დატოვა საქართველო.

BBC RUSSIAN.com

21 ივლისი.

# სომხეთში აცხადებენ, რომ არუთინიანს ამ ქვეყანასთან არანაირი კავშირი არა აქვს

**თბილისში დაკავებული ვლადიმერ არუთინიანი, რომელიც ეჭვმიტანილია იმაში, რომ 10 მაისს საქართველოს დედაქალაქში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლის დღეს თავისუფლების მოედანზე დააგდო ხელყუმბარა, „არის საქართველოს მოქალაქე და მას არანაირი ურთიერთობა არა აქვს სომხეთთან“.**

ეს განაცხადა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა. „თბილისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებული გამოძიება საქართველოს საშინაო საქმეა და სომხეთის სამართალდამცავი ორგანოები არ მონაწილეობენ ამაში“, – აღნიშნა მან. 27 წლის არუთინიანი დააკავეს თბილისში 20 ივლისს, გვიან საღამოს.

ИТАР ТАСС

21 ივლისი.

# საქართველოში გამოძიების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებს ამერიკის საიდუმლო სამსახური

**ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახური, რომელიც პასუხს აგებს ქვეყნის პრეზიდენტის დაცვისთვის, თვალყურს ადევნებს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ გამოძიებას.**

როგორც „სი-ბი-ეს“ ტელეკომპანია იტყობინებოდა, ეს ვაშინგტონში განაცხადა შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერიკ ზარენმა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ პრეზიდენტებზე განხორციელებულ თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირის ძებნასა და დაკავებაში.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

21 ივლისი.

# ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორი დააკავეს



**ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორი, ბრიტანეთის მოქალაქე, წარმოშობით პაკისტანელი ჰარუნ რაშიდ ასვადი დააკავეს პაკისტანში.**

გაზეთ „ტაიმსის“ მონაცემებით, ასვადი დააკავეს ისლამაბადიდან 130 კილომეტრზე მდებარე ქალაქ სარგადის ერთ-ერთ მუსლიმანურ რელიგიურ სკოლაში. დაკავებისას მას ჩამოართვეს იარაღის მთელი არსენალი, „კამიკაძის ქამარი“, 17 ათასი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი ნაღდი ფულით და მობილური ტელეფონი. როგორც გაირკვა, ამ ტელეფონით ასვადი არაერთხელ დაუკავშირდა იმ ოთხ ტერორისტს, რომლებმაც განახორციელეს ტერაქტები ლონდონში. ასვადს უპოვეს ყალბი ბრიტანული პასპორტი. იგი აპირებდა ავღანეთში გადასვლას.

ტერაქტების განხორციელებიდან მცირე ხნის შემდეგ ბრიტანეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა ასვადის ძებნა: ყურადღებას იპყრობდა ის, რომ ამ ადამიანმა ქვეყანა დატოვა ტერაქტებამდე რამდენიმე საათით ადრე. მისი მობილური ტელეფონის შემოწმებისას გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი სულ ცოტა 20-ჯერ მაინც დაუკავშირდა ოთხი კამიკაძიდან ორს. სავარაუდოდ, ასვადი მათ ინსტრუქციებს აძლევდა.

ბრიტანული „დეილი მეილის“ მონაცემებით, ტერაქტების ორგანიზატორს ლონდონში კავშირი ჰქონდა „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელობის ორ წარმომადგენელთან, რომლებიც გეგმავდნენ ტერაქტებს, აგრეთვე, ვინმე ჯეიმს უჯაამასთან, რომელიც დააკავეს შეერთებულ შტატებში ტერორისტულ ქსელთან კავშირის ეჭვით.

ვარაუდობენ, რომ ასვადს კონტაქტი ჰქონდა „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, რომელიც მონაწილეობდა ამ 16 თვის წინათ პაკისტანში „ალ-ყაიდას“ მიერ გამართულ კონფერენციაში. სწორედ მაშინ მოამზადეს სავარაუდო სამიზნეების საბოლოო სია.

ასვადს უკვე კარგა ხანია უთვალთვალებდნენ ამერიკის სპეცსამსახურები. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მტკიცებით, სამი წლის წინათ ეს ადამიანი ცდილობდა შეერთებულ შტატებში „ალ-ყაიდას“ უჯრედის ორგანიზებას. გარდა ამისა, იგი პირადად შეხვედრია უსამა ბენ ლადენს პაკისტანში, ტერორისტთა ერთ-ერთ საწვრთნელ ბანაკში.

# სადამ ჰუსეინის სასამართლო მიმდინარე თვის დამლევამდე დაიწყება

**სადამ ჰუსეინის სასამართლოს დაწყებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა, განაცხადა სპეციალური ტრიბუნალის წევრმა აჰმედ რაფემ.**



„სადამ ჰუსეინისთვის უკვე დაიწყო დროის ათვლა. მისი სასამართლო მიმდინარე თვის დამლევამდე გაიმართება“, – დასძინა მან.

როგორც სპეციალური ტრიბუნალის წარმომადგენელმა თქვა, ერაყის ყოფილ დიქტატორს ჯერჯერობით ბრალდება წაუყენეს მხოლოდ ერთი დანაშაულის გამო. კერძოდ, მას ბრალად ედება 1982 წელს ბაღდადიდან ჩრდილოეთით, 60 კილომეტრზე მდებარე დაბა ედ-დუჯაილში შიიტების მასობრივი მკვლელობა. ამ დაბაში ადამიანების მკვლელობა და დაპატიმრება გახდა შურისძიების აქტი 1982 წლის 8 ივლისს შეიარაღებული გლეხების ჯგუფის მიერ დიქტატორზე განხორციელებული თავდასხმის გამო. პირადად სადამ ჰუსეინის მიერ სანქცირებული აქციის შედეგად სიკვდილით დასაჯეს 150-ზე მეტი ადამიანი, ამ რაიონის კიდევ დაახლოებით 1500 მცხოვრები კი საპყრობილეებში მოათავსეს.

„ამ საქმის ყველა გარემოება აბსოლუტურად გარკვეულია. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი მტკიცებულებები და გვყავს მოწმეები“, – თქვა რაფემ.

ედ-დუჯაილში ჩადენილი ეს დანაშაული ერაყის სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით ისჯება.

აჰმედ რაფეს თქმით, ამ საქმის გახსნას დიდად შეუწყო ხელი სადამ ჰუსეინის ნახევარძმის ბარზან თიქრითის და ერაყის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის თაჰი იასირ რამადანის მიერ მიცემულმა ჩვენებებმა.

როგორც ტრიბუნალის წევრმა აღნიშნა, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სხვა 11 პუნქტის მიხედვით წაყენებული ბრალდებების გამოძიება ასევე პრაქტიკულად დასრულებულია და ახლა მხოლოდ „უკანასკნელ დეტალებს აზუსტებენ“.

გამოძიების დაჩქარება მნიშვნელოვნად განაპირობა იმ დიდმა ზემოქმედებამ, რომელსაც ბაღდადის ხელისუფლება განიცდის შიიტი სასულიერო პირებისა და საზოგადოების მხრიდან. „თუ სადამ ჰუსეინი კვლავ დარჩება საპყრობილეში, ყოფილ baასისტებს და სხვა ტერორისტებს ექნებათ იმის იმედი, რომ იგი შეიძლება დაბრუნდეს ხელისუფლების სათავეში“, – განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ აიათოლა ისჰაკ ალ-ჰაიაზმა.

# ვის ჩხვლეტს „ვარდების რევოლუციის“ ეკალი?

***სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, რუსეთელთა უმრავლესობა (61 პროცენტი) მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არის საკმაოდ ცივი და დაძაბულიც კი. ამის მთავარ მიზეზად ასახელებენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გადადგმულ ექსცენტრიკულ ნაბიჯებს და მის განცხადებებს, რომელიც ხან ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორ ხელისუფლებას იმსახურებს ბელორუსია, ხანაც კი „ამხელს“ რუსეთის იმპერიულ გეგმებს.***

***რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის გენერალური მდივანი კონსტანტინე სიმონოვი „ტრუდის“ კორესპონდენტს ვლადიმერ იგნატოვს ესაუბრა იმის თაობაზე, თუ რატომ აძლევს ბატონი სააკაშვილი თავს იმის უფლებას, რომ ასე უზრდელი ურთიერთობა იქონიოს მეზობლებთან.***

– ჩემი აზრით, პრეზიდენტობის მეორე წელი სააკაშვილისთვის ყველაზე რთული იქნება. ქართველებს „ახალი ცოცხის“ იმედი ჰქონდათ, ეგონათ, რომ იგი გაწმენდდა მათ ქვეყანას კორუფციისგან, მაგრამ არ ელოდნენ, რომ ახალი მთავრობა „ნაგავს“ რუსეთის მხარეს გახვეტავდა. ახლა ხალხი ნელ-ნელა გონს მოდის. შეიძლება დიდხანს ვილაპარაკოთ გამარჯვებული დემოკრატიის ხიბლზე, მაგრამ თუ ჯიბე კვლავ გახვრეტილი გაქვს, ხოლო ყოფილი მეგობრები კი უცებ მტრებად მოგეკიდნენ, ადამიანს შეიძლება დაებადოს ასეთი კითხვა: რა აზრი ჰქონდა ამ რევოლუციას.

ნდობის ის კომფორტული სიტუაცია, რომელიც დახვდა სააკაშვილს ხელისუფლების სათავეში მისვლისას, უკვე აღარ არსებობს. ეკონომიკური წარმატებების შეცვლა პოლიტიკური დეკლარაციებით შეუძლებელია. ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ ევროკონსტიტუციის მიღების გზაზე „დამუხრუჭების“ შემდეგ უაზროა ლაპარაკი საქართველოს გაწევრიანებაზე ევროკავშირში, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 10 წლის განმავლობაში მაინც. თანაც, „მეამბოხე ავტონომიების“ გაერთიანება საქართველოს დროშის ქვეშ აშკარად ჰაერში დარჩა გამოკიდებული აჭარის ბლიცკრიგის შემდეგ. ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტს რჩება ერთადერთი გამოსავალი – მტრის ხატის ექსპლოატაცია, რასაც აკეთებს კიდეც.

**– თქვენი აზრით, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს მდგომარეობა, როცა საქართველოს ზოგიერთი ლიდერი ყოვლად უსაფუძვლოდ აკრიტიკებს რუსეთს?**

– ოფიციალური თბილისი ჩვენს „კბენას“ განაგრძობს ზუსტად იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც რუსეთი მისცემს ამის უფლებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენში არავის ეკისრებოდეს პერსონალური პასუხისმგებლობა საქართველოსთან ურთიერთობისთვის. არადა, ყველასთვის აშკარაა, რომ საქართველოსთან ურთიერთობა არის კრიზისი, არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას. საქართველოს აგრესიული ხელმძღვანელობის დაშოშმინება კი საკმაოდ ადვილად შეიძლება. დღეს ხომ საქართველო, უბრალოდ, ვერ გაიტანს თავს რუსეთის დახმარების გარეშე. ამ ქვეყნის სუსტი ეკონომიკა რუსეთზეა ორიენტირებული. უამრავი ქართველი კვლავ მუშაობს რუსეთში, რადგან მათ სამშობლოში ახალი სამუშაო ადგილები არ შეუქმნიათ. ქართული პროდუქციის – ხილი, ბოსტნეული, ღვინო – ძირითადი მომხმარებელი ყოველთვის იყო რუსეთი. საქართველო „იმპერიული“ რუსეთისგან კვლავ იღებს ენერგორესურსებს მსოფლიო ფასებზე იაფად. შეიქმნა გაურკვეველი ვითარება: ჩვენი ხელისუფლება სპონსორობას უწევს რეჟიმს, რომელსაც რუსეთის მიმართ, მეტი რომ არ ვთქვათ, არამეგობრული პოზიცია უკავია.

ТРУД

21 ივლისი.

# რაისი ბოდიშის მოხდას მოითხოვს

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი სუდანში ყოფნისას გახლდათ იმის მოწმე, თუ როგორ უხეშად ეპყრობოდნენ სუდანის ხელისუფლების წარმომადგენლები ამერიკელ ჟურნალისტებს და შეერთებული შტატების დელეგაციის წევრებს.**



დარფურში ლტოლვილების ბანაკში ჩასვლის წინ რაისი სუდანის დედაქალაქ ხართუმში შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ომარ ჰასან ბაშირს.

ჟურნალისტების თქმით, ის, რაც შეხვედრის წინ მოხდა, ნამდვილი სკანდალი იყო. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი აღნიშნავს, რაისი აშკარად განარისხა იმან, რომ ადგილობრივი უშიშროების ძალები ეცადნენ შეხვედრაზე არ შეეშვათ ამერიკელი ჟურნალისტები, რომლებიც აპირებდნენ გადაეღოთ მოლაპარაკების დაწყების ამსახველი ფოტოსურათები.

როცა ერთ-ერთი ამერიკელმა ჟურნალისტმა სცადა კითხვის დასმა უშიშროების ძალების წარმომადგენლებისთვის, მას უბრალოდ, ხელები გადაუგრიხეს. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ეს იყო ამერიკის დელეგაციის წევრების და ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეების ნამდვილი დაპირისპირება.

„არასდროს აღარ გაბედოთ ამერიკელ ჟურნალისტებთან ასეთი მოპყრობა!“ – განუცხადა სუდანის ხელისუფლების წარმომადგენლებს კონდოლიზა რაისის უფროსმა მრჩეველმა.

მაგრამ, ჟურნალისტთა თქმით, „ასე ეპყრობოდნენ“ არა მარტო რეპორტიორებს, არამედ ამერიკის დელეგაციის ზოგიერთ წევრსაც კი.

განრისხებულმა კონდოლიზა რაისმა სუდანის ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთ ქცევას აღმაშფოთებელი უწოდა და მოითხოვა ოფიციალური ბოდიშის მოხდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჩავა დარფურში, სადაც ლტოლვილთა ბანაკებში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანია. ისინი მშობლიური კერებიდან აიყარნენ „ჯანჯავიდის“ სახალხო ლაშქრის მოთარეშეების მიერ მათზე განხორციელებული არაერთი თავდასხმის გამო, რომლებსაც ასი ათასობით ადამიანი შეეწირა. „ჯანჯავიდი“ ქვეყნის მთავრობის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა.

სუდანში ვიზიტის წინ რაისმა კიდევ ერთხელ გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დარფურში მომხდარი მოვლენები აშკარა გენოციდი იყო.

# ადამიანს, რომელიც თეთრ სახლთან მანქანის აფეთქებით იმუქრებოდა, პატიმრობა მიუსაჯეს

**ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებს ლოუელ ტიმერსს ვაშინგტონში მიუსაჯეს ორი წლის და 10 თვის პატიმრობა იმის გამო, რომ მიმდინარე წლის იანვარში მან თეთრი სახლის მახლობლად გააჩერა მიკროავტობუსი და იმუქრებოდა, რომ ააფეთქებდა ბენზინით სავსე კანისტრებს.**



გარდა ამისა, საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ ტიმერსს ევალება სამი წლის განმავლობაში ატაროს სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დაადგენენ მის ადგილსამყოფელს და ექნებათ იმის გარანტია, რომ იგი დედაქალაქში არ ჩავა.

როცა ტიმერსი თავისი მიკროავტობუსით გამოჩნდა თეთრ სახლთან, პოლიციისა და პრეზიდენტის დაცვის ოფიცრებმა ოთხი საათით გადაკეტეს მახლობლად მდებარე ქუჩები და დაიწყეს მოლაპარაკება ტიმერსთან, რის შემდეგაც იგი სამართალდამცავებს ნებაყოფლობით ჩაბარდა.

ტიმერსმა აღიარა ბრალეულობა და თავისი საქციელი განმარტა იმით, რომ ასეთი გზით ცდილობდა გამოეხატა უკმაყოფილება მისი ნათესავის „უსამართლოდ“ დაპატიმრების გამო.

◉ მორევი

# ჩინური სინდრომი

***ბოლო ერთ კვირაში მთელი მსოფლიო მოიარა ორმა ინფორმაციამ ჩინეთის შესახებ. არა, ორმა კი არა, შეიძლება ასორმაც მოიარა, მაგრამ მე ეს ორი ინფორმაცია მაოცებს და, შეიძლება ითქვას, მხრებსაც მაჩეჩინებს, – ეს როგორ? რანაირად?***

**ინფორმაცია 1.** ჩინელები ცუდად ერკვევიან სექსის საკითხებში. გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ძველი თაობაც სრული იდიოტები ყოფილან საწოლში. ექსპერტების თქმით, ჩინელებში მიღებული არ არის საჯარო ლაქლაქი საკუთარი ინტიმური ცხოვრების შესახებ. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ გამარჯვებული კომუნიზმის ქვეყანაში მცხოვრები უმაღლესი განათლების ადამიანებიც კი, ვერ ერკვევიან ინტიმური ცხოვრების ნიუანსებში, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა საიდუმლოებებში. თუ ჩინეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები არ განახორციელა, ხალხი არ გაათვითცნობიერა, ქვეყნის საქმე ძალიან ცუდად წავა, განსაკუთრებით, – დემოგრაფიული კუთხით!



ვახ, კაცო, ამ ჩინეთში 1 მილიარდ 300 მილიონი მცხოვრებია, მოსახლეობის რაოდენობით სადღეისოდ უპირველესი სახელმწიფოა. ეს კი არადა, ამ დუნიაზე ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც აკრძალულია ოჯახში ერთ შვილზე მეტის გაჩენა. თუ ვინმემ „ლიმიტს“ გადაამეტა, მშობლებს სოლიდური თანხით აჯარიმებენ, ციხეშიც კი სვამენ. და ასეთი ტემპერამენტიანები, დავიჯერო, საწოლში სრული იდიოტები არიან? რა ვიცი, ვის დავუფიცო, შეიძლება კიდეც არიან. ახლა ხომ XXI საუკუნეა, ხალხი განათლდა, ძველი სტერეოტიპები, შეხედულებები დაანგრია ყველაფერში, და მათ შორის, სექსშიც.

სადღეისოდ სექსი აღარ „გამოიყენება“ მხოლოდ შვილების გასაჩენად, შთამომავლობის გასამრავლებლად. ეს ხომ ცხოველური ინსტინქტებია. ჩვენ კი უნდა ვეძებოთ, გამოვინახოთ ადამიანური, დიახ, ადამიანური, ეპოქის შესაფერი ინსტინქტები. მაგალითად, იგივე ექსპერტებმა (სექსოლოგებმა) რესპონდენტებს მოსკოვში ჯერ კიდევ 2001 წელს მიმართეს ერთი შეკითხვით, – რატომ მისდევთ სექსს? და იქვე მიაწოდეს სავარაუდო პასუხებიც, აი, ასეთები: ფიზიკური სიამოვნების მისაღებად, ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოსახსნელად, ფუჭი დროის მოსაკლავად, საკუთარი შესაძლებლობების შესასწავლად, პარტნიორის შესაქებად, კარიერის გასაკეთებლად, აკრძალული ხილის დასაგემოვნებლად, ძილის მოსაგვრელად, გაყინული სხეულის გასათბობად, მოღალატე მეუღლის დასასჯელად, ცოლქმრული მოვალეობის შესასრულებლად, საკუთარი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ფულის საშოვნელად, თავდავიწყების გრძნობის დასაუფლებლად, ახალი „ილეთების“ ასათვისებლად, და ჰა, სადღაც ბოლოს, – შთამომავლობის გასაგრძელებლად...

საწყალი ჩინელები. ამისთანა კითხვები, ცხადია, იმათაც შეხვდებოდათ და, წარმოიდგინეთ, რა სრულ იდიოტიზმს გამოამჟღავნებდნენ, რამეთუ საკუთარი ინტიმური ცხოვრების შესახებ კრინტსაც არ დასძრავდნენ. აქედან, ჰა, ჰა, ორზე დაექნიათ თავი – „ცოლქმრული მოვალეობის შესასრულებლად“ და „შთამომავლობის გასაგრძელებლად“. დანარჩენებზე, ალბათ, ხელებს ასავსავებდნენ და ენაზე კბილის დაჭერით იმ ექსპერტებს პირს აბჩენინებდნენ, – ეს რა ბნელი, უმეცარი ხალხი ყოფილაო.

**ინფორმაცია 2.** ბოლო წლებში ჩინეთმა სასწაულებრივ შედეგებს მიაღწია ეკონომიკაში. ეს წარმატებები უკვე აშფოთებს ამერიკასაც და ევროპასაც. სწორედ ამერიკის წაქეზებით ამ დღეებში ევროპის უამრავ ქვეყანაში მოეწყო მეწარმეთა გამოსვლები ჩინური საქონლის შეტევის გამო. დედაქალაქების ცენტრალურ მოედნებზე გამოიტანეს და დაწვეს 28-30 პროცენტით იაფი ჩინური ტექსტილი და ფეხსაცმელი, რომელსაც მომხმარებელი ძალუმ ეტანება, ადგილობრივი პროდუქცია კი გაუყიდავი რჩება.

ვიცი, ჩინეთს წარმატებები აქვს არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც, მეცნიერებაშიც. და ამას საჯაროდ აფიქსირებს პრაქტიკული ლონისძიებებით, მაგრამ ვის რა ჯანდაბად სჭირდება დღეს შენი პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, როცა სრული იდიოტი ხარ სექსში? სირცხვილი არაა, დღეს მიაკვდე მხოლოდ კლასიკურ, მამაპაპურ სექსს და პატივს არ სცემდე, არ უგალობდე ორალურ სექსს, ანალურ სექსს? ეეხ, იყო ეს ჩინეთი ჩამორჩენილი ქვეყანა და დარჩება კიდეც ასეთად, ალბათ, ამ საუკუნეშიც.

ერთი მიაქციეთ ყურადღება ამ წინადადებას: „არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ძველი თაობაც სრული იდიოტები ყოფილან... საწოლში“. რაღა დროს საწოლია, ხალხო. სექსი გაჩაღებულია ავტომანქანაში, სადარბაზოში, ბაღში, ვენახში, ტყეში, აუზში, მატარებელში, ტროლეიბუსში, სამსახურებრივ მაგიდაზე, სკამზე, ფანჯრის რაფაზე... გრიალებენ ჰომოსექსუალები, ლესბოსელები, ტრიალებენ 10-12 წლის გოგო-ბიჭები, 50-60 წლის ბებია-ბაბუები... ამ ჩინელებს კი წაუხრიათ თავი და ტრაქტორებს აწყობენ, ხალიჩებს ქსოვენ, ფეხსაცმელს კერავენ, მსოფლიოში უანალოგო ტელესკოპებს ამზადებენ, კოსმოსში ადამიანებს აფრენენ.

მაპატიონ, მაგრამ... მართლა აფრენენ, აი! მე აღარ ვლაპარაკობ ამერიკაზე, საფრანგეთზე, ჰოლანდიაზე, ბელგიაზე, ესპანეთზე, იტალიაზე და სხვაზე და სხვაზე, სადაც სექსი დუღს და გადმოდის. მოგვბაძონ აგერ, ჩვენ, ერთი ციცქნა საქართველოს – უკვე 500-მდე ფარული ბორდელი, საუნა თუ ღამის კლუბი გვაქვს, სადაც ყირას გადადიან თავისუფალი სექსის მოტრფიალენი. ცხადია, პრაქტიკას კარგ საფუძველს უყრის თეორია. შუაგულ რუსთაველის პროსპექტზე იყიდება ჟურნალები „მაქსი“, „სექსტაზი“, გაზეთები „სისხლიანი სიყვარული“, „პაემანი“, რომლებშიც დაწვრილებითაა გადმოცემული ნებისმიერი სახის სექსის დეტალები, პოზები, თავისებურებები. რა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რა თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა... აღარ მუშაობენ, მაგრამ ვერა ვცხოვრობთ გემრიელად?

არა, სექსში „გარღვევები“ ჩვენცა გვაქვს, ამას ვაღიარებთ. მაგალითად, გერმანიის სამხედრო ნაწილებში ერთმანეთში სექსის უფლება მისცეს ჯარისკაცებს, ესპანეთში დაქორწინების უფლება მისცეს ერთსქესიანებს, – აქამდე ჯერ არ მივსულვართ, მაგრამ მივალთ, მალე მივალთ, ერთი ხელის დაკვრით ვინ აშენებულა (თუ გადაშენებულა). ყველაფერს თავისი დრო აქვს. აგერ, ხვალ-ზეგ დაიწყება ჩვენს სკოლებში სექსოლოგიის გაკვეთილების მიცემა და დაიძვრება ყინული ერთიანად, სკოლაშიც და ოჯახშიც...

დანგრეული ბუდეები? შემცირებული შობადობები? ვენერიული სნეულებები? ადამიანური ღირსებები? ზნეობრივი ნორმები? – მოგცლიათ ერთი... ნიახური ხომ არ ხართ, მეორედ ამოხვიდეთ!

**ზონდო გულიაშვილი**

◎ მშვიდობის ქადაგება

# გზაზე არიან ნაომარი ვაჟკაცები

**ზუსტად 41 წლის წინათ, 1964 წლის 2 ივლისს საქართველოს დედაქალაქიდან გავიდა ოთხი ველომრბოლი და ნალჩიკი-მოსკოვი-ლენინგრადი-კალინინგრადი-კიშინიოვი-ყირიმი-თბილისის წრიულ მარშრუტს დაადგა. ოთხი თვის შემდეგ 8000 კილომეტრი გაიარეს და დედაქალაქი კვლავ ზარ-ზეიმით შეხვდა ჩაუქებს. მიზანი ამ მოგზაურობისა ერთადერთი გახლდათ, — მოეხილათ ნაომარი ადგილები, შეხვედროდნენ ომის ვეტერანებს და ქართველ მეომართა საბრძოლო ბიოგრაფიის დეტალებზე მოეთხროთ მშობლიური ქვეყნისთვის, მშვიდობა ექადაგათ მსოფლიოსთვის!**

მანამდე, ამ ფორმის, ასეთი მასშტაბის და ასეთი შინაარსის მოგზაურობა არც არავის განუხორციელებია არასოდეს. მაშინდელ საბჭოთა კავშირში ამ ფაქტმა გამოხმაურება ჰპოვა! მოგზაურობაზე დაიბეჭდა ასობით საგაზეთო მასალა, ეთერში გავიდა უამრავი რადიო და ტელეგადაცემა. მოგზაურებმა თვითონაც გამოაქვეყნეს საინტერესო ნარკვევები, რეპორტაჟები, სტატიები და მსოფლიო ომიდან ქართველ შინმოუსვლელთა მანამდე უცნობი ათობით საფლავი აპოვნინეს ჭირისუფალთ. დაიწერა წიგნები, მაგრამ, მართალი გითხრათ, მსგავსი ღონისძიება ჩვენს სამშობლოში თუ გახდებოდა საჭირო, არ მეგონა. არ მეგონა, თუ იმ დიდი ომის ვეტერანებს ახალი ნაკადი შეემატებოდა, გაჩნდებოდნენ ომის ახალი ვეტერანები და ისიც ქართული ომის ვეტერანები, მით უფრო უგზოუკვლოდ დაკარგულები და შინმოუსვლელი!

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია!..

ამას წინათ, გერმანულ „მერსედესში" ამხედრებულები მოვქროდით ნაქეიფარი მეგობრები. ტრასა ჩვეულებრივზე მეტად იყო გადატვირთული ავტოკოლონებით. ღიღინ-ღიღინით ვკეცავდით შარას და ცა ქუდად არ მიგვაჩნდა და დედამიწა ქალამნად. უცბად ჩვენი „იდილია" უცნაურმა სურათმა დაარღვია, — სამხედრო კომუფლაჟით შემოსილი, ზურგჩანთა აკიდებული ორი ჯეელი და ერთი, ათიოდე წლის ყმაწვილი ფეხით მიუყვებოდნენ გზას.

— ამ მანქანების ნიაღვარში რა გასჭირვებია ამ ხალხს ასეთი, ფეხით რომ მიდიან ტვირთაკიდებულებიო, ჩავილიმილეთ ჩვენთვის. მანქანა არ გაგვიჩერებია, არც ჩაგვითვლია საჭიროდ... ოღონდ ერთი კი გავიკვირვეთ მხოლოდ, „მოგზაურთაგან" ერთ-ერთს ხელჯოხი მოეშველიებინა და კარგა გვარიანად კოჭლობდა...

ათიოდე დღის შემდეგ თბილისში შევხვდი მათ. საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობ კავშირ „გიორგის" ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა გვანჯი მანიამ გამაცნო ისინი,— ქართველი მერაბ ბართაია, ქისტი ანზორ ქავთარაშვილი და მეოთხეკლასელი გიორგი ბართაია! მათ უკვე გაიარეს მოგზაურობის ორი ეტაპი და ამ ღონისძიების შესახებ, სამწუხაროდ, არც ისე ბევრმა იცოდა. არადა, მათი პროგრამა ერთობ შინაარსიანი და მნიშვნელოვანი გახლავთ: — მოგზაურები საქართველოს გზებზე ფეხით გაივლიან 2000 კილომეტრს, შეხვდებიან ომის ვეტერანებს, ინვალიდებს, დაღუპულთა ოჯახის წევრებს და შეძლებისდაგვარად შეეცდებიან განუმტკიცონ მათ რწმენა და იმედი, ნახონ და აღწერონ მათი ჭირ-ვარამი, მათი პრობლემები, მოუოხონ გული და ერთად ილოცონ მშვიდობისა და მამულის ერთიანობისათვის!





მოგზაურებს მრავალი სხვა ღონისძიება და შეხვედრაც აქვთ დაგეგმილი, მათზე საუბარი ამჯერად ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ ერთი სურვილით დავკმაყოფილდებით:

— ბატონებო, რაც უნდა ღიღინ-ღიღინით კეცავდეთ გზას, რაც უნდა ცა ქუდად არ მიგაჩნდეთ და დედამიწა ქალამნად, რაც უნდა „მაძღრები" და ნაქეიფარნი იყოთ, ჩემს მაშინდელ შეცდომას ნუ გაიმეორებთ — სადაც წამოეწევით ამ მამულიშვილებს, წამით მაინც შეაყოვნეთ სრბოლა და მოეფერეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ მათ, რადგან იცოდეთ, ისინი ჩვენს საქმეს აკეთებენ, ჩემსა და თქვენს გასაკეთებელ საქმეს! და, როცა ისინი თავიანთ მოგზაურობას დიდგორის ველზე დაამთავრებენ, ჩვენც მოვიწონოთ თავი ჩვენივე შთამომავლობის წინაშე. მანამდე კი მადლობა მოვახსენოთ იმათ, ვინც ამ უმშვენიერეს და ულამაზეს ღონისძიებას მხარში ამოუდგნენ: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული გვარდიის სამმართველოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, კომპანია "P.S.P"-ს, სადაზღვევო კომპანია „იმედი-1"-ს, საქართველოს ინვალიდთა ლიგას, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას და საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობ კავშირ „გიორგის"!

გააფაციცეთ გონი და ყური, ქართველი და ქისტი ნაომარი ვაჟკაცები მშვიდობას ქადაგებენ გზადაგზა. ჯერ კიდევ დროა, — იქნებ აფხაზები და ოსებიც შემოუერთდნენ მათ, რათა ერთად მოვაშოროთ ვარამი ერთმანეთს!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" კი სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციებს ამ მოგზაურობის შესახებ.

**ზაურ ფიფია,**
**„სრ" საკ. კორ.**

◎ ფეხბურთი

# ჩვენთან ერთად

**ამ დღეებში თბილისის „დინამოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური კიდევ თერთმეტმა კლუბმა მოიპოვა. გთავაზობთ I შესარჩევი რაუნდის საპასუხო შეხვედრათა შედეგებს:**

„შელბურნი" — „გლენტორანი" 4:1 (2:1),
„პიუნიკი" — „ჰაკა" 2:2 (0:1),
„ქრინსკი" — „დიუდელანჟი" 0:4 (დ.დ. 1:0),
„სკონტო" — „რაბოტნიჩკი" 1:0 (0:6),
„ანორთოსისი" — მინსკის „დინამო" 1:0 (1:1),
„ტირანა" — „გორიცა" 3:0 (0:2),
„პეტრჟალკა" — „კაირატი" 4:1 (დ.დ. 0:2),
„ჰაფნარი" — „ნეფთჩი" 1:2 (0:2)
„შერიფი" — „შლიემა" 2:0 (4:1),
ტნს — „ლივერპული" 0:3 (0:3),
„ქალგირისი" — „ტორსჰავნი" 4:0 (4:2).

* * *

**როგორც მოგეხსენაბათ, ჩემპიონთა ლიგაში დინამოელთა მორიგი მეტოქე დანიის „ბრონდბიუ" იქნება. მეტოქენი ერთმანეთს 27 ივლისსა (თბილისში) და 3 აგვისტოს (დანიაში) შეხვდებიან. ადვილი შესაძლებელია, მომავალ დუელამდე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კლუბი სანდრო იაშვილით, ალექსანდრე ამისულაშვილითა და კოტე დარსანიათი გაძლიერდეს — განაცხადში მათი შეყვანის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. რაც შეეხება სკანდინაველთა სადარბაზო ბარათს, იგი ასეთია:**



„ბრონდბიუ" 1964 წლის 3 დეკემბერს შეიქმნა, იქაურ სუპერლიგაში კი პირველად 1982 წელს ითამაშა. არის დანიის ათგზის ჩემპიონი და ხუთგზის თასის მფლობელი. 1991 წელს უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალამდე უწია, ხოლო 1998 წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპსაც გაუსინჯა გემო.

გუნდის სარბიელი — „ბრონდბიუ სტადიონი" 2000 წელს აშენდა და 26.000 მაყურებელს იტევს.

დანიური კლუბის ლიდერებად მცველები აგერი და სენელსი, ნახევარმცველები დაუგაარდი და რეტოვი, აგრეთვე თავდამსხმელი სკუბო ითვლებიან, თუმცა კლუბის სიმბოლოს მაინც მთავარი მწვრთნელი, ეროვნული ნაკრების დაუვიწყარი თაობის ლეგენდარული თავდამსხმელი, 42 წლის მიქაელ ლაუდრუპი წარმოადგენს, რომელიც გულშემატკივრებს „იუვენტუსში", „ბარსელონასა" და „რეალში" დადგმული სპექტაკლებითაც ახსოვთ. იგი 42 წლისაა.

◎ მემორიალი

# თასი „ოლიმპიკმა" დაიმსახურა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად მართავს თბილისის „დინამოს" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარული მოთამაშეების — მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გივი ჩოხელისა და ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირებს, რომელშიც ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონების ნორჩი ფეხბურთელები მონაწილეობენ.**

ახლახან ავლაბრის არმიის სასპორტო კლუბის სტადიონზე გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას მემორიალის ფინალური მატჩი 1990 წელს დაბადებულთა შორის. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის „ოლიმპიკისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდები. მასპინძლებმა აღმავლობით წარმართეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 5:2. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ოთარ გაგნიძემ (2), თითო — სოსო ქინქლაძემ, ნიკა თურმანიძემ და ბექა ჯინჭარაძემ. ფეხბურთელები ოქროს და ვერცხლის მედლებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლად არჩეულმა გენერალურმა მდივანმა გრიგოლ ცაავამ დააჯილდოვა. თბილისის „ოლიმპიკს" ვიტალი დარასელიას ხსოვნის თასი ვიტალის მეუღლემ, ქალბატონმა მარინე დარასელიამ გადასცა.

**შალვა ჩიხლაძე**

◎ ხსოვნის ტურნირი

# მალხაზ ხუნდიაშვილი: თქვენ იჭიდავეთ, თანადგომა ჩემზე იყოს



**სენაკის რაიონი ოდითგანვეა ცნობილი სახელოვანი მოჭიდავეებით. მარტო ნესტორ ესებუას გახსენება რად ღირს.**

რაიონში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა კარლო ჯოჯუამ ჩაუყარა საფუძველი. მის აღზრდილთა შორის განსაკუთრებით შოთა მორჩილაძემ გამოიჩინა თავი — იგი არის 1974 წლის ევროპის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო პრიზიორი. მსოფლიო უნივერსიადისა და სსრკ ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი. სამწუხაროდ, დღეს ოსტატი და შეგირდი ჩვენ შორის აღარ არიან, თუმცა თანაქალაქელები მათს სახელს არ ივიწყებენ. აქაური სპორტსკოლის დირექტორის — ალეკო მურღულიას ინიციატივით გასულ შაბათ-კვირას სენაკში გაიმართა კარლო ჯოჯუას და შოთა მორჩილაძის ხსოვნის ტურნირი (მთავარი მსაჯი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით დავითაია), რომელშიც 1990-1991 წელს დაბადებული 200-მდე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მონაწილეობდა. 12 ქალაქისა და რაიონის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, სენაკი, ფოთი, ზესტაფონი, ოზურგეთი, ხობი, აბაშა, სამტრედია) წარმომადგენელთა ჭიდილში (საგულისხმოა, რომ ნესტორ ესებუას თანასოფლელები — ძველისენაკელები ცალკე გუნდად ჩაებნენ შეჯიბრებაში და ორმა მათგანმა ოქროს მედალიც დაიმსახურა) მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ნორჩი მოჭიდავეების ორთაბრძოლებს თვალს ადევნებდნენ სახელოვანი ფალავნები — ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გიორგი წურწუმია, ორ-ორგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი თეიმურაზ აფხაზავა, მსოფლიო თასის მფლობელი და სსრკ ჩემპიონი გივი ყვარელაშვილი, ორგზის სსრკ ჩემპიონი თამაზ მაჭავარიანი და სხვები.

დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი ცხადაძე (ქუთაისი), მურთაზ ჩაბრავა, ავთანდილ ხურცია, გიორგი დავითაია (ყველა — სენაკი), ლევან გუნია, საჩინო დავითაია (ორივე — ძველი სენაკი), თორნიკე ცირეკიძე (თბილისი), აბესალომ ჯიჯეია (ხობი), ქართლოს ოჩიგავა, რევაზ გოროზია, ალინი სანაია (სამივე — სენაკი), ამირან ფაღავა (ბათუმი).

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. კარლო ჯოჯუას და შოთა მორჩილაძის ხსოვნის პრიზები რევაზ გოროზიას და ამირან ფაღავას გადაეცათ.

**რომან რურუა:** ღირსეული ადამიანების ხსოვნას სათანადო პატივი უნდა მივაგოთ — ეს თითოეული ჩვენგანის ვალია. სასიამოვნოა, რომ სენაკელები არ ივიწყებენ სახელოვან შვილებს — კარლო ჯოჯუას და შოთა მორჩილაძეს, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით ქართული საჭიდაო სკოლის განვითარებაში. მომავალი თაობები სწორედ ამაგდარი პიროვნებების მაგალითზე უნდა აღვზარდოთ.

**დავით დავითაია:** დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში ამგვარი ღონისძიების მოწყობა იოლი არ არის. სენაკელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს შეძლეს. სპორტსკოლის დირექტორმა ალეკო მურღულიამ ამ შეჯიბრებას შესანიშნავად გაართვა თავი. რაც შეეხება ორთაბრძოლებს, ჭაბუკებმა ნამდვილად გამაოცეს. ჩვენ, პროფესიონალები, თავს ვიმტვრევთ, როგორ შევუთავსოთ ათლეტთა ფიზიკური კონდიციები, ტექნიკა და ტაქტიკა დღევანდელი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის რობოტულ წესებს. ჭაბუკმა ფალავნებმა ხალიჩაზე იმპროვიზებული შერკინების მაგალითები ჩაგვიტარეს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო გიორგი და საჩინო დავითაიების, ლევან გუნიას, რევაზ გოროზიას კარგი ჭიდაობა. საგულისხმოა, რომ ტურნირში მონაწილეობდა წარმოშობით სენაკელი, ამჟამად კი აშდოდში (ისრაელი) მცხოვრები ბენცი ხუნდიაშვილი. იგი მეტოქეებზე თითქმის სამი წლით უმცროსი და რვა კილოგრამით ნაკლები იყო. ამის მიუხედავად, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კვარცხლბეკისკენ მიმავალთ. რომ არა ფინალში ერთი უნებლიე შეცდომა, ოქროს მედალს მოიპოვებდა.

დარწმუნებული ვარ, რომ სენაკის ტურნირში მონაწილეთა უმრავლესობას მალე საერთაშორისო სარბიელზეც ვიხილავთ.

**ალეკო მურღულია:** კარგი ტურნირი გამოვიდა, კმაყოფილი ვარ. თანადგომისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა რაიონის გამგეობასა და საკრებულოს, ასევე, სპორტის მესვეურებს, განსაკუთრებით კი მსურს გამოვყო სენაკელი ბიზნესმენი მალხაზ ხუნდიაშვილი, რომელმაც ეს შეჯიბრება დააფინანსა. იგი ჩვენს რამდენიმე სპორტსმენს მატერიალურად ეხმარება. ორიოდ დღეში ბატონი მალხაზის დახმარებით 20 მოჭიდავეს ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე წავიყვანთ. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

**მალხაზ ხუნდიაშვილი:** ტურნირში მონაწილე ბიჭები ჩემი ვაჟის თანატოლები არიან. მესმის, რას ნიშნავს მათთვის შეჯიბრებაში მონაწილეობა. სენაკელებს შევპირდი, თქვენ იჭიდავეთ და თანადგომა ჩემზე იყოს-მეთქი. პირობას ვასრულებ. ექვს თვეში კიდევ ერთ ტურნირს მოვაწყობ სენაკში. ვიცი, რომ ბავშვები მეტად დაინტერესდებიან ჭიდაობით. უნდა ვეცადოთ, რომ ახალგაზრდები ქუჩას მოვწყვიტოთ. საამისოდ კი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანებს, სპორტი უებარი საშუალებაა...

**სენაკის ტურნირი დამთავრდა. ჭაბუკი ფალავნები ცოტას დაისვენებენ, გარუჯვასაც მოასწრებენ და მერე ახალ შეჯიბრებებში მეტი შემართებით ჩაებმებიან.**

**ვაჟა დანელია,**
**„სრ" სპეც. კორ.**
**სენაკი — თბილისი.**





**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ტურნირის გამარჯვებულები დავით დავითაიასთან (მარჯვნივ) და ალეკო მურღულიასთან ერთად; სტუმარ-მასპინძლები შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.**

**ავტორის ფოტო.**

◎ ინფორმაცია

## სხვების ძებნაში ქართველები დააკავეს

**წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში წინასწარი ინფორმაციით, გუშინ, გვიან ღამით აფხაზური ადმინისტრაციის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა გაიტაცეს 15 ქართველი მშვიდობიანი მცხოვრები.**

**როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, აფხაზი სამართალდამცველები ატარებდნენ ოპერაციას თავიანთ ტერიტორიაზე, შემდეგ გადმოვიდნენ წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში, რომელიც ესაზღვრება გალის რაიონის ტერიტორიას და დააკავეს 15 ადგილობრივი მაცხოვრებელი. წინასწარი ინფორმაციით, არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ აფხაზი სამართალდამცველები ატარებდნენ სპეცოპერაციას სხვა პირების დასაკავებლად და მათ ქართველი მშვიდობიანი მაცხოვრებლები შემთხვევით აიყვანეს.**

**მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ გატაცებულთა გათავისუფლების სანაცვლოდ აფხაზმა კრიმინალებმა გარკვეული თანხა მოითხოვონ.**

**მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ არც ქართველი და არც აფხაზური ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები.**

**ინტერპრესნიუსი**

## ადიდებულ რიონში ერთი ადამიანი დაიხრჩო

**ქუთაისში მოულოდნელად ადიდებულ რიონში ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გავრცელებული ინფორმაციით, გივი ცეკვაშვილი წყალმა მაშინ ჩაითრია, როცა მდინარის პირას საქონელს მიერეკებოდა.**

**მისი ცხედრის პოვნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.**

**მედიანიუსი**

**2005 წლის 5 აგვისტოს, 15 საათზე შედგება სს „ელექტროავტომატის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის საწარმოო-სამეურნეო ანგარიში;**
**2. 2004 წლის საბუღალტრო-საფინანსო ანგარიში;**
**3. საწარმოს 2004 წლის სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შედეგებზე აუდიტორის დასკვნა.**

**მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №15.**

**სს ელექტროავტომატის სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია.**

## შეტყობინება

## სს „რექტიფიკატის" აქციონერებს

**გაცნობებთ, რომ 2005 წლის 12 აგვისტოს, 12 საათზე გაიმართება სს „რექტიფიკატის" აქციონერთა კრება შემდეგ მისამართზე: ხაშურის რაიონი, სოფელი გომი.**

**კრების დღის წესრიგი:**

**ა) 2004 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;**
**ბ) 2005 წლის აუდიტორის დანიშვნა;**
**გ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ხელახალი არჩევნები;**
**დ) სახელწოდების შეცვლა;**
**ე) წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;**
**ვ) სხვადასხვა.**

სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მოწვევამდე 10 დღის ვადაში, შესაძლებელია კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება შეამოწმოთ სს „რექტიფიკატის" რეგისტრატორთან შპს „კომპანია ცენტრთან", შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქუჩა № 24.**

**სს „რექტიფიკატის" დირექტორატი.**

## განცხადება

**ა/წ 10 აგვისტოს 14 საათზე შედგება სს „ქართული ფილმის" აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს „ქართული ფილმის" 2004 წლის ფინანსური-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ანგარიში;
3. საზოგადოების 2005 წლის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება;
4. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა;
5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილებების შესახებ;
6. 2004 წლის წმინდა მოგების განაწილების თაობაზე რეკომენდაციების შესახებ;
7. სხვადასხვა.

კრება შედგება მისამართზე: **ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. № 10ა.**

**სს „ქართული ფილმი".**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## საყოველთაო უკუსვლა?



**თუ კარგად ჩავუკვირდებით ფეხბურთში ფიფას ახალ რეიტინგს, ცხადი გახდება, რომ გასული ერთი თვის მანძილზე ბევრ ქვეყანაში პროგრესი კი არა, თავისებური უკუსვლაა.**

შეიძლება ითქვას, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი წინ. თითქოს ბუნებრივია, რომ პირველობას კვლავ ბრაზილია ინარჩუნებს. ჩვენ ერთი ნაბიჯით უკან დავიხიეთ. თუმცა ამაზე უფრო ნათლად ქვემოთ მოტანილი ცხრილი მეტყველებს, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი მეტოქეების მდგომარეობაც გავითვალისწინეთ (ფრჩხილებში ნაჩვენებია წინა თვის რეიტინგის ადგილები).

1 (1). ბრაზილია — 846; 2 (3). არგენტინა — 787; 3 (4). ჰოლანდია — 781; 4 (2). — ჩეხეთი — 778; 5 (6). მექსიკა — 768; 6 (10). აშშ — 765; 7 (5). საფრანგეთი — 749; 8 (7). ინგლისი — 744; 8 (9). ესპანეთი — 744; 10 (8). პორტუგალია — 739; 12 (14). თურქეთი — 716; 19 (16). დანია — 698; 19 (13). საბერძნეთი — 698; 36 (35). — უკრაინა — 639; 86 (86). — ალბანეთი — 501; 103 (102). საქართველო — 463; 148 (148). ყაზახეთი — 299.

## თქვენ ვის გამოარჩევდით?

ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, რომ 29 აგვისტოს მონტე-კარლოში მესამედ გაიმართება კომპანიის World Champions Club მიერ დაწესებული პრესტიჟული პრემიის Golden Foot ლაურეატის წოდების მინიჭება. სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია 10 ნომინანტი: ბექჰემი, შევჩენკო, ვან ნისტელროოი, კრესპო, ფიგუ, რომარიო, კანი, რონალდო, ზიდანი და მალდინი.



თქვენ რომელს მისცემდით უპირატესობას?

**სურათზე: 2003 წელს ნომინაციაში „ვეტერანი" გამარჯვებული დიეგო მარადონა და წლევანდელი ერთ-ერთი კანდიდატი პაოლო მალდინი.**

## კურნიკოვა მეზღვაურიც გამხდარა

**ბოლო ხანებში საინფორმაციო წყაროებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ანა კურნიკოვას სახელი. ბოლო თვეში რუსეთელი ლამაზმანი აშშ საკლუბო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და ორ დიდ სარეკლამო კამპანიაშიც. მართალია, კორტზე დიდი ჩოგბურთიდან წასულმა ანამ მაინცდამაინც თავი ვერ გამოიჩინა, სამაგიეროდ სარეკლამო აქციებში დიდ წარმატებას მიაღწია.**

ის ჯერ ახალ ზელანდიაში გაემგზავრა, სადაც დაიწყო ლეგენდარული იახტის Emirates Team New Zeland სამზადისი 2007 წელს ამერიკის თასში მონაწილეობისთვის. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე ანა იახტის ეკიპაჟში ჩარიცხეს და კაპიტანმა რამდენიმე გაკვეთილიც ჩაუტარა.



შემდეგ ის ერთ-ერთ ინტერნეტ-მაღაზიაში კურიერად „მოეწყო". ამერიკელი ანდრეა ფაინბერგი კინაღამ დამუნჯდა, როდესაც შეკვეთილი სარბენი ფეხსაცმელი და სპორტული ჩანთა ყოფილმა ჩოგბურთელმა შინ მიართვა.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



კომპოზიტორი სულხან ცინცაძე პარიზში ყოფნისას ზანგების გარემოცვაში. გასული საუკუნის 60-იანი წლები.

მოგვაწოდა ლამზირა ჩხეიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## გიხაროდენ!

### მესამე შვილის მამა გავხდი

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.



მე და ჩემი მეუღლე თამთა ორ გოგონას შევხაროდით – ხათუნა ათი წლისაა, ზეინაბი – რვისა, და აი, უფალმა ჩვენი ნატვრა ისმინა – ამ დღეებში ბიჭის მამა გავხდი, რომელსაც ლუკა დავარქვით. დედაჩემი და სიდედრი თავზე ადგანან თამთას თბილისში, ბაბუებს კი ისე უხარიათ ოჯახის გვარის გამგრძელებლის დაბადება, რომ სუფრა სულ გაშლილია და ლუკას დღეგრძელობა არ მთავრდება...

მურთაზ სიჭინავა
ზუგდიდი.

## ცოტაც გავიღიმოთ...



ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს.
– წარმოგიდგენია? ვერ გიცანი, – ამბობს ერთი.
– მართლა? რატომ?
– კარგად გამოიყურები!

* * *

ქუჩაში ზანგი ზანგს ხვდება.
– შენ რა, ავადა ხარ?
– საიდან მოიტანე?
– ფერმკრთალი მეჩვენები.

* * *

– უკანასკნელად გეკითხები, როდის დამიბრუნებ ვალს?
– მადლობა ღმერთს, რომ ასეთ სულელურ შეკითხვებს აწი არ დამისვამ.

* * *

– საიდან გაქვს ასეთი კარგი საათი?
– დისგან?
– მაგრამ შენ ხომ და არა გყავს.
– ჰო, მაგრამ საათზე ასე აწერია და...

* * *

მიხო მამამისს ეჩხუბება:
– პირდაპირ ღვთის სასჯელი ხარ ჩემთვის. შენ რომ არ დაბადებულიყავი, მემკვიდრეობას პაპაჩემისგან მივიღებდი!

* * *

– ბატონებო, ახლა წაგიკითხავთ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებითაც განსასჯელი ადრე იყო გასამართლებული.
– კი, ბატონო, – ამბობს განსასჯელი, – საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მერე მე არ დამიწყოთ საყვედური საქმის განხილვის გაჭიანურებისთვის.

* * *

– ექიმო, თავში თითქოს პატარა კაცუნა მიზის და სულ იგინება.
– ამის გამოსწორება იოლია. ათასი დოლარი და ყველაფერი რიგზე იქნება.
– ექიმო, იცით, რა თქვა ახლა იმ კაცუნამ?

* * *

– გინდა პატიოსანი გზით ფულის შოვნა?
– არა!
– როგორ, ფულის შოვნა არ გინდა?
– პატიოსანი გზით არ მინდა!

## მილოცვა

ნატო და გოჩა მამულაშვილების ოჯახს ვულოცავთ ციცქნა თამუნას დაბადებას. ვუსურვებთ ასეთი სიხარულის სიმრავლეს!

ოჯახის მეგობრები.

## ზღვა წვეთში

# წიგნები – მოლეკულებად,

### ანუ უცილოდ დიდი ეროვნული საქმე, რომელსაც საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია კოკროჭინა გამოცემებით ადგამს თავს

*მთავარი ყოველთვის იყო, არის და იქნება, რას აკეთებს და როგორ აკეთებს კაცი თავის საქმეს. ამ თვალსაზრისით საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია (წიგნის მოყვარულთა საზოგადოება), რომელიც ილია ჭავჭავაძის მზიანი სახელით არის ნათელცემული, უთუოდ საშვილიშვილო საქმიანობას ეწევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზემონათქვამის დასტურად მარტო საგამომცემლო რუდუნებაც იკმარებს. როგორც ყველა საქმეში მთავარი და გადამწყვეტი ხელმძღვანელია, აქაც, მწიგნობართა ასოციაციაშიც, თავთუდელი სწორედ თავმჯდომარეს – ქალბატონ ლია ნადარეიშვილს ადგას, რომელსაც აგერ უკვე არა ერთი და ორი ათწლეული მართლაც ჩინებულად მიჰყავს ასოციაციის საქმე. ნამდვილად მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ლია ნადარეიშვილია უპირველესი მოთადარიგე და სარისტის მიმცემი მინიატიურული წიგნის საგამომცემლო გარჯაშიც.*

### რაც ყველამ არ ვიცით

ასეთ წიგნს ცეროდენას, ჯუჯა წიგნს ან მინიატიურულ გამოცემას ეძახიან. მინიატიურული წიგნის მაქსიმალური ზომებია 10X10 (სმ), მინიმალური 1X1 (სმ). არსებობს უფრო მცირე ზომის გამოცემები, რომელთა ტექსტიც მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით იკითხება. მინიატიურული წიგნი გათვალისწინებულია წიგნის მოყვარულთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გარდა ამისა, ასეთ გამოცემას სხვა მიზანიც აქვს – იგი მეტყველებს წიგნის კულტურისა და ტიპოგრაფიული ტექნიკის განვითარებაზე ამა თუ იმ ქვეყანაში.

პირველი ქართული მინიატიურული წიგნი – „ღვთისმშობლის სავედრებელი – დაიბეჭდა 1809 წელს, სოფელ წესის სტამბაში. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ მინიატიურულ გამოცემათა შორის ყველაზე პატარაა „ყურანი“ (არაბულ ენაზე – 1,7X1,8) და თარიღიან გამოცემათა შორის ყველაზე ძველი (1506 წლის) – სენეკას „ტრაგედიები“.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ (წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ) თავისი შექმნის დღეებიდანვე (1974 წ.) დაიწყო მინიატიურული გამოცემების გამოშვება თხელი გარეკანით, მაგრამ პირველი სრულყოფილი გამოცემა იყო „შუშანიკის წამება“ (1987 წ.), რომელიც მხატვრულად გააფორმა მამია მალაზონიამ. ამ მინიატიურულ წიგნს მოჰყვა შემდეგი გამოცემები: ი. გოგებაშვილის „ისტორიული მოთხრობები“, ი. ჭავჭავაძის ლექსები, ა. წერეთლის ლექსები, პოემები, მოთხრობები (სამ ტომად), ნ. დუმბაძის მოთხრობები, ჯ. ჩარკვიანის ლექსები, რ. მიშველაძის ნოველები, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის, მ. ფოცხიშვილის, გ. ტაბიძის, ლ. ასათიანის ლექსები, „ქართველ მეფეთა პოეზია“, ჯ. აჯიაშვილის „შროშანი ღელეთა“, ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, „წმინდა ოთხთავი“ (ოთხი სახარება) და კიდევ არაერთი.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან შექმნილია მინიატიურული წიგნების მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი – „ცეროდენა,“ რომელიც დააარსეს ბიბლიოფილებმა ნ. გურგენიძემ, ზ. პოლიაკმა და მათმა მეგობრებმა. მინიატიურული წიგნების გაფორმებაზე მუშაობდნენ მხატვრები: ნ. მალაზონია, ნ. ზაალიშვილი, შ. ნიორაძე, ზ. ნიჟარაძე, თ. მირზაშვილი, კ. ფაჩულია, ბ. ქურდაშვილი, თ. სამსონაძე, დ. დუნდუა და კიდევ ბევრი სხვა.

### რაც კიდევ შეგვემატა

ამ დღეებში ქალბატონმა ლია ნადარეიშვილმა რედაქციას კიდევ ახალი სამი გამოცემა მოაწოდა – იაკობ გოგებაშვილის საქართველოსავით მარად ცოცხალი „დედა ენის“ ორივე ნაწილი, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 125 წლისთავს ეძღვნება, ვაჟა-ფშაველას რჩეული პოეზია (შემდგენელი შოთა კოზიაშვილი, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი) და ალექსანდრე ყაზბეგის რჩეული პროზა (მხატვარი კარლო ფაჩულია). სამივე გამოცემის მთავარი რედაქტორია ლია ნადარეიშვილი.



ვინც იცის მინიატიურული გამოცემის „გემო“ და კოკროჭინა წიგნის ტრფიალია, უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებს. აი, თუნდაც ბატონი გურამ ახალაია, რომელიც ამ თვალსაზრისით ფრიად გამორჩეული „წვრილშვილია“.

**მე პირადად ეს პაწაწინა წიგნები ჩვენი დიდი ლიტერატურული ცხოვრების მოლეკულებად წარმომიდგენია. მოლეკულა, როგორც უწყით, ნივთიერების უმცირესი ნაწილაკია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ატომებისგან შედგება. მაშასადამე, საბოლოო ჯამში საქმე ატომებთან გვქონია. ატომური ძალმოსილება კი უჩემოდაც ყველას კარგად მოგეხსენებათ.**

**გურამ წიკლაური**

## ჟურნალი

# „ზედაშე“ ზედაშეობს

**„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“ – ყველასთვის ასე კარგად ნაცნობი რაფიელ ერისთავის ამ ლექსით იხსნება ჟურნალ „ზედაშეს“ მეორე ნომერი, რომელიც ამ დღეებში მიიღო მკითხველმა.**



„ზედაშე“ ლიტერატურული ჟურნალია, ამიტომ რაღა გასაკვირია, რომ განსაკუთრებული გულუხვობით გვთავაზობს ლექსებს (ლაშა გახარია, ბესიკ ხარანაული, სალომე შენგელიძე, ივანე წიკლაური...). მოთხრობებს (აკაკი გაწერელია, იასუნარი კავაბატა, რადიარდ კიპლინგი...), პუბლიცისტიკას (ემზარ კვიტაიშვილი, ციალა არდაშელია, ედიშერ გიორგაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, ეკა ქადაგიძე...). მკითხველს უთუოდ დააინტერესებს პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის მოგონება „სამი დღე ლეონიძის გვერდით“, ფერენც ლისტის „შოპენი“, ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თარგმნილი პოლ ვალერის „პატარა წერილი მითების შესახებ“ და სხვა წერილები. ჟურნალი (მთავარი რედაქტორი ერეკლე საღლიანი, გამომცემელი ნოდარ მოსულიშვილი), „ხარკს“ უხდის პოეტებს ნიკო სამადაშვილს, პაოლო იაშვილს, ალექსანდრე საჯაიას, მანანა ჩიტიშვილს, მარიამ წიკლაურს, ნუგზარ ბერაძეს, მარინე თექთუმანიძეს და სხვა პოეტებს – განყოფილებაში „გავსებული ვარ ლექსითა“ მათ თითო ნაწარმოებს გვთავაზობს. უხვად არის წარმოდგენილი ჩვენგან უდროოდ წასული კოლეგის – ედიშერ გიორგაძის ნაკალმარი.

მთელი „ზედაშე“, რომ იტყვიან, ეროვნული ტკივილებით არის ბეჭედდასმული. ეტყობა, სარედაქციო კოლეგიამ ყველაფერი ამჟამინდელ ვითარებას მიუსადაგა, რათა უფრო საჩინო გაეხადა დღევანდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების მთავარი ნიუანსები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჯანსუღ ღვინჯილიას „წერილი რუსეთს“, სადაც არის ასეთი სიტყვები: „მე ვსარგებლობ მხოლოდ ერთი კაცის უფლებით, თავისი სიტყვა უთხრას რუს ერს, რაკი ამ სიტყვის უთქმელობა მას არ შეუძლია“. დიდი ხანია, ეს სათქმელი ქართველ კაცს პირზე აქვს მომდგარი, მაგრამ გამგებს ჯიუტად არ სურს შესმენა. ძალზე დამაფიქრებელია ბატონი ჯანსუღის მრავალი მოსაზრება, რომლის დედააზრი ასე გამოიყურება: „პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის რუსი ერი რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას ქართველ ერს ჯერ არ შეხვედრია“. მე მგონი, ეს იმ უმადურობის, განუკითხაობის, ძალადობის, უსამართლობის პასუხია, რასაც საქართველო „დიდი მეზობლის“ მხრიდან არც ისე იშვიათად განიცდის.

„ზედაშე“ გაფორმებულია ჩვენი ძვირფასი მხატვრის თენგიზ მირზაშვილის ფერადი სლაიდებით.

ვფიქრობ, „ზედაშე“ საჭირო სულიერ საზრდოს მიაწვდის ყველას, ვისაც მისი წაკითხვის საშუალება მიეცემა.

**გუჯა რთველაძე.**

## ინფორმაცია

### აღმოაჩინეს კონტრაბანდული სიგარეტი

ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ გუშინ, ქუთაისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი ამოიღო.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსმა სოსო გაბრიჩიძემ განუცხადა, ამოღებულია 30-ათას კოლოფზე მეტი რუსული წარმოების სიგარეტი „ტროიკა“, „ნოვოსტი“ და „ალიანსი“.

გაბრიჩიძის განცხადებით, სამართალდამცველებმა კონტრაბანდულ სიგარეტს თავისუფლების ქ.№7-ში მცხოვრებ მოქალაქე ჯემალ მარდალეიშვილის ავტოფარეხში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიაგნეს. თავად მარდალეიშვილი სპეცოპერაციის დროს სახლში არ იმყოფებოდა. იგი პოლიციას ემალება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტის შენახვარეალიზაციის მუხლით აღიძრა, რაც 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

### დოლარის ყალბი კუპიურები გადაჰქონდა

შიდა ქართლის სამხარეო განყოფილების ერედვის განყოფილების თანამშრომლებმა, გუშინ, დილით გორი-ცხინვალის საავტომობილო მაგისტრალზე, ერგნეთის საგუშაგოსთან დააკავეს თბილისელი ნანი ჯაბელაშვილი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით დოლარის ყალბი კუპიურები ცხინვალიდან თბილისის მიმართულებით სარეალიზაციოდ გადაჰქონდა. თავდაპირველად, პოლიცია 150 000 ამერიკული ყალბი დოლარის ამოღებას ვარაუდობდა, თუმცა ჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ ჯაბელაშვილს შემდგომი რეალიზაციის მიზნით ცხინვალიდან 350 000 ამერიკული დოლარი გადაჰქონდა.

ჯაბელაშვილი დაკავებულია.

**ინტერპრესნიუსი**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის, საქართველოს ტყის კოდექსის, „ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების დადების მიზნით ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის ბრძანების შესაბამისად აცხადებს ტენდერს (კონკურსს) ტყით სარგებლობის შემდეგ სახეებზე:**

ტყის მთავარი სარგებლობა 55 325 კბმ (მათ შორის სამასალე 28566 კბმ)

გავლითი სახის ჭრებზე 1532 კბმ (მათ შორის სამასალე 792 კბმ)

ადგილმდებარეობა მოიცავს შემდეგ სატყეო მეურნეობების ტერიტორიებს: კახეთი (ყვარელი, ახმეტა), იმერეთი (ბაღდათი, ვანი), სამეგრელო ზემო-სვანეთი (ოდიში, მარტვილი), რაჭა-ლეჩხუმი (ცაგერი), გურია (ჩოხატაური), სამცხე-ჯავახეთი (ასპინძა, ახალქალაქი)

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღება 2005 წლის 22 აგვისტოს 19 სთ-მდე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში – მე-2 სართული, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში. ტენდერი ჩატარდება ქვემოთ მოცემულ თარიღებში:

სამეგრელო-ზემო სვანეთი – 24 აგვისტო, 2 სთ.

კახეთი და სამცხე-ჯავახეთი – 25 აგვისტო, 2 სთ.

რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი და გურია – 26 აგვისტო, 2 სთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის და დოკუმენტაციისთვის მიმართეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს 12-დან 14 საათამდე სამუშაო დღეებში.

**მისამართი: დ. გულუას 6ა, მეორე სართული, №213 ოთახი. ტელ: 72-17-48.**

## საჭესთან

### ასაკობრივი ცენზი სხვადასხვა ქვეყანაში

ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობს ასაკობრივი შეზღუდვები მანქანის მართვის უფლების მოპოვების მსურველთათვის.

| | |
|---|---|
| საფრანგეთი – | 18 წელი |
| გერმანია – | 17 |
| იაპონია – | 18 |
| აშშ – | 14-16 |
| დიდი ბრიტანეთი – | 17. |

შვილი მანანა აბაზაძე, სიძე სერგო ორჯონიკიძე, შვილიშვილები თინა, ნინო ორჯონიკიძეები, სიძე ვაჟა მიქაბერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნინა ფედორის ასული
მაიოროვა-აბაზაძე
პანაშვიდი 22, 23 VII, 18 სთ. დაკრძალვა 24 VII, 15 სთ. მისამართი: ყიფშიძის ქ. №10, მე-2 სადარბაზო, ბინა 61.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## დღის კალენდარი 22 ივლისისთვის

| | ☼ | ) |
|---|---|---|
| | ამოდის 04.44 | ამოდის 20.42 |
| | ჩადის 19.29 | ჩადის 05.23 |

**წლის 203-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 162 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება მღვდელმოწამეთა: ბაგრატისა – ტავრომენელ ეპისკოპოსისა (I) და კვირილესი – ჰორტინელ ეპისკოპოსისა (III-IV); ღირსთა მოწამეთა: პატერმოთესი და კოპრესი და მოწამე ალექსანდრესი (IV). წმიდა თეოდორესი – ედესელი ეპისკოპოსისა (IX).**

**დაიბადნენ:**

**1596 – მიხაილ რომანოვი,** რუსეთის რომანოვების დინასტიის პირველი მეფე. გარდაიცვალა 1645 წელს.

**1878 – იანუშ კორჩაკი,** პოლონელი მწერალი, პედაგოგი და ექიმი. გარდაიცვალა 1942 წელს.

**1883 – ბენიტო მუსოლინი,** იტალიის ფაშისტი დიქტატორი. სიკვდილით დასაჯეს 1945 წელს.

**1937 – თამარ გაბარაშვილი,** მუსიკოსი, კონსერვატორიის პროფესორი.

**გარდაიცვალნენ:**

**1796 – დავით ორბელიანი,** ერეკლე მეორის სიძე, მეწინავე სადროშოს სარდალი.

**1802 – მარია ბიჩეტი,** ფრანგი ანატომი.

**1826 – ჯუზეპე პიაცი,** იტალიელი ასტრონომი, აღმოაჩინა მცირე პლანეტა ცერერა.

**მოვლენები:**

**1246 წელი** – პირველმა ევროპელმა იტალიელმა მოგზაურმა, 65 წლის ფრანგმა ბერმა ჯოვანი დე პლანო კარპინიმ მიაღწია მონღოლეთის იმპერიის დედაქალაქს.

**1983 წელი** – ავსტრალიელმა დიკ სმიტმა დაასრულა მსოფლიოს გარშემო პირველი ფრენა აეროსტატით.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აზერბაიჯანი** – ჟურნალისტიკის დღე.
**სვაზილენდი** – საზოგადოების დღე.

**მედიანიუსი**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვთისგან პოეტად დაბადებული
მიხეილ ქვლივიძე,
კაცი, რომელიც დააკლდა თითოეულ ჩვენგანს. უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ივანე მაჩაბლისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, „ქართული ფილმის“ სასცენარო კოლეგიის რედაქტორი
მიხეილ ქვლივიძე
საქართველომ დაკარგა ქვეყნის გულმხურვალე ჭირისუფალი, რომლის ზნეობრივი პრინციპი იყო – „ნუ გადაჰყვები საკუთარ თავს! ყოველთვის ეცადე სხვა გააბედნიერო და ბედნიერი იქნები თვითონ!“
საქართველოს კულტურის ფონდი იუწყება ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.
მერაბ ბერძენიშვილი.

დავით ტიგინაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო პოეტი და საზოგადო მოღვაწე
მიხეილ ქვლივიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი
ლალი ჩიხლაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „მრეწველები“ თანაგრძნობას უცხადებს ქ-ნ ნანული ქაჩიბაიას შვილის
მანანა მჭედლიშვილის
გარდაცვალების გამო.

ირინე არჩვაძე და დურმიშხან ცინცაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნათლულის, შესანიშნავი პიროვნების
ნანა კობახიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

## ლარის კურსი

**22 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.1642 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8137 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2065 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0634 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3857 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4105 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6202 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 22 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $37^0$ | $21^0$ |
| ბათუმი | $34^0$ | $21^0$ |
| სოხუმი | $32^0$ | $20^0$ |
| ქუთაისი | $34^0$ | $22^0$ |
| თელავი | $36^0$ | $20^0$ |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.